WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№20 (254) ● 3-9.VII.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## „მიდის ოპერა „ლაკმე“...



რომ მოხდეს სასწაული და პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკოსი ჯონდი ბაღათურია „ბორის გოდუნოვში“ მთავარი პარტიის შემსრულებლად მიიწვიოს, ხომ გაგვიკვირდება? მაშინ ის რატომ არ გვიკვირს, პოლიტიკოსი ბაღათურია მომღერალ ბურჭულაძეს რომ იწვევს საპრეზიდენტო არჩევნებში „მთავარი როლის“ შემსრულებლად?

### გიორგი ყორღანაშვილი:



ყველა ქართველს უნდა ესმოდეს, რომ საქართველო მისი ქვეყანაა, ჩემი („ჩემი და შენი“) და ამ ქვეყანაში წესებს ვამყარებ მე („მე და შენ“)

რატომ არის ახალი ხელისუფლება ჯალათების მიმართ ასეთი ლმობიერი?





ჩინეთი, რომლის უკან ილუმინატები დგანან, სულ მალე აშშ-ს ჩაანაცვლებს და ახალ ზესახელმწიფოდ იქცევა

**დემოკრატია ამერიკულად ანუ რა ელის თოჯინებს, რომლებიც ძაფის მოქაჩვაზე დროულად არ რეაგირებენ**

### გოგი თოფაძე:



მინდა მივულოცო მთელ საქართველოს – ამიერიდან ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება!

### ელიზბარ ჯაველიძე:



ნუ გადავაქცევთ მეცნიერებათა აკადემიას დუნდუკების აკადემიად!

### ჰამლეტ ჭიპაშვილი:



თუ ივანიშვილი მართლა წავიდა პოლიტიკიდან, ეს იქნება სრული კატასტროფა — ამას შეიძლება ხელისუფლების მუდმივი ცვლილებები, შიში, ტერორი და სისხლისღვრაც მოჰყვეს!

### ლაშა გვასალია:



„ჩვენ მხოლოდ ვჭამთ და ვსვამთ წყალს, თორემ ვართ მკვდრები, დაუმარხავი მიცვალებულები“...

## რედაქტორის სვეტი

„მენაგვის სიმღერა“ ჰქვია ლექსს, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ:

**„ხსნა არა ჩანს არსაიდან,**
**კვლავ ძველებურს ვუსმენ ქაქანს.**
**რა გაიტანს, რა გაიტანს,**
**რა გაიტანს ამდენს ნაგავს?!**

**დავიღალე, გიჟსა და ხელს,**
**ამ ნაგავის გამო ვგავარ.**
**ეს ნაგავი, ის ნაგავი,**
**ვილამ უნდა გამოგავოს?**

**ხსნას არ ველი არსაიდან,**
**ვუსმენ გრიგალების გრაგანს.**
**რა გაიტანს, რა გაიტანს,**
**რა გაიტანს ამდენ ნაგავს?!“**

ეს ლექსი დიდი ხნის წინათ არის დაწერილი — როგორც ჩანს, მაშინაც ნაგვის გატანის პრობლემა იდგა და შეწუხებულს ეს ლექსი დამიწერია.



ვახტანგ ხარჩილავა

დასუფთავებისა და ნაგვის გატანის პრობლემა დღემდე ვერა და ვერ მოგვარდა ამ ქვეყანაში.

**ცხადია, პოლიტიკურ ნაგავს ვგულისხმობ, რომელსაც ძველი ხელისუფლება ტოვებს ხოლმე ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ**, ხოლო ახალი ხელისუფლება, იმის ნაცვლად, რომ დანაგვიანებული სახლი დროულად გამოგავოს, ძველ ნაგავს ახალს აყრის ზედ და ამით ცდილობს პრობლემის გადაფარვას და მიფუჩეჩებას, ძველი ნაგავი კი ნელ-ნელა ალპობს ახალსაც და ასე იქცევა ეს ორი ნაგვის ერთ დიდ გროვად.

ნებისმიერმა დიასახლისმა იცის, სახლში სისუფთავე რომ იყოს და იქაურობა არ აყროლდეს, ნაგავი კუთხეში კი არ უნდა მიაქუჩო — უნდა გაიტანო და სანაგვეზე გადაყარო.

დასუფთავების ეს უალტერნატივო წესი, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ ნაგავსაც ეხება.

**თუ ახალ ხელისუფლებას სურს სისუფთავე იყოს მის „სახლში“, ანუ სახელმწიფოში, რომელიც მას ამ სახელმწიფოს მოქალაქეებმა ანდეს საპატრონოდ და მოსავლელად, ამ სახლიდან, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ნაგავი უნდა გაიტანო და პოლიტიკურ სანაგვეზე უნდა გადაყარო.**

თუ ეს არ გააკეთე, თანაც სწრაფად და ოპერატიულად თუ არ იმოქმედე, ხსნას დაიწყებს ყველაფერი, ხსნის პროცესის შეჩერება კი ძალიან რთული, თითქმის შეუძლებელია.

ლპობის პირველი ნიშნები უკვე სახეზეა და ახალი ხელისუფლების „პოლიტიკური დასუფთავების სამსახურმა“ თუ დროზე არ იმარჯვა, ავყროლდებით, ბატონებო!

შეიძლება, ვიღაცებმა იწყინონ — რასაა რომ გვაკადრებთ, მენაგვეები კი არ ვართ ჩვენ — მინისტრები ვართ, პარლამენტარები ვართ, დიდი კაცები ვართ და ნაგავში ქექვას ხომ არ დავიწყებთ?

მათ საყურადღებოდ მინდა ვთქვა — ჯერ ერთი, მენაგვეობა სულაც არ არის სათაკილო ხელობა, პირიქით, ძალიან საჭირო და საპატიო პროფესიაა და მეორეც — როცა პარლამენტარებად გირჩევდით, როცა მაღალ თანამდებობებზე ინიშნებოდით, ისიც უნდა გცოდნოდათ, რომ ზოგჯერ ცოცხისა და აქანდაზის ხელში აღებაც მოგიწევდათ.

დაგავიწყდათ თქვენ, რომ ხალხის მსახურები უნდა იყოთ და სწორედ ამაში რომ გიხდით ხელფასს, თანაც იმდენს, დასუფთავების სამსახურის 20 მუშაკს რომ ვუხდით ერთად?

**აბა, როგორ გინდათ — თქვენ თეთრ ხელთათმანებში ცხვირებაწეულმა და გაბღენძილმა იაროთ, ჩვენ კი ნაგავში ჩავიხრჩოთ?**

არ გამოვა, ასე პატივცემულებო!

საერთაშორისო თანამეგობრობამ (ყოველ შემთხვევაში, მას ბრალდება) სიტყვა კოაბიტაცია შემოგვიგდო ქცევის სავალდებულო ნორმად, რაც იმას ნიშნავს, რომ ძველ ნაგავს ხელი არ უნდა ვახლოთ თურმე და მასთან კოაბიტაციურ რეჟიმში უნდა ვიცხოვროთ და ვისიამტკბილოთ.

არადა, ნაგავთან „თანამშრომლობა“ შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ ნაგავთან მოთანამშრომელიც თანდათან ნაგვად იქცეს.

**კაობიტაციას რომ გვაძალებთ, ვერ გავიგე, ქვეყანა ვართ თუ ნაგვის გადასამუშავებელი ქარხანა?**

ბოლო დროს გავრცელებულმა ინფორმაციამ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდისო, საზოგადოება მთლად დაზაფრა და შოკში ჩააგდო.

ივანიშვილი თუ წავიდა, ეს ამდენი ნაგავი, ძველიან-ახლიანად, ხომ დაგვრჩა შუა „ზალაში“ გორებად დახვავებული.

## ბიძინა ივანიშვილი: ჩვენ ხალხისთვის უნდა ვიბრძოლოთ და არა მიწისთვის



— აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ჩვენ კი აფხაზებისა და ოსებისათვის მომხიბლავი სახელმწიფოს აშენება უნდა შევძლოთ. — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გერმანულ „Deutsche Welle“-სათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მან ჟურნალისტის შეკითხვას უპასუხა, რომელსაც აინტერესებდა, რა კომპრომისებზე წასვლა იქნებოდა შესაძლებელი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და აფხაზური და ოსური ურთიერთობების დასარეგულირებლად.

„არ ვიცი, ჩვენ კიდევ რა უნდა დავთმოთ და რა უნდა მოითხოვონ ჩვენგან. ვფიქრობ, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ჩვენ კი აფხაზებისა და ოსებისათვის მომხიბლავი სახელმწიფოს აშენება უნდა შევძლოთ. ჩვენ ხალხისთვის უნდა ვიბრძოლოთ და არა — მიწისთვის. ხალხს უნდა გაუჩნდეს ჩვენთან ერთად ცხოვრების სურვილი. სწორედ ეს გახდება გადამწყვეტი. არ არსებობს სხვა გზა, გარდა მეგობრული ურთიერთობებისა და მოლაპარაკებებისა.

ვფიქრობ, არც რუსეთს აძლევს ხელს გვერდით სეპარატისტული რეგიონების არსებობა. თავის ბოლოდროინდელ ინტერვიუში ვლადიმირ პუტინმა განაცხადა კიდეც: ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვთქვათ უარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. რა თქმა უნდა, უარის თქმა რთულია. პუტინის განცხადების ქვეტექსტში იგულისხმება, რომ ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს. თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ ქართველებთან ერთად უნდათ ცხოვრება, რუსეთს უფრო მეტად გაუადვილდება თავის აღიარებაზე უარის თქმა. ტყუილად ფიქრობს ყველა, რომ რუსეთს როცა უნდა, მაშინ შეუძლია მიწების წართმევა და დაბრუნება. ეს არ არის ადვილი. უნდა დავარწმუნოთ ჩვენი ძმები, რომ ჩვენთან თანაცხოვრება უფრო კარგია, ვიდრე უჩვენოდ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## პრეზიდენტმა კვლავ მოახერხა გარკვეული გაუგებრობების შექმნა - დავით უსუფაშვილი



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის თარიღთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, პრეზიდენტმა კვლავ მოახერხა გარკვეული გაუგებრობების შექმნა.

პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნულ საკითხს სტამბულიდან, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეადან გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამ სამარცხვინო მოვლენებს, რაც არჩევნების დანიშვნის თარიღს უკავშირდება, მალე უნდა დაესვას წერტილი და საარჩევნო კამპანია უნდა წარიმართოს მშვიდ და წყნარ ვითარებაში, რომ ყველა კანდიდატს ჰქონდეს საშუალება ჩაატაროს საარჩევნო კამპანია.

“აქ არის გარკვეული საკითხები და ნიუანსები. სწორედ ამის გამო შესაძლოა მე ერთი დღით ადრე დავბრუნდე საქართველოში და ამ საკითხებსაც მივხედოთ იმიტომ, რომ არჩევნები არის სახელმწიფო მოვლენა და ის არის ჩვენი ჩასატარებელი, მთავრობის, პარლამენტის, ვინც ხელისუფლებაში ვართ. ამ სამარცხვინო მოვლენებს, რაც არჩევნების დანიშვნის თარიღს უკავშირდება, მალე უნდა დაესვას წერტილი და საარჩევნო კამპანია უნდა წარიმართოს მშვიდად და წყნარ ვითარებაში, რომ ყველა კანდიდატს ჰქონდეს საშუალება ჩაატაროს საარჩევნო კამპანია”,-განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

## აჭარის ეკომიგრანტებით დასახლებულ სოფელში ახალი სკოლა აშენდება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ახალი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით დღეს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთის მოსახლეობას, მოსწავლეებსა და პედაგოგებს შეხვდა.

სამინისტროს ცნობით, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთის საჯარო სკოლა გასული საუკუნის 40 წლებშია აშენებული. შენობა ამორტიზირებულია და კაპიტალურ რემონტს არ ექვემდებარება. სკოლის შენობა სასაფლაოს გვერდით მდებარეობს. კედლები დაბზარული და დეფორმირებულია. სკოლაში არის მხოლოდ 12 საკლასო ოთახი.

ახალი სკოლა გაცილებით უკეთეს და ხელსაყრელ ადგილზე აშენდება, სკოლას ექნება თანამედროვე გათბობის სისტემა, საბუნებისმეტყველო და საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტები თანამედროვე სასკოლო მერხებით, დაფებითა და ახალი კომპიუტერებით.

სოფელი სამღერეთი აჭარის ეკომიგრანტებით არის დასახლებული, შესაბამისად, სკოლა ქართულენოვანია. ამჟამად აქ 100 მოსწავლე სწავლობს, მათგან 12 ადმინისტრაციულად შემოერთებულ შიხილოს დაწყებითი აზერბაიჯანული სკოლადან დადის და მათ 2013 თებერვლიდან, სამინისტროს მიერ დანიშნული მიკროავტობუსი ემსახურებათ.

სოფელში დემოგრაფიული მდგომარეობა ზრდადია. შესაბამისად, ახალი სკოლა 150 მოსწავლეზეა გათვლილი. თანამედროვე სტანდარტების სკოლაში ყველა პირობა იქნება შექმნილი, რათა მოსწავლემ ისეთივე სრულყოფილი განათლება მიიღოს, როგორც ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაშია შესაძლებელი.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# რა გვითხრა პატიოსანმა და წესიერმა რასმუსენმა?

## ერთადერთი პპპ-ს (პატრიოტ პედარასტთა პარტია) დაგვრჩა!

ბატონი რასმუსენი, როგორც ჩანს, წესიერი კაცია და ტყუილის თქმა მაინცდამაინც დიდად არ ეხერხება, თანაც ისეთი ტყუილის, რომელიც უკვე ასჯერ მაინს გაქვს ნათქვამი.

— საქართველო აუცილებლად შევა ნატოში, საქართველო ძალიან ახლოსაა ნატოსთან, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო, — ბრძანებდა რასმუსენი და თავისი სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიენიჭებინა, ხელებს ენერგიულად იქნევდა, თუმცა ხელები სხვა მიმართულებით მიდიოდა, სიტყვები კიდევ სხვა მიმართულებით მიქროდნენ და სადღაც პეტრიაშვილივ ცხვირის მიდამოებში გროვდებოდნენ.

პეტრიაშვილიც რასმუსენის ხელების ქნევის სინქრონულად აკანტურებდა თავს, რითაც გენმდივანს სრულ თანხმობას უდასტურებდა, თუმცა ამას იმდენად ჩქარ ტემპში აკეთებდა, რომ ტელეოპერატორის ყურადღებაც კი მიიპყრო.

რას მიაშტერდით, ნეტავ, ამ პეტრიაშვილს, კაცს თავის კანტურში უხდიან ხელფასს და ეგეც არ გააკეთოს?

რასმუსენმა, როგორც წესიერმა და პატიოსანმა კაცმა, პატიოსნად აღიარა, რომ სამშვიდობო ოპერაციებში ქართველი სამხედროების მრავალრიცხოვანი კონტიგენტის მონაწილეობას არავითარი კავშირი არ აქვს საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხთან.

გვატყუებდა თურმე, ეს სააკაშვილი — რაც უფრო ბევრნი წავალთ ავღანეთში, მით უფრო მალე შევალთ ნატოშიო, რომ გვარწმუნებდა.




კიდევ კარგი, რასმუსენი სააკაშვილივით მატყუარა რომ არ არის, თორემ იმ ათას ექვსას კაცს კიდევ ათას ექვსასი დაემატებოდა, მერე კიდევ ათასექვსასი — არიქა, იქნებ ჩქარა შევიდეთ ნატოშიო.



რა ნატო, რისი ნატო — გაეროს ეგიდით ყოფილა თურმე სამშვიდობო თუ საომარი მისია ავღანეთში და ამ გაეროში ხომ ისედაც ვართ.

29 ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა ავღანეთის სამხედრო ოპერაციებში.

როგორც ირკვევა, არც ამ მსხვერპლს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ნატოში გასაწევრიანებლად, სამაგიეროდ, ნატოში გაწევრიანება თუ გინდოდათ, 17 მაისს რაც ჰქენით, ის არ უნდა გექნათო, — დანანებით თქვა პატიოსანმა და წესიერმა რასმუსენმა.

— ხომ გეუბნებოდით, ხომ გაფრთხილებდით — ნუ გვარბევთ, ნუ დაგვდევთ, გეიაღლუმების ჩატარებას ნუ გვიშლით, თუ გინდათ ნატოში შეხვიდეთ — ნიშნისმოგებით განაცხადა სოციალურ ქსელში **პპპ-ს (პატრიოტ პედერასტთა პარტია)** გენმდივანმა — ახლა მაინც ხომ დარწმუნდით, სხვა არაფერი გიშველით. ჩვენი პარტია (**პპპ**) შემოდგომაზე დიდ, მრავალრიცხოვან მსვლელობას გეგმავს რუსთაველის პროსპექტზე და თუ საქართველო გიყვართ, მოამზადეთ თაიგულები, ბევრი, ბეევრი თაიგული მოიმარაგეთ და რო ჩავივლით და რო ამოვივლით, ეს თაიგულები გვესროლეთ (ოღონდ ნაზად და ჰაეროვნად გვესროლეთ! დაიმახსოვრეთ, თაიგული ქვა არ არის...) და ეგრევე ნატოში ხართ!

**პპპ**-ს წინადადებაზე უკვე სერიოზულად მსჯელობენ სხვა პოლიტიკური პარტიები და აქტიურ კონსულტაციებს გადიან არასამთავრობო სექტორთან.

იქნებ მართლა გვეღირსოს, ჰა?

# ოხ, შე ცუღლუტო და ონავარო „აირაი“, ანუ „არ გათეთრდების ყორანი“

„აირაი“ თავისას არ იშლის და ძველებური მანიპულაციებით ცდილობს საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს.

ასე, მაგალითად, „აირაის“ გამოკითხვით, თუ ამას გამოკითხვა ჰქვია, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი კანდიდატისთვის მხარდაჭერას ამომრჩეველთა 11 პროცენტი აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობას“ ჯერ არ დაუსახელებია თავისი რჩეული და, აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობის“ ამომრჩევლებმა არ იციან, ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი, 11 პროცენტი მაინც მზად არის, თვალდახუჭულმა მისცეს ხმა ნებისმიერ ადამიანს, ვისაც „ნაცელები“ ხელს დაადებენ.

11 პროცენტი რომ ბრმად, თვალდახუჭული გენდობა, აი, ამას ჰქვია, ძმაო, ნდობა და ავტორიტეტი.

ეჰ, ამ თვალდახუჭულებმა დაღუპეს ეს ქვეყანა, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ასეა თუ ისეა, „აირაის“ კვლევის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე „ნაცები“ გადიან.

ისემც შენ დაგიმშვენდა ცხვირი, „აირაი“, რაც ეს მართალი არ იყოს!

ოხ, შე ცუღლუტო და ონავარო „აირაი“, ვის დავალებას ასრულებ, რა სპექტაკლისთვის გვამზადებ და რა სცენარის განხორციელებას აპირებთ შენ და შენი დამკვეთები?

იქნებ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე რომელიმე „ნაცის“ გაყვანა გინდათ, რომ ამით განამტკიცოთ ლეგენდა იმის შესახებ, რომ „ნაცმოძრაობა“ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რისი დასტურიცაა ის, რომ მისმა კანდიდატმა საპატიო მეორე ადგილი დაიკავა საპრეზიდენტო არჩევნებში.



ასეთი პოლიტიკური ძალა, რაღა თქმა უნდა, „იმსახურებს“ იმას, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდით იყოს წარმოდგენილი პარლამენტში და ერთადერთი ოპოზიციური ძალა ერქვას.

აი, ამგვარი სცენარის ფრაგმენტები იკითხება „აირაის“ კვლევაში.

ეს სცენარი, როგორც ჩანს, კოაბიტაციის ძალად თავსმოხვეული პროცესის ერთგვარი გაგრძელებაა და იმ საერთო გეგმაში ჯდება, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში მხოლოდ ორი ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა არსებობდეს, ხოლო ერთ-ერთი ამ ორიდან აუცილებლად „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა იყოს.

დიახ, ქართველი ხალხის კიდევ ერთხელ შეურაცხმყოფელი ასეთი გეგმაც არსებობს და, ეტყობა, ამ გეგმის ავტორები მანამდე არ მოისვენებენ, სანამ ქართველ ხალხს მოთმინების ფიალა არ აევსება და ქვით და კეტით არ გამოეკიდება მის აბუჩად ამგდებებს.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ბოლოსდაბოლოს გვითხრას „ქართულმა ოცნებამ“ რას უპირებს „ნაცმოძრაობას“?

**გვესაუბრება „სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე**

**—ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ გარემოს?**

— მიმდინარეობს ერთი მონოპოლისტური სისტემის რღვევა და ახალი მონოპოლისტური სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა „ქართული ოცნების“ მხრიდან. თუ კვლავ გაგრძელდება ძველი მონოპოლისტური სისტემის ნანგრევებზე ახალი მონოპოლისტური გარემოს შექმნა, სადაც ერთი პირი ან პარტია იქნება ბიზნესის, სამართლის ან სხვა სტრუქტურის მფლობელი, მონოპოლიზებული ეყოლება მედია და ა.შ. სტაგნაციის პროცესი გაღრმავდება და, საბოლოო ჯამში, დაზარალდება ქვეყანა და ხალხი, რომლებიც ელოდნენ უკეთეს მომავალს. ჯერჯერობით ტენდენცია უკეთესობისკენ არ მიდის. უკვე ცხრა თვე გავიდა და უკეთესობას ვერ ვამჩნევთ. შეიძლება, ვინმე შემომედაოს ტემპებთან დაკავშირებით, მაგრამ, ვფიქრობ, თუ დღესვე მკაფიოდ არ გამოვთქვით შეხედულებები, ინიციატივები და წინადადებები, ხვალ, შეიძლება, გვიან იყოს. ჯერჯერობით ტენდენციებზე ვლაპარაკობთ და ეს ტენდენციები დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს.

მაგალითად, პრაქტიკულად, არ ხდება მმართველი გუნდის ცალკეული ჯგუფების ერთ გუნდად ჩამოყალიბება. ჯერ ვერ გავარკვიეთ, რა ხედვებისა და ორიენტაციისაა დღევანდელი ხელისუფლება. ერთი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს. არ გვინახავს არავითარი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ფაქტობრივად, გაურკვეველია, რას აპირებს და რას აკეთებს, საერთოდ, ახალი მთავრობა.

**— სამწუხაროდ, კოჰაბიტაციის რეჟიმში გადაგვისროლეს, იქნებ ამის ბრალიც არის, რომ ახალი ხელისუფლება ვეღარ ახერხებს მოსახლეობას აუხსნას ამა თუ იმ რეფორმის ან ინიციატივის არსი და მნიშვნელობა.**

— არავის არსად არ გადავუსროლივართ. კოჰაბიტაციის პროცესში თვითონ გადავეშვით თავფეხიანად.

როდესაც უცხოელი ექსპერტები, პოლიტოლოგები გვთავაზობენ რაიმე კონკრეტულ წინადადებას, იქვე გათვალისწინებულია რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც პარალელურად უნდა განხორციელდეს. კოჰაბიტაციაზე საუბარი არ ნიშნავს იმას, რომ არ მოხდეს, მაგალითად, სასამართლოების წმენდა. კოჰაბიტაცია არაა ის, რომ პროკურატურა პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, მთელ მსოფლიოს აგებინებს იმას, რომ, პოლიტიკური დევნაა დაწყებული. მერე გვწყინს, რატომ გვაკრიტიკებენო.

საზოგადოებას ეუბნებიან, რომ ერთი მხრივ, დანაშაულებრივ რეჟიმთან გვაქვს საქმე, მეორე მხრივ, საუბრობენ, რომ იგივე რეჟიმთან კოჰაბიტაციის პროცესში არიან...

**თუ დემოკრატიაზე საუბრობთ და „ნაცმოძრაობის“ „გადარჩენა“, როგორც ბრძანეთ, დემოკრატიის ამოცანაა, კეთილი ინებეთ, როლანდ ახალაია კომისიაში ჩართეთ და გვერდით მოისვით.**

მას იგივე უფლებები აქვს, რაც თქვენ. ნუ ხართ არათანმიმდევრულები და ამოიგდეთ თავიდან ეს დრომოჭმული ბოლშევიკური მიდგომები.



თუ დემოკრატია გნებავთ, დემოკრატიას არ სჭირდება არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების გაძლიერება, როცა 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნები თავიდან ბოლომდე იყო ფალსიფიცირებული და გაყალბებული. „ნაცმოძრაობას“ რომ 40% არ მიუღია, ეს ყველამ ვიცით და ახლა საუბარია მათთვის დაფინანსების გაზრდაზე.







თუკი ქართული დემოკრატიის გადარჩენა „ნაცმოძრაობის“ გადარჩენაა, რატომ არ არის ქართული დემოკრატიის ამოცანა არასაპარლამენტო ოპოზიციის და კერძოდ, „სახალხო პარტიის“ გადარჩენა, მაშინ რაღა საჭიროა იმ ემოციური ფონის შექმნა და „ნაცმოძრაობის“, როგორც რეჟიმის მაკომპრომეტირებელი ფარული ჩანაწერების გამომზეურება.

**— ფაქტობრივად, გამოდის ისე, რომ ყველა ჩვენს ინიციატივას და ნაბიჯს საზღვარგარეთიდან რეაქცია მოჰყვება, რატომ არ გვაძლევენ დამოუკიდებლობის უფლებას თუ უფრო უარესადაცაა საქმე?**

— დააკვირდით, ვინ ქმნის ასეთ შთაბეჭდილებას — ისევ ხელისუფლება. რაც სჭირდებათ და ხელს აძლევთ, იმას ახმაურებენ, რაც არა — მალავენ.

ავიღოთ ნატოს თემა. ღიად და გასაგებად თქვა რასმუსენმა — აისაფის ოპერაციაში ქართული ჯარის მონაწილეობა არაა ნატოში ინტეგრაციის გარანტი, საჭიროა, საქართველო აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რაც მიღებულია საერთაშორისო თანამეგობრობაში — ჯანსაღი პოლიტიკური გარემო, რეალური თვითმმართველობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, საჯარო და ღია სივრცე, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ.

მე არსად მსმენია, გენერალურ პროკურორს ერთი კვირით ადრე გამოეცხადებინოს ის, რომ ერთი-ორი კვირის შემდეგ ვიღაცას დაიჭერს. შედეგი რა არის და ის, რომ, საბოლოო ჯამში, მთავარ დამნაშავეს კი არ იჭერენ, არამედ მეორეხარისხოვანს და მსხვილი დამნაშავეები თავისუფალი დადიან.

**მერაბიშვილი გარეთ იქნება თუ ციხეში, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. სანამ სასამართლო განაჩენი ძალაში არ შევა, ის უდანაშაულოდ ითვლება. როცა ხდება ასეთი არაარგუმენტირებული და არათანმიმდევრული დაჭერები, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები და ეჭვები. მე მიმაჩნია, რომ ეს შეგნებულად კეთდება.**

**— თქვენი აზრით, სინამდვილეში რა ხდება?**

— რა ხდება და, ხელისუფლებაში არიან ის ადამიანები, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას პირდაპირ უკავშირებენ ახალი მონოპოლისტური სისტემის გამყარებას და, შესაბამისად, ქმნიან დაძაბულ გარემოს და შემდეგ, ვინც სჭირდებათ, იმას ხელს არ ახლებენ. მაგალითად, სასამართლო, რომელმაც შეინარჩუნა პრივილეგირებული მდგომარეობა. მაგრამ რა საჭირო იყო ვენეციის კომისიაში ამდენი კამათი და დისკუსია, ან უარყოფითი დასკვნები — ნუ შეუწყვეტთ უფლებამოსილებას იუსტიციის საბჭოსო. ამათ მაინც შეუწყვიტეს, მერე შეუჩერეს უფლებამოსილება, არჩევნები დაანიშნინეს და მაინც იგივე დარჩა ყველაფერი. დასავლეთის თვალში „ქართული ოცნება“ არასწორი აღმოჩნდა. სად არის სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკური ნება?!

ძველი პროკურორები ისევ პოსტებზე არიან, ყოფილი გენპროკურორის მოადგილეს ჩხატარაშვილს „ოცნებასთან“ ურთიერთობები აქვს და ა.შ. ერთი დამნაშავე კოალიციის მეგობარია, მეორე დამნაშავეზე ძებნაა გამოცხადებული. მოგვიწოდებს ცივილიზებული სამყარო — ნუ გააკეთებთ ასეო; იმას, რაც „ნაცმოძრაობას“ ეპატიება, სხვა პოლიტიკურ პარტიებს არ აპატიებენ.

**— არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები თუ ხვდებით ერთმანეთს და მოქმედების გეგმებზე თუ გაქვთ საუბარი?**

— სამწუხაროდ, დღეს ოპოზიციური პარტიები ისევ იმ მეთოდებით მუშაობენ, რომ, როგორმე, ინდივიდუალურად გაარკვიონ პირველთან ურთიერთობა.

**— კერძოდ?**

— საზოგადოებამ თვითონ განსაჯოს, მე დაინტერესებულ პირად რომ არ მიმიჩნიონ. ხალხი მალე თვითონვე შეაფასებს, ვინ ეტმასნება მმართველ ძალას, როგორც უწინ, „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებას რომ ცდილობდნენ, უცებ გაშიფრა ხალხმა ის პარტიები.

ამიტომ ყველა არასაპარლამენტო პარტიას ვთავაზობ — ეჭვი რომ არ გაჩნდეს, შევიმუშაოთ ერთიანი პარამეტრი, თუნდაც ოპოზიციის ქცევის კოდექსი, წინა პლანზე წამოვწიოთ ის იდეოლოგიური საკითხები, რომლებიც გადამწყვეტია ქვეყნისთვის, გავარკვიოთ, რას ნიშნავს ჯანსაღი საჯარო გარემო, ერთიანი კრიტერიუმებით საკითხისადმი მიდგომა. სამწუხაროდ, არ მიმდინარეობს ამ ტიპის სამუშაოები.

დღეს ხელისუფლებას პრინციპული პოლიტიკური პოზიციები არ აქვს, ამიტომ ძნელია ოპოზიციური ნიშის გამაგრება.

სანამ ხელისუფლება არ ჩამოყალიბდება, ოპოზიციური პარტიები ვერ შეძლებენ პოზიციების გამყარებას.

„სახალხო პარტია“ დიდი ხნის პარტიაა, მას აქვს ჩამოყალიბებული პოზიციები და ჩვენ არ გვიჭირს ამ მხრივ. მე სხვებზე ვსაუბრობ.

**— ნინო ბურჯანაძე და მისი პარტია, თქვენი აზრით, ამ კუთხით დაბნეულია?**

— მათი ჩამოყალიბებული პრინციპები მე არ მინახავს. შეიძლება, აქვთ და მე არ მიმიწვდება ხელი, მაგრამ საპარლამენტო პარტიებს ისედაც აქვთ საპარლამენტო ტრიბუნა, მედიასთან ხელმისაწვდომობა, კომუნიკაციის საშუალებები, ვიზიტების დაფინანსება და ა.შ. დღეს ჩვენ, არასაპარლამენტო პარტიებს, გვჭირდება მაქსიმალური კონსოლიდირება. „ოცნების“ ცდუნებები და შეცდომები ჩვენი ბრალიცაა გარკვეულწილად, რადგან არა ვართ მეტად მობილიზებული და მოტივირებული მათი ოპონირებისთვის. „ნაცმოძრაობამ“ იმდენი რამ დააშავა, „ოცნება“ მას კარგა ხანს ვერ „დაეწევა“. ასე რომ, ის კიდევ დიდხანს იქნება პრივილეგირებულ მდგომარეობაში. „ოცნებას“ კიდევაც აწყობს მისი ოპონენტი „ნაცმოძრაობა“ იყოს, რადგან ამ დემორალიზებულ ძალასთან უფრო გაუადვილდება საკუთარი შეცდომები გადაფაროს. შესაძლოა, დაინტერესებულნიც კი არიან, სხვა ოპოზიციური ძალები არ გამოჩნდნენ. სამწუხაროა, თუ მათი აზროვნება მეტად სახელმწიფოებრივი არ იქნება...

**— იმაზე რას იტყვით, ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა — არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავალო. მის დასახელებულ კანდიდატურას — გიორგი მარგველაშვილს ამომრჩეველი დაუჭერს მხარს, თუკი მის საყრდენად ივანიშვილს არ მოიაზრებს?**

— ზოგჯერ ისეთი განცხადებები კეთდება, გაოცდება დაკვირვებული ადამიანი. „ნაცმოძრაობას“ რომ გავანადგურებ, მერე ოპოზიციაში გადავალო, ასეთ რამეს რომ იტყვის პოლიტიკოსი, რა თქმა უნდა, ეჭვით შეხედავს დასავლეთი ქართულ პოლიტიკას. რეალურად ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ ამბობს — ხვალ მე გავაკონტროლებ ოპოზიციასაცო. ამან განაპირობა ის, რომ მთელი დასავლეთი დღეს კბილებით იცავს „ნაცმოძრაობას“, რადგან პირდაპირ დაისვა საკითხი — თუ არ იქნება „ნაცმოძრაობა“, ვიქნები მეო. ამიტომ არასანდო პარტნიორთა სიაშია მოხვედრილი ივანიშვილი. რას ნიშნავს ასეთი ლაპარაკი, მიიყვანე დაწყებული საქმე ბოლომდე და წადი მერე, თუ ვინმემ დაგაკავოს, მაშინ გაიქაჩე...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „მიდის ოპერა „ლაკმე“, ბუტაფორიის შეხლა“

## რომ მოხდეს სასწაული და პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკოსი ჯონდი ბაღათურია „ბორის გოდუნოვში“ მთავარი პარტიის შემსრულებლად მიიწვიოს, ხომ გაგვიკვირდება? მაშინ ის რატომ არ გვიკვირს, პოლიტიკოსი ბაღათურია მომღერალ ბურჭულაძეს რომ იწვევს საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარი როლის შემსრულებლად?

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს “თუ გიორგი მარგველაშვილმა ვერ „მოიცალა“, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება პაატა ბურჭულაძე იყოს“, უცნაური გაგრძელება მოჰყვა — „ქართულმა ოცნებამ“ არა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტობის სასურველ და სანატრელ კანდიდატად პაატა ბურჭულაძე პოლიტიკოსმა ჯონდი ბაღათურიამ დაასახელა.

ბატონ ჯონდის მალევე გამოუჩნდნენ მიმდევრებიც, მათ შორის პოლიტიკოსებიც და სოციალურ ქსელში დიდი ბჭობა და დიდი გნიასი ატყდა.

პოლიტიკოს ბაღათურიას მიერ მომღერალი ბურჭულაძის პოლიტიკაში მიპატიჟება და მისთვის პრეზიდენტობის შეთავაზება მაინცდამაინც დიდად არავის გაჰკვირვებია და არც ის უთქვამს ვინმეს — უხერხულია, მომღერალი კაცი რატომ უნდა გავაპოლიტიკოსოთ და იმ სფეროში რატომ უნდა გადავისროლოთ, სადაც მას არავითარი გამოცდილება არ აქვსო.

საოცარი პარადოქსების ქვეყანაა საქართველო — რატომღაც ყველას ჰგონია, რომ რაც არ იცის, აი, ის იცის ყველაზე უფრო კარგად.

ქართველთა ეს უცნაური თვისება განსაკუთრებული აქტიურობით იმ დარგში ვლინდება, რომელსაც პოლიტიკას ვეძახით.

პოლიტიკოსობაზე და პოლიტიკაში მოღვაწეობაზე თანახმაა ყველა, მიუხედავად იმისა, ამ საქმის რაიმე გაეგება თუ არა.

ყველაზე მოთხოვნადი თანამდებობა მაინც პრეზიდენტობაა, რომელსაც მოქალაქეთა ერთი ნაწილის აზრით, არც პოლიტიკოსობა სჭირდება თურმე, არც პოლიტიკურ საქმიანობაში გამოცდილება, არც სათანადო ცოდნა და განათლება.

სამწუხაროდ, ამ მცდარი ქვეყნისთვის საზიანო და მავნებლური





მოსაზრების გავრცელებას ხშირად თავად პოლიტიკოსები უწყობენ ხელს, რისი ცოცხალი მაგალითიც ბაღათურიას ეს ბოლოდროინდელი ინიციატივაც გახლავთ.

პოლიტიკის, როგორც ერთი ურთულესი დარგის, თვითდისკრედიტაცია პოლიტიკოსების მიერ, ეს რაღაც ახალი მოვლენაა.

მართალია, არსებობს პრეცედენტები, როცა ხელოვნების წარმომადგენლები ქვეყნის მეთაურებად გვევლინებოდნენ, მაგრამ ეს არ ხდებოდა ერთბაშად — ისინი ჯერ პოლიტიკური საქმიანობის ძალიან რთულ და ხანგრძლივ გზას გადიოდნენ და მერე ირჩევდა მათ ხალხი უმაღლეს პოსტებზე, პირდაპირ სცენიდან ან კინოს გადასაღები მოედნიდან კი არ მიჰყავდათ და საპრეზიდენტო სავარძელში კი არ სვამდნენ...

ლენინი ამბობდა: „ჩვენ ისეთი სახელმწიფო უნდა შევქმნათ, რომლის მართვა „კუხარკასაც“ კი შეეძლებაო“.

ბოლო ხანებში საქართველოშიც იგრძნობა მისწრაფება იქითკენ, რომ ისეთი სახელმწიფო შევქმნათ, რომლის მართვა „კუხარკას“ თუ არა, ფეხბურთელს და მომღერალს რომ არ გაუჭირდება.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია, მეორე ნაბიჯსაც თუ გადავდგამთ, ავშენდებით და ეგ არი.

დაბოლოს, რომ მოხდეს სასწაული და მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ ოპერა „ბორის გოდუნოვში“ მთავარი პარტიის შემსრულებლად პოლიტიკოსი ჯონდი ბაღათურია მიიწვიოს, ხომ გაგვიკვირდება?

მაშინ ის რატომ არ გვიკვირს, პოლიტიკოსი ბაღათურია მომღერალ ბურჭულაძეს რომ იწვევს მთავარი პარტიის შემსრულებლად სპექტაკლში „საპრეზიდენტო არჩევნები“? ხომ ვერ გვეტყვით, ძვირფასო მელომანებო, რომელი ოპერიდან არის ეს ყველაფერი და ვინ არის ამ ოპერის კომპოზიტორი?

### გიორგი მარგველაშვილი მზად არის, განათლების მინისტრის თანამდებობა დატოვოს



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი მზად არის განათლების მინისტრის თანამდებობა დატოვოს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში მარგველაშვილმა განაცხადა, სამინისტროში რამდენიმე პროცესია დასამთავრებელი, როგორც კი ეს პროცესები დასრულდება და ის დაიწყებს საარჩევნო კამპანიას, თანამდებობიდან გადადგება.

„კანონი მაძლევს იმის უფლებას, რომ დავრჩე თანამდებობაზე, მაგრამ ჩვენ სწორედ იმიტომ მოვედით ხელისუფლებაში, იმიტომ გვაქვს პრეტენზია ქვეყნის მართვის, რომ ახალი სტანდარტები და პოლიტიკური კულტურა დავნერგოთ. ბუნებრივია, როგორც კი დავიწყებ საარჩევნო კამპანიას, მე გადავდგები, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ მავალდებულებს. კონკრეტულად ჯერ სლოგანსა და სხვა დეტალებზე ჩამოყალიბებული არ ვართ. ჩვენ ძლიერი და ორგანიზებული გუნდი ვართ. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მხარს გვიჭერს. რაც შეეხება იმას, რა შანსები აქვს ნაციონალურ მოძრაობას არჩევნებში გამარჯვების, ამაზე დასკვნები პოლიტოლოგებმა უნდა გააკეთონ”, - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

### შალვა ნათელაშვილი: სირცხვილია, როდესაც პოლიტიკურ პარტია საპრეზიდენტო კანდიდატებს არა პოლიტიკიდან, არამედ, ოპერიდან ეძებს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში პაატა ბურჭულაძის მონაწილეობის თაობაზე ოპოზიციური პარტიის ინიციატივას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სირცხვილია, როდესაც პოლიტიკურ პარტიას აქვს პრეტენზია ლიდერობაზე, გარკვეული გამოცდილებაც აქვს და საპრეზიდენტო არჩევნების დროს კანდიდატებს არა პოლიტიკიდან, არამედ, ოპერიდან ეძებს.

როგორც ნათელაშვილმა სასტუმრო “თბილის მერიოტში” დღეს ჟურნალსიტებთან შეხვედრისას განაცხადა, საქართველოში უნდა დასრულდეს პოლიტიკური ექსპერიმენტები. უამრავი ექსპერიმენტი გამოიარა ქვეყანამ, რომელმაც “კისერი წაგვატეხინა”. პოლიტიკაში პოლიტიკოსების ადგილია, მეღვინეობაში მეღვინეების, ბიზნესში ბიზნესმენების, ხელოვნებაში ხელოვანების და ისინი ერთამანეთს ხელს არ უნდა უშლიდნენ, მით უფრო ფეხებში არ უნდა ეხლართებოდნენ.



„როგორც ჩანს, ზოგიერთებს სურვილი აქვთ, რომ „თავო ჩემოთი“ გაგვასვენოს ცნობილმა მომღერალმა. მე ამის სურვილი არ მაქვს, დანარჩენი მისი ხელოვნებისადმი ღრმა პატივისცემას ვადასტურებ. სირცხვილია, როდესაც პოლიტიკურ პარტიას აქვს პრეტენზია ლიდერობაზე, აქვს გამოცდილებაც და საპრეზიდენტო არჩევნების დროს ეძებს კანდიდატებს არა პოლიტიკდან, არამედ, ოპერიდან, თეატრიდან, სპორტიდან. ეს არ ეკადრებათ ჩემს პოლიტიკურ მეგობრებს და კოლეგებს. თავის კანდიდატურები დააყენონ და ამას უფრო მივესალმები და საზოგადოებაც გაგებით შეხვდება, ვიდრე უხერხულობაში ჩააყენონ არაპოლიტიკური ფიგურები”, - აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

„მედიანიუსი“

# ყველა ქართველს უნდა ესმოდეს, რომ საქართველო მისი ქვეყანაა, ჩემი („ჩემი და შენი“) და ამ ქვეყანაში წესებს ვამყარებ მე („მე და შენ“)

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი **გიორგი ყორღანაშვილი**

**— ბატონო გიორგი, უკვე დაიწყო საუბარი საპრეზიდენტო არჩევნებზე და თქვენ, როგორც ყოველთვის, ვისთვის საფუძვლიანად, ვისთვის უსაფუძვლოდ, უკმაყოფილო ხართ. კონკრეტულად რა არ მოგწონთ?**

— მოკლედ გეტყვით, მე არ მომწონს რომ პრეზიდენტი იყოს დანიშნული!

გიორგი მარგველაშვილი კარგია თუ ცუდი, პლასტელინივით მოქნილია თუ როგორია, არ მაინტერესებს. პრემიერმა თქვა, მართალია, მარგველაშვილს და-



ბალი რეიტინგი აქვს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ იგი არის ერთადერთი კაცი, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებსო. პრემიერი ამას რომ ამბობს, თვითონაც ხომ უნდა მსჯელობდეს სახელმწიფოებრივად? ჩვენ, ჩემმა ჯგუფმა, გადავწყვიტეთ, რომ ამას გავუწიოთ წინააღმდეგობა და მივაღწიოთ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს — ესაა ჩვენი პროგრამა-მინიმუმი, დამთავრდა საქართველოში „ჩმორობის პერიოდი“!

მარგველაშვილის კანდიდატურა რომ წამოაყენა პრემიერმა, ვიკითხე, რომელიმეს კახური ფესვები ხომ არ აქვს-თქო. ქართული იგავი მოგეხსენებათ, მამა რომ ვაჟებს დაიბარებს და ისრის კონას მისცემს გადასატეხად, ჰოდა, მისცა ერთი წკნელი და უთხრა, გადატეხეო. გადატეხა. შემდეგ წკნელის კონა მისცა, აბა, ეს გადატეხეო. მმოიკრიბა ჯანი ბიჭმა და გადატეხა. ვირი ხარ, შე შობელძაღლო, რა უნდა გელაპარაკო, — შეუკურთხა მამამ. აი, მილიონს, ვერც კახელი გადატეხავს და ვერც ვერავინ, ამიტომ გადაწყდა, შეგვექმნა „მილიონი ისრის კონა“, რაც მომაკვდავი შაჰ აბასის ქართველებისადმი მიმართული წყევლის გაჭრაცაა.

**— შაჰის სინანული „ორი რამ ვერ დავამარცხე, ქართველი და სიკვდილიო“, ვიცი, მაგრამ წყევლისა რა მოგახსენოთ...**

— მომაკვდავმა შაჰმა ალაჰს შესთხოვა, არ დაუშვა ქართველების ერთად დგომაო... რატომ უნდა შინებოდა ირანის შაჰს ქართველების ერთად დგომის? იმიტომ, რომ ერთად დამდგარი საქართველო გაუტეხელი ძალაა, რომლის ფესვების სიძლიერე საუკუნეების მიღმიდან მოდის. უძველესი ქვეყანა არის ირანი, მაგრამ საქართველო უძველესთ უძველესია და დღემდე იმ ფესვებით იკვებება.

ჩვენთან როგორ არის, იცი, „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, ან „ჩვენზე უბედური ერი დედამიწაზე არ არის“ — ორი უკიდურესობა.

ჩვენ ცოტა სხვა ფორმა მივეცით, თორემ ჭყონდიდელი დავითს ეუბნება, ყველა ქართველ კაცს უხილავი გვირგვინი უნდა დავადგათ მეფისაო. „ქალს“ და „კაცს“ მნიშვნელობა არ აქვს, პირიქით, დიდი ბოდიში კოლეგა მამაკაცებთან, მაგრამ როგორც ვხედავ, ქალები უფრო მყარები და ძლიერები არიან საქართველოში... უსიტყვოდ უნდა ესმოდეს ყველა ქართველს, რომ საქართველო მისი ქვეყანაა, ჩემი („ჩემი და შენი“) და ამ ქვეყანაში წესებს ვაწესებ მე („მე და შენ“) — ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 17 მაისს.

გამოკვეთილად აგრესიული შეტევა დაიწყო მართმადიდებელ ეკლესიაზე, რომ კრძალავს რალაცებს. ვთქვათ, სულაც არ ხარ რომელიმე რელიგიის მიმდევარი, ათეისტისთვის რა, პედერასტობა მისაღებია?

17-ში სასულიერი პირები რომ გამოვიდნენ, მადლობა უნდა უთხრან სიტუაციის მოწესრიგებისთვის, თორემ მათი ჩარევის გარეშე, შეიძლება, ძალზე ცუდად დამთავრებულიყო ის დღე. უმთავრესი — 17 მაისს გამოჩნდა, რომ ერი მთლიანია ამ საკითხში, „მილიონი ისრის კონაა“. სწორედ ამიტომ, ახლა მღვდლებს სდევნიან, კიდევ ერთხელ მოითხოვა ევროსაბჭომ, გამოიძიეთ ეს ამბავი და დასაჯეთ დამნაშავეებიო, სასულიერო პირებისკენ იშვერენ ფარულად ხელს. ესენი, აქაურები, გამწარებულები არიან, რადგან მსხვერპლი არ მოჰყვა პროვოკაციას და დიდძალი გრანტი დაეკარგათ. პირადად ჩემი და ჩემი მეგობრების აგრესია სწორედ სასულიერო პირების გამოჩენამ შეარბილა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთელი ცივილიზებული მსოფლიო დაემონა ამ ვირუსს, ლგბტ-ს და ერთადერთი ქვეყანა ვართ საქართველო (რუსეთიც რაღაცას „აჩმახებს“, მაგრამ საქართველოს საერთო განწყობასთან მოსატანი არ არის), რომელიც პირდაპირ ამბობს: სულ ჭიქაზე მკიდიხართ, ჩემი ქართული ადათ-წესებით გეუბნებით, აქ ვერ გაიხარებთ, აბა, გადატეხეთ „მილიონი ისრის კონა“, ვისაც შნო გაქვთ!

**— როგორც ვიცი, თქვენს გარემოცვაში აიკრძალა თხოვნა, პროტესტი, მოწოდება — ცოტა არ იყოს, გაუგებარია...**

— ამ კუთხით ძალზე კატეგორიულები ვართ, რადგან ასეც უნდა იყოს. ჩვენს ქვეყანაში „მე და შენ“ არავის არაფერი არ უნდა ვთხოვოთ, ჩვენ გავაკეთებთ ისე, როგორც საჭიროდ ჩავთვლით და დასავლეთი იქნება თუ ხელისუფლება, იმან აპროტესტოს, იწუწუნოს და ითხოვოს რამდენიც უნდა. 17-მა მაისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი და ნელ-ნელა მივდივართ კიდეც ამისკენ. ძალიან მსიამოვნებს, როდესაც სრულიად უცხო ადამიანისგან მესმის „მილიონი ისრის კონა“, „მე და შენ“ — ეს ამბიცია არ არის, ეს შაჰ აბასის წყევლის გაჭრაა...

პრემიერი რომ გამოდის, გულანთებული ქართველია — ეს არის მაქსიმუმი, მეტი რა გინდა,



მაგრამ მოდი, ასე შევთანხმდეთ, მუქთა ყველი მხოლოდ ხაფანგშია და პრემიერი ხაფანგშია გაბმული!

**— დააკონკრეტეთ, ბატონო გიორგი...**

— როდის იყო, რომ ელჩები სახლებში დადიოდნენ? 1 ოქტომბერს სააკაშვილი რომ გამოვიდა, ეგზიტპოლებით ვაგებთო; 2 ოქტომბერს გამოაცხადა, წავაგეთო და ცოტა ხანში პრემიერის შედგენილი სია რომ გადაწერა მინისტრების დანიშვნაზე, ამის გამკეთებელი იყო სააკაშვილი მიშიკა? ამიხსნას ვინმემ, ვინ და რამ აიძულა ხელისუფლება დაეთმო? — ბანკის ვალი რომ იყოს, გადაიხდი პროცენტს, ძირს და თავისუფალი ხარ, მაგრამ ეს არის ისეთი ვალი, რომელსაც, რაგინდ პროცენტი გადაიხადო, როგორც ქუჩის ვალს ვერ დაფარავ, ისე ამასაც ვერ გადაიხდი...

**— გასაგებია, ამიტომ გინდათ „უვალო“ ომბუდსმენი, არჩეული...**

— ასეა, რადგან არჩეული კაცი არავის წინაშე არაა ვალში გარდა ამომრჩევლისა. თუ მივაღწევთ იმას, რომ ომბუდსმენიც და პრეზიდენტიც იქნება არჩეული და არა დანიშნული, მას ექნება „მილიონი ისრის კონის“ ძალა, ხალხის ძალა, რომელსაც ვერავინ გადატეხს!..

ჩვენ შევადგინეთ პროგრამა და საქართველოს ფარგლებს გარეთ გასული ხალხის ფანტასტიკურ მობილიზებას ვაკეთებთ — დიდი შანსია, რომ პირველი ტური გამარჯვებულ საპრეზიდენტო კანდიდატს ვერ გამოავლენს, მეორე ტურში კი, ვნახოთ.

**— თქვენი წამოყენებული კანდიდატის იმედი გაქვთ?**

— არა, რას ამბობ, შანსი არაა, ჩვენი ქმედება მასობრიობაზეა გათვლილი. „ჩემი და შენი“ საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამაში იქნება: 1) საყოველთაო დასაქმება 2) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა 1991 წლის დროინდელ ფარგლებში 3) კანონიერი ხელისუფლების აღდგენა თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით 4) ნეიტრალიტეტის გამოცხადება — ავღანეთსა და მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებში ქართული ჯარის ყოფნის აკრძალვა 5) პენსიები არანაკლებ საარსებო მინიმუმისა 6) სექსუალური უმცირესობების პროპაგანდის აკრძალვა 7) სამართლიანობის ერთხელ და სამუდამოდ აღდგენა (1991-1992; 1992-2003; 2003-2013 წწ) 8) სოროსისმაგვარი ფონდებისა და ქვეყნის წინააღმდეგ მომუშავე „ასო“-ების აკრძალვა 9) მასმედიის სრული თავისუფლება 10) საგარეო ვაჭრობის დადებით ბალანსზე გადაყვანა 11) კონტროლის დაწესება გრანტებზე 12) ინვესტიციებისთვის მსოფლიოში საუკეთესო პირობების შექმნა 13) „ნაციონალური“ და „რესპუბლიკური პარტიის“ მოქმედების შეჩერება (აკრძალვა?!) 14) სახალხო დამცველის არჩევითობა 15) ცსკო-ს ადამიანური პრინციპით დაკომპლექტება 16) მრავალმაგი მოქალაქეობის გაუქმება 17) ემიგრანტებისთვის ხმის მიცემის რეალური პირობების შექმნა და მათი საერთოდაც დაბრუნება 18) ნამდვილი ადგილობრივი მმართველობა 19) მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტობა 20) მშობიარობისა და დემოგრაფიისთვის ხავერდოვანი პირობები 21) განათლება და სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო უზრუნველყოფით 22) რეგიონების მოწინავე სახელმწიფოებთან ნამდვილი დამეგობრება 23) მოსამართლეთა არჩევითობა 24) ყველა არჩევითი თანამდებობიდან გამოწვევის უფლება 25) მიწა უფლისაა და უცხოელისთვის მისი გადაცემა ტაბუდადებულია — ყველაფერი ეს განხორციელდება რეფერენდუმით.

კანდიდატები და აგერ პროგრამა, ვინც მხარს დაუჭერს ჩამოთვლილ საკითხებს, სანაცვლოდ მიიღებს მილიონ ხმას — ცნობილებიდან და ძვირფასი ტელესახეებიდან ვერავინ ბედავს... ის მაინც თქვი, შე ოჯახაშენებულო, რომ საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებ, მაგრამ ვინ გაბედავს, მარგველაშვილი ამას იტყვის? რომ არ იტყვის, არც გაემტყუნება და იცი, რატომ, იმიტომ, რომ ისიც ხაფანგშია გაბმული. მე (ჩვენ) ის ხალხი მჭირდება, რომლებიც ხაფანგში არ არიან გაბმული!

გადახედეთ დაპირებულ სამართლიანობის აღდგენას! როგორც ჩანს, სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ გულის მოსაფხანი ჰგონიათ ზოგიერთებს, ვიღაც რომ დაიჭირონ და გუდაში ჩასმული, ცხვრების ყურადღების მოსადუნებლად ფარეხში ჩამოკიდებული აკნავლებული კატასავით რომ აყურებინონ გამწარებულ ხალხს. პრემიერი ხაფანგშია და ვერ აკეთებს გასაკეთებელს? — „მე და შენ“ აქ ვართ, ჩვენ გავაკეთებთ! ვთქვათ, ვანო მერაბიშვილი რომ ციხეშია, „მე და შენ“ რა? აი, ვანოს რომ ჩემი (ჩვენი) უზარმაზარი ტყეები აქვს მითვისებული (და გადამთიელებს), ის დამიბრუნე, თორემ ის რომ იქ ზის, ზის და იჯდება, მსოფლიო კიდევ ირახრახებს, პოლიტიკური ნიშნით არ დაიჭიროთ ხალხიო...

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო — თქვენ, „საერთო გაზეთი“ ხართ ერთადერთი და „ობიექტივი“, ვინც ჩემი მასმედიაა, თუ არ ჩავთვლით ინტერნეტს.

თქვენ ეროვნულ პრინციპებზე დგახართ, ამიტომ გექმნებათ პრობლემები და ძალიან ცუდია ისევ მათთვის, ვინც, თუ გამოკვეთილად არ გმტრობთ, კარგსაც არაფერს გისურვებენ...

**მაია ჭელიძე**
593 32 49 71

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ელიზბარ ჯაველიძე:
# ნუ გადავაქცევთ მეცნიერებათა აკადემიას დუნდუკების აკადემიად!



**ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. არჩევნებს ხმის მიცემის უფლებით აკადემიის 99 წევრი ესწრებოდა, თუმცა ხმები 58- 54-ზე გადანაწილდა. გამარჯვებული კი გიორგი კვესიტაძე გახდა. ამჯერად არჩევნების წესმა, აკადემიკოსი, მწერალი ელიზბარ ჯაველიძე აღაშფოთა.**

**რატომ არის კვესიტაძის დანიშვნა მკრეხელობა, რატომ დატრიალდა მეცნიერებათა აკადემიაში უზნეობის სურნელი და რატომ შიშობს ბატონი ელიზბარი, რომ მეცნიერებათა აკადემიას გადუნდუკება ემუქრება, ამ თემებზე იგი თავად გვესაუბრა:**

— ზოგადად, ქვეყანაში, ადამიანის ღირსების ჩასაკლავად ბრძოლა ჯერ კიდევ შევარდნაძემ დაიწყო, სააკაშვილმა კი, ადამიანის ღირსება მიწასთან გაასწორა. ბოლო მოვლენებს თუ გადავხედავთ, რაც კადრების სახით ვიხილეთ, არ შეიძლება ნორმალურ ერში ხდებოდეს. ეს მაფიქრებინებს, რომ ქართველი ერი გადაშენების პირასაა. არც ერთ რეჟიმს მსგავსი არაფერი გაუკეთებია. საგანგაშო ისაა, რომ ჟურნალისტთა ნაწილი, ამ ყველაფერს ზერელედ უყურებს იმიტომ, რომ ამ რეჟიმის შემქმნელი და მონაწილე თავად არის. ყოველივე ამის მერე მაინც მქონდა იმედი, რომ ერთადერთი სიწმინდე მეცნიერებში და მეცნიერებათა აკადემიაში იყო შერჩენილი, მაგრამ შევცდი. 1988 წლიდან წევრკორი ვარ, ახლა ნამდვილი წევრი გავხდი და ეს დიდი პატივია. ახლახან, არჩევნები ჩატარდა. პრეტენზია არავის მიმართ მაქვს, მაგრამ ის, რაც აკადემიაში მოხდა, ჩემთვის დამაფიქრებელია. სხვათა შორის, თქვენ კიდევაც გისაყვედურეთ, როცა დაწერეთ, რომ არჩევნების წესები არ განაპირობებდა იმას, რითაც აკადემიკოსი უნდა არჩეულიყო. თუნდაც ის, რომ კომისიის ნებისმიერ წევრს შეუძლია ყველა კანდიდატს მისცეს ხმა. ახლა ასეთი რამ მოხდა — ათმა განყოფილებამ (აკადემიაში სულ 10 განყოფილებაა) ერთის — მიკრო-ბიოლოგიის განყოფილების გამოკლებით, რომლის მხოლოდ ოთხმა წევრმა გიორგი კვესიტაძე წარადგინა, დანარჩენი — ექვსი წევრი კი ხმას, თამაზ გამყრელიძე წარადგინა, მაგრამ არჩევნების შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ — კვესიტაძემ — 58, ხოლო გამყრელიძემ 54 ხმა მიიღო. თამაზ გამყრელიძეს შეიძლება ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ იგი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერია, რომელმაც ქართული მეცნიერების სახელი საზღვარგარეთ გაიტანა. მის შრომებს ჰუმანიტარული და ენათმეცნიერებათა დარგში კარგად ვიცნობ, ჯერ კიდევ 33 წლის იყო, როცა აკადემიკოსად აირჩიეს, საბჭოთა კავშირის აკადემიის ნამდვილი წევრიც იყო. მსოფლიოში, თითქმის ყველა აკადემიის საპატიო წევრია.

**— რაც შეეხება კვესიტაძეს, მისი მიღწევების შესახებ რა გსმენიათ?**

— ბიოლოგიის დარგის სპეციალისტი არ ვარ და ამიტომ, ბუნებრივია, რომ მის შესახებ არაფერი მსმენია. თუმცა, მისი შვილის შესახებ მსმენია, რომ ბათუმში „ალი და ნინო“ დადგა. ეს ძეგლი ქართველი ერის შეურაცხმყოფელია. რამეთუ, მოგეხსენებათ, ალი შიიტების სულიერი მოძღვარია, ხოლო ნინო ჩვენი განმანათლებელი, ამ დროს ხდება მათი ერთმანეთში ერთგვარი შესვლა-გამოსვლა, რაც ჩემთვის მიუღებელია. შეიძლება, როგორც ხელოვნების ნიმუშზე პრეტენზია არ გქონდეს, მაგრამ ეს ჩვენი ერისთვის შეურაცხმყოფელია. გიორგი კვესიტაძის შესახებ კარგიც მსმენია და ცუდიც. მითხრეს, არ გაგიკვირდეს, რომ პრეზიდენტად აირჩიონო და აირჩიეს კიდეც. მაგრამ, როცა მეცნიერებათა აკადემიას პრეზიდენტებად მუსხელიშვილი, ვეკუა, ხარაძე, თავხელიძე და გამყრელიძე ჰყავდა, მათ შემდგომ პრეზიდენტის სავარძელში კვესიტაძის ჩაბრძანება, მკრეხელობად მიმაჩნია. აქ, იცით, რა მოხდა? — მავანი ვიცე-პრეზიდენტების ადგილს კარგავდა, ზოგიერთმა აკადემიკოსად არჩევნების დროს მარცხი განიცადა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, ჩემი აზრით, უზნეობაა, როდესაც ოფიციალურად სხვა ადამიანს წარადგენ და მერე ხმას სხვას აძლევ. ეს მამულიშვილური ნაბიჯი არაა, არამედ ესაა ფარისევლობა, რომელიც ყველაზე დიდ ცოდვად და უზნეობად ითვლება. აქედან ჩანს, რომ უზნეობის ჭაობის სურნელი, რაც მთელ საქართველოშია მოდებული, აკადემიაშიც ტრიალებს. ახლა კი მინდა, ერთი ძველი ამბავი გაგახსენოთ:

დაახლოებით 1835 წელს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი აირჩიეს, რომელსაც არავითარი სამეცნიერო შრომები არ ჰქონდა. იგი იმდროინდელმა განათლების მინისტრმა უვაროვმა დანიშნა. როგორც ჩანს, სიტყვა — დუნდუკი აქედან მოდის. საქართველო გაივსო ასეთი დუნდუკებით. პუშკინმა ეპიგრამა დაწერა და მეცნიერებათა აკადემიას გაუგზავნა — „Â Àêàäåì èè í àóê çàñåäàåò êî ÿçü Äóí äóê, ãî âî ðÿò í å ïî äàáàåò Äóí äóêó òàêàÿ ÷åñòü: ïî÷åì ó æ îí çàñåäàåò? _ ïîòîìó ÷òî åñòü ÷åì ñåñòü“. სხვა ხელნაწერებში ბოლოში წერია — æîïà åñòü. ამ ლექსით ქართულ მეცნიერებათა აკადემიას და მის ამომრჩეველს მინდა ვუთხრა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დუნდუკების აკადემიად ნუ ვაქცევთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სინამდვილეშიც გამოჩდნენ უვაროვები, რომლებიც აკადემიის საქმეებში გარედან ერევიან.

**— ანუ ჩვენი აკადემია შეიძლება დონდუკოვის პერიოდისას დაემსგავსოს?**

— მთავარი პრობლემა ის არის, რომ არ შეიძლება ერთმა წევრმა ორივე კანდიდატს მისცეს ხმა. აქამდე ასე არ იყო. ეს გამყრელიძემ შემოიღო, რაც სწორად არ მიმაჩნია. თუ არჩევანია, ერთი უნდა აირჩიო, თუ არადა, გამოდის, რომ მაშინ თამაშობ. შეიძლება ორივე ძლიერი კანდიდატია, მაგრამ მეცნიერული შრომების მიხედვით უნდა გადაწყვიტო, რომელს მიანიჭო უპირატესობა და რომელს — არა. ჩემი აზრით, ქართული მეცნიერება უნდა იყოს ეროვნული თვითობის, ტრადიციებისა და ზნეობის დამცველი. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ წერილი დავწერე — „რამ დაგადუმათ, თქვე, ერის შვილებო“, სადაც ქვეყნის ბედისადმი მეცნიერთა გულგრილი დამოკიდებულება გავაკრიტიკე. დღეს რაც ხდება, ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. სხვათა შორის, თითზე ჩამოსათვლელია ადამიანები, ვინც ამ სიმრუდეს, სიბილწეს, გათახსირებულობას, რაც წინა რეჟიმმა დააფუძნა, ამხელდა. ელექტრომედია უზნეობას ქადაგებს. დღეს არც ერთი ტელევიზია არ უჭერს მხარს იმ პოლიტიკას, რასაც ბიძინა ივანიშვილი ატარებს. ივანიშვილის დიდი იმედი მაქვს, რამეთუ სიმართლისა და ქვეყნისთვის იბრძვის. მაგრამ არსებობენ ძალები, კერძოდ, „რესპუბლიკელები“, რომლებიც მას ეწინააღმდეგებიან და კრიჭაში უდგანან. ეს ის ძალებია, რომელთაც საქართველო ეზიზღებათ და მისი მტრები არიან. ასევე, ისინი ყველაზე საშიში მტრები თავად ბიძინა ივანიშვილისთვის არიან. ერთი სიტყვით, როგორც უკვე ვთქვით, პუშკინისდროინდელი დუნდუკოვები ბრუნდებიან. ეს, ჩემთვის თავზარდამცემი და შეურაცხმყოფელი ფაქტია. კვესიტაძეს მდიდარი ბიოგრაფია აქვს. იგი სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო, ინსტიტუტის დირექტორიც, მაგრამ როგორ ილვაწებს აკადემიაში, მთავარი ესაა!

**— ზოგადად, თუ არსებობს კრიტერიუმები, რითაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი უნდა აირჩეს. თქვენ, როგორც აღნიშნეთ, მეცნიერი კვესიტაძე აქამდე არ გაგვგოთ. მაშინ რას ექცევა ყურადღება?**

— სამწუხაროდ, დღეს ასე ხდება, უნივერსიტეტის რექტორს კვიტაშვილსაც, ხარისხი არ აქვს. ილიას უნივერსიტეტის რექტორს გიგი თევზაძესაც, სადოქტორო დისერტაცია ორჯერ ჩაუგდეს და ბოლოს, ერთმა ჩემმა პატიოსანმა მეგობარმა მამამისის ხათრით გაიყვანა. ეს საერთო სენია. ამიტომ გასაკვირი არაფერია. საგულისხმო მაინც ის არის, რომ, როცა ადამიანი სავარძელში ჯდები, საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდე. ადამიანი ამშვენებს სავარძელს და არა პირიქით, სავარძელი — ადამიანს. თუ ადამიანი სავარძელს არ ამშვენებს, მაშინ ასეთი სავარძელი აუცილებლად აგიტყორცნის და ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდები. თუკი ერი იარსებებს და თუკი მას თავის ღირსება, ზნეობა, განათლების საფუძვლები დაუბრუნდება და უნივერსიტეტები გაიწმინდება, მაშინ ამას აკადემიის გაწმენდაც მოჰყვება.



**— რაც შეეხება არჩევნების წესს, ჩემს პუბლიკაციებში აღვნიშნავდი, რომ შესაცვლელია. თქვენ რას ფიქრობთ, მეცნიერებათა აკადემიაში დღეს არსებულ არჩევნების წესზე?**

— დიახ, ეს არჩევნების წესი შემაშფოთებელია — თუ ხმას ერთ კანდიდატს აძლევ, მეორისთვის ხმის მიცემის უფლება აღარ უნდა გქონდეს. ამაშია საქმე. ორივესთვის ხმის მიცემამ ამ შედეგამდე მიგვიყვანა.

**— დიდი ხანია, გვესმის საუბარი იმაზე, რომ მეცნიერებაში კრიზისია. რა გამოსავალი არსებობს?**

— ჯერ სკოლა დაშალეს, მერე უნივერსიტეტი, ახლა აკადემიის სისტემას მიადგნენ და ისიც დაშალეს — ანუ მთელი რიგი ინსტიტუტები, სადაც დიდი მეცნიერული კვლევები მიმდინარეობდა, გამოჰყვეს და მერე შენობები გაყიდეს. მაგალითად, დღეს თუკი სადმეა შემორჩენილი, ისიც რომელიღაც უნივერსიტეტსაა მიკედლებული, როგორც თუნდაც აღმოსავლეთმცოდნეობა, ინსტიტუტის განყოფილების გამგის ხელფასი 250 ლარია, ხოლო მერიაში, დამლაგებლის ანაზღაურება 1000 ლარს შეადგენს. რას ჰგავს ეს? ასე როგორ უნდა განვითარდეს მეცნიერება?! მართალია, მეცნიერება ერთი ხელის მოსმით ვერ მოსპეს, ქუდი დატოვეს, მაგრამ არავინ არაფერს გვეკითხება.

**— ამის გამოსასწორებლად, რა უნდა გაკეთდეს?**

— აკადემიას გრანტების განაწილების უფლება უნდა მიეცეს. განათლების სამინისტროსთან არსებულ ფონდს გრანტების განაწილებასთან არაფერი ესაქმება. იცით, როგორ იყო გრანტების განაწილება? — მე, რადგან სააკაშვილს ვაკრიტიკებდი, გრანტების სიახლოვეს არ მაკარებდნენ. უნივერსიტეტი უნდა გაიწმინდოს სოროსისა და მიხეილ სააკაშვილის დაფინანსებული კადრებისგან. ზოგს წიგნი არათუ დაწერილი, წაკითხულიც კი არ აქვს და ლექციებს კითხულობს, ესაა უბედურება. 56 წლის სტაჟის მქონე პროფესორები უსინდისოდ გაყარეს. ჯერ ჩაკეტილ დარბაზში წყალს არ აწოდებდნენ, მერე ვინც ხმა ამოიღო, ხულიგნად გამოაცხადეს. შემთხვევითი არ იყო, რომ გურამ შარაძე ხულიგნობისთვის 2-ჯერ გაასამართლეს. დღეს შებრძანდით ეროვნულ ბიბლიოთეკაში და რას ნახავთ? — სადაც წიგნებია გამოფენილი, ბავშვებისთვის მიძღვნილია იეღოველების წიგნი. ვეკითხები ახალ დირექტორს — რა უნდა ამ წიგნს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელიც ბავშვებისთვისაა და თანაც თვალსაჩინო ადგილას გამოფენილი? ეს ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ საქართველო, როგორც ერი უნდა განადგურდეს. ეს სისტემა ჯერ არ დაშლილა. ვამბობ, რომ სააკაშვილი ბოროტებაა, ივანიშვილი — სიკეთე. მაგრამ როგორც კი ამ სისტემაში მოხვდები და მას არ დაანგრევ, კეთილი ველარ იქნები და ნებით თუ უნებლიედ იმ საქმეს გააკეთებ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გოგი თოფაძე: მინდა მივულოცო მთელ საქართველოს — ამიერიდან ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება!

გვესაუბრება პარლამენტარი **გოგი თოფაძე:**

**— ბატონო გოგი, 20 წელია, სულ ომში და ბრძოლაში ხართ. საქართველოსთვის ძალიან დიდი ნაბიჯი იყო ის, რაც თქვენ გააკეთეთ, დიდი გამოძახილი ჰპოვა თქვენს მიერ საქართველოდან „პილზნერის“ გაძევებამ. ამის შემდეგ ომიდან არ გამოსულხართ. თქვენ იბრძოდით საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისთვის, ასევე დაუპირისპირდით ვალავს, შევარდნაძის, სააკაშვილის ხელისუფლებას. არადა, წესით, ბიზნესმენისთვის ასეთი ომი მომგებიანი არაა. შეგეძლოთ წყნარად მჯდარიყავით, მაგრამ თქვენ ბრძოლა აირჩიეთ. ეს ომი დასრულდა თუ ისევ გრძელდება?**



— ჩვენი ქვეყანა უცხოელი მრჩევლების იმედად, ჯერ კიდევ 1995 წლიდან იმყოფება. მსოფლიოში პირველი ქვეყანა როდი ვართ, ვინც ამ მრჩევლებმა გაანადგურეს და დაღუპეს. ასეთებია სამხრეთ ამერიკა, აზია, საბჭოეთის ქვეყნები და ა.შ. მთელი მსოფლიოს მოწინავე, მოაზროვნე ხალხი დღეს ამ პრობლემას ებრძვის იმიტომ, რომ ამ კორპორაციებმა საბანკო სისტემა გაანადგურეს. ახლა ევროც მოსპეს. ადამიანები, რომლებიც ამას აღუდგნენ, თუნდაც დიდი ქვეყნების წარმომადგენლები, ხედავთ, რა დღეშიც არიან. დღეს ასანჟის დასდევენ. გამოქვეყნდა სადაზვერვო სამსახურების სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობის მიუღებელი მეთოდები. ჩვენ დროზე ვერ მივხვდით, რა გვჭირდა. ახლა მოვდივართ გონს. ეს ერთი სისტემაა — სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სოროსის ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ამ ბანკების უზარმაზარმა კორპორაციებმა მთელი მსოფლიო ხელში აიღეს. ეს აბსოლუტურად ერთი სისტემაა, ასევე, რიგი არასამთავრობოებიც, რომლებიც ჩვენთან მრავლადაა. მათი მოღვაწეობა, ბევრმა ქვეყანამ აკრძალა, ისინი პირდაპირ აგენტებად გამოაცხადეს და მათგან შესული თანხა, პრაქტიკულად, იბლოკება. დღეს ეს უკვე აშკარა გახდა. ისეთი წარმატებული ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, ესპანეთი და ა.შ., ვინც მათ კლანჭებიდან გამოუძვრა, აყვავდა. მაგალითად, ახლა, ინდონეზია, ბრაზილია წინ, ჩქარი ტემპით წავიდა. მათ სავალუტო ფონდის და სხვა ორგანიზაციების კლანჭებიდან გამოძრომა შეძლეს.

**— სავალუტო ფონდმა, ლათინური ამერიკის ქვეყნებიც ხომ წარმოუდგენელ დღეში ჩააგდო?**

— რა თქმა უნდა, პანამა, ეკვადორი, კოლუმბია, ბოლივია სწორედ მათ გაანადგურეს.

**— ჩვენთან რა სიტუაციაა, ჩვენც ხომ არ გაგვანადგურეს?**

— მოგახსენებთ. იცით, რატომ გვაქვს ჩვენ ამხელა საგარეო ვალი, რას აკეთებდა სავალუტო ფონდი,? — ვთქვათ, სესხის აღება გვინდოდა, ამისთვის მოსყიდვა შესანიშნავად ხორციელდებოდა. ირანელი კაცი — შადმან ვალავი უდიდესი ფსიქოლოგი იყო. მგონი, ახლა მაროკოშია დაჭერილი. გეტყვით, რა სქემა მოქმედებდა — ვთქვათ, ქვეყანას სჭირდება თანხა 200 მილიონი, 50 მილიონს მოგცემს, ხოლო 150 მილიონს შემდეგი სახით გაძლევს — რაც თავის ქვეყანაში ჩაუწვა და ვერ ასაღებს, იმას გასამმაგებულ ფასში გაძლევს.

მათ კარგად იციან, როგორი სქემით უნდა მოკლან ეკონომიკა, რაც ჩვენ გაგვიკეთეს კიდეც. 1996 წელს ვიცოდით, რომ მათი შემოღებული საგადასახადო სისტემა დაანგრევდა ქვეყანას, ამის წინააღმდეგ ვილაშქრებდით. მეორეც, ვალავმა ხმამაღლა გამოაცხადა — თქვენ არ გჭირდებათ სოფლის მეურნეობა — რასაც აწარმოებთ, ყველაფერი ჭარბწარმოებულიაო. იგი ამბობდა, თქვენთვის მეღვინეობა უპერსპექტივოა იმიტომ, რომ სხვა ქვეყნები თქვენზე მეტს აწარმოებენო. კი, რა თქმა უნდა, ღვინო მსოფლიოში ჭარბწარმოებულია, 180%-ია წარმოება, მაგრამ როგორ, საქართველოში ღვინოს ტრადიცია არ გვაქვს? ჩვენთან მოსპეს ჩაიც, ციტრუსიც, ღვინოც და საკონსერვოც. ეს ყველაფერი გეგმაზომიერად გაანადგურეს. სოფელი მთლიანად მოსპეს. მაქვს დოკუმენტი, სადაც სავალუტო ფონდი აქედან აგზავნის ანგარიშს — საქართველოში ნიჭიერი, მაგრამ კანონდაუმორჩილებელი ხალხია და რომელი სქემა ვიხმაროთ მათ გასანადგურებლადო. პასუხი იყო — თქვენ მანდ ხელფასს იმიტომ იღებთ, თავად უნდა გვითხრათ, რომელი სქემით გავანადგუროთო. მერე, ალბათ, ეს სქემა შეიმუშავეს. გახსოვთ, ალბათ, ბენდუქიძე რომ გაჰყვიროდა, სოფლის მეურნეობა არ გვინდაო, ციფრებით საუბრობდა — სოფლის მეურნეობის მთლიანი საერთო პროდუქტი 7-8 %-იაო. ყველაფერი მოსპეს. ჩაი მოგვისპეს და ხალხს შთააგონეს — ჩვენი ჩაი არ ვარგაო. არადა, ყოველთვის შესანიშნავი ხარისხის 200 ათასი ტონა ჩაი მოგვდიოდა. ჩაი იმ პირობით მოგვისპეს, რომ ჩაის მრეწველობის მოდერნიზაცია უნდა გაეკეთებინათ. რუსეთის ბაზარი 85% ჩვენს ჩაის ეკავა. შემოგზავნილი იყო თაღლითი მარტინ ბაუერი, ვინც მოგვისპო ჩაი, მას თვითონ ჰქონდა იქ თავისი ქარხნები.

**— სოფლის მეურნეობის გარდა ხომ ადგილობრივი მრეწველობაც გაჩანაგდა?**

— ეს იმიტომ მოხდა, რომ წინა ხელისუფლება, სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა ორგანიზაციებთან, ძალიან მონურ ურთიერთობაში იყო. შადმან ვალავი, მონრო სერიოზული ფსიქოლოგები იყვნენ. ეს პატარა ბაჭყატუნები, ვინც მაშინ, 1995 წელს ჩვენი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ, უცებ მოქრთამეს, მათ რეკომენდაციებს, ჩვენები კანონებად სცემდნენ, შედეგად მრეწველობა იღუპებოდა. საქართველოში გვქონდა უამრავი ქარხანა, სოფელი ძლიერი იყო, ხალხი — დასაქმებული. ეს ორგანიზაციები, სწორედ ამას ურტყამდნენ. რატომ გარბის დღეს ხალხი საქართველოდან? — ისეთი სიტუაცია შეუქმნეს, აღარ იცის, რა მოიყვანოს. ამბობენ, ქართველ გლეხს შრომა არ უნდაო. ქართველი გლეხი ნიჭიერია, მაგრამ ვერაფერი გაყიდა. გადავიდა საზამთროს მოყვანაზე და მაშინვე ირანიდან, ასტრახანიდან შემოუტანეს ეს პროდუქტი. პომიდვრის მოყვანა გადაწყვიტა და თურქეთიდან „პლასტმასის“ პომიდორი შემოუტანეს. ქათამი, ღორი მოუწამლეს. რა ქნას გლეხმა? ბრძოლა მიდის. ხალხს ჰგონია, ეს ყველაფერი შემთხვევით ხდება. არა! ეს შეგნებულად კეთდება — ისეთი საკვები შემოიტანეს, მარტო შინაური ღორები კი არა, ტყეში ტახებიც დახოცა, რომლებიც ყველაფერს უძლებენ. ასე ებრძვიან ქართველ გლეხს.

**— ანუ გამოდის, ეს ყველაფერი შეგნებულად კეთდება და მავანი დაინტერესებული არაა ადგილობრივი მეურნეობის განვითარებით. გეთანხმებით, ჩვენს გლეხს შრომა ნამდვილად არ ეზარება. ასე რომ იყოს, თურქეთში ხომ არ გაიქცეოდა ხილის მოსაკრეფად, არადა, აქ საკუთარი უფუჭდება.**

— დიახ, ასეა. ჩაისაც თურქეთში კრეფენ, არადა, ჩვენთან ჩაის მოყვანის გაცილებით უკეთესი პირობაა. ეს საკითხი, ბატონ პრემიერთან დავაყენე. ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელიც შემოსულ იმპორტირებულ საქონელს არ აკონტროლებს. ეს ბენდუქიძემ გააკეთა. თანამედროვე ლაბორატორია არ გვაქვს, სადაც პროდუქციის გამოსაკვლევად ანალიზები ჩატარდება.

მაგალითად, იმ ჩაის, რაც ჩვენთან შემოაქვთ, სხვაგან ვერ შეიტანენ იმიტომ, რომ საღებავები აქვს გარეული. ასევე ხორცის ნაწარმში ძალიან დიდი რაოდენობით სოიო ურევია და ეს სულ ჩვენთან შემოდის. საქმე იქამდე მივიდა, რომ თურქეთში არაოფიციალურად იყიდება საქონელი ცალკე ევროპისთვის, თურქეთისთვის და გურჯისტანისთვის. ვენაში მინახავს საწყობები, სადაც ვადაგასული, ვადამისული პროდუქტი აწყვია და კაპიკებში იყიდება. სწორედ ასეთი პროდუქტი იყიდება ჩვენთან. თუ დაკვირვებიხართ, რატომ იქექება მთელი საქართველო? — ფსორიაზი და ათასი დაავადებაა გაჩენილი. იმიტომ, რომ რაც შემოაქვთ, უვარგისია. მაგალითად, საპონი, უცხოეთში პერანგზე ძვირი ღირს, იმიტომ, რომ ის ნატურალური ცხიმისგან კეთდება. ჩვენც ვაკეთებდით, პირადად ვიყავი ამ ქარხნის დირექტორი — ვაკეთებდით შამპუნს, პირსაბან, სახის საპონს, ტუალეტის საპნის გამოშვებასაც ვაპირებდით, მაგრამ ქარხანა მოსპეს. ზეთი საშინელი შემოდის, არარაფინირებული. ხომ გვქონდა ზეთის ქარხანა, ესეც მოსპეს. მთელი კახეთი მზესუმზირას მიაქვს, მის ნარჩენებზე საპნის ქარხანაც იმუშავებდა, მაგრამ რად გინდა? — ყველაფერი გაანადგურეს და



ხალხს ჩააგონეს, თითქოს ჩვენ უნიათოები ვართ და არაფრის წარმოება არ შეგვიძლია. რა დღეშია, იცით, მეწარმე? 80 პროცენტი სულ იმპორტზე ვართ გადასული. ადგილობრივი მეწარმე თუ რაიმეს დაიწყებს, ყველაფერს აკონტროლებენ და თუ ამით მათ ბიზნესს უშლი ხელს, იმპორტის შემოტანის თვალსაზრისით, მაშინვე შემოგიტანენ თავიანთ საქონელს, შეცვლიან კანონს, რომ ეს პროდუქტი არ იბეგრებოდეს, რათა შენ აღარ აწარმოო იგივე, მათ ხელი რომ არ შეუშალო. ასეთი განწყობა იყო ხელისუფლებაში — არ აწარმოო, დაგსჯით, წაგართმევთ.

**— ანუ ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნები პირადად აკონტროლებდნენ ამ საკითხს?**

— დიახ, აქ აღმოჩნდნენ მოღალატე ქართველები, რომლებიც ადვილად მოისყიდეს. ვინც ცოტა გაუჯიუტდა ამ ორგანიზაციებს, მაგალითად, სამხრეთ კორეა, ინდონეზია, სომხეთი, ბელორუსია და მათ არ გაჰყვა, აბა, ნახეთ, როგორ ცხოვრობენ, იქ ხალხი დასაქმებულია. ჩვენ ძალიან მონურად მოვიქეცით და ჩავძვერით ამ მინიმალურ ქრთამში. ვეღარ გავიგეთ, რომ მონობა დამღუპველია.

**— მთავრობა შეიცვალა და როგორ ფიქრობთ, გვაქვს შანსი ამ უღელს თავი დავაღწიოთ?**

— ერთი წელია, რაც მთავრობა შეიცვალა და ვიგრძენით, რომ იგი ამ უფსკრულიდან ამოძრომაზე, ხალხზე ფიქრობს. დღეს ხალხმა პირველად დაუჯერა მთავრობას. 7-8 თვეში, რა უნდა მოესწროს, როცა 22 წელია, ვინგრევით. ხალხს უნდა ხვალვე მიიღოს ყველაფერი, ასე არ ხდება. ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი საკუთარი ფული ჩადო სეტყვით დაზარალებულებისთვის. ამის მერე, თელავში პატარა სეტყვა კიდევ იყო და კიდევ დახმარებას ითხოვდნენ. რამდენი სეტყვა მოვა, სულ ხომ არ დაეხმარება? მონიზმი აქედანაც ჩანს. რატომ სთხოვ ამ ადამიანს იმაზე მეტს, რაც არ ეხება? ივანიშვილის დამსახურებაა, რომ მჟავანაძის მერე საზოგადოებამ პირველად ირწმუნა მთავრობის და იგრძნო, რომ უშველის. ესაა მთავარი. მთავრობას შეიძლება მართლაც აქვს რაღაც შეცდომები, ბატონი პრემიერი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და კარგად არ იცის, რა ხდებოდა. მაგრამ ყველას სჯერა, რომ სწორ გზას დავადექით.

**— გეთანხმებით, მთავრობის კეთილი ნება მართლაც არსებობს, მაგრამ ქვეყანა ვერ აშენდება საზოგადოების გარეშე. დღეს აშკარაა ხელოვნური ბარიერი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. ეს კავშირი მჭიდრო თუ არ იქნა, საზოგადოება ცალკე დარჩება, ხელისუფლება ცალკე, გაჩნდება ნაპრალი, რომელიც გაღრმავდება. ამ საშიშროებებს თუ ხედავთ?**

— ახალი მთავრობის კრიტიკისგან, შორს ვარ იმიტომ, რომ ძველმა მთავრობამ უამრავი პრობლემა დაახვედრა. გეთანხმებით, რაღაცებს არც ჩვენ ვიზიარებთ, მაგრამ იმდენად არასწორად აშუქებენ მოვლენებს, ხალხი ამ ყველაფერს აჰყვა. გეთანხმებით, რომ რაღაც პრობლემები ახლაცაა. პატრიოტული სულისკვეთების ხალხი ცალკე ფლანგად დარჩა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგს არ უნდა ბიძინა ივანიშვილი ამ წრესთან უფრო ახლოს იყოს, მაგრამ ერთი რამ გავიაზროთ — ამ სისტემის წაქცევა ასე ადვილი არაა. ილია რომ ამდგარიყო, მასაც გაუჭირდებოდა ქვეყნის დალაგება. ივანიშვილს ერთი ნაბიჯიც არ შეშლია. წარმოიდგინეთ, ყველა მხრიდან — დასავლეთიდან, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, შიგნიდან ზეწოლის ქვეშაა. „ნაციონალებს“ ყველა მოსყიდული ჰყავდათ და ისინი ახლა ახალ მთავრობას აუჯანყდნენ. ასე რომ ,ბევრი პრობლემა დაგვხვდა. ბიძინა ივანიშვილი დიდი ფსიქოლოგია, იგი მიამიტი არავის ეგონოს. მაგრამ არ ეგონა, ძველი ხელისუფლება და განსაკუთრებით, საერთაშორისო ორგანიზაციები ამდენ პრობლემას თუ შეუქმნიდნენ. ორ მაგალითს მოგიყვანთ: ქართველისთვის მიუღებელია არაორდინალური სექსუალური უმცირესობები. რატომ ავიწყდებათ ფრანგებმა რა გააკეთეს? — მილიონი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. მეზობელი სომხები ავიღოთ, — პარადი დაარბიეს, საავადმყოფოში მოხვდა ხალხი. მეორე დღეს აშშ-ს ელჩი გამოვიდა და ვითომდა არადემოკრატიული საქციელი დაგმო. სომხებმა, აშშ-ს საელჩოს ალყა შემოარტყეს და პერსონა ნონ-გრანტად გამოაცხადეს, საშინაო საქმეებში რატომ ერევითო. კონგრესმენები ჩამოვიდნენ და ძლივს შეარიგეს, მაგრამ სომხებმა უთხრეს — ჩვენს საშინაო საქმეებში აღარ ჩაერიოთო. ჩვენთან, ხედავთ, რა ზეწოლაა? ადრე კომუნისტები ამის გამო იჭერდნენ, ახლა ეუბნებიან — წადი, ბატონო, დაიმალე ტყეში, პარკში, ოჯახში, ლოგინში და ნუ ახდენ პროპაგანდასო. ამაზე დაობენ. მეორე მაგალითსაც გეტყვით: სასამართლოსთან მიმართებაში კოალიციის წევრების ნაწილმა დაიწყო მსჯელობა — ვენეციის საბჭო, ნატო, ეს რას იტყვის, ის რას იტყვისო და აქაც უმცირესობაში აღმოვჩნდით. მესამე, სულ ახალ მაგალითს გეტყვით: ჩვენ მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და ბოლო დროს მიწა დაჩქარებული ტემპით იყიდება. არადა, გლეხი მიწითაა დაკავებული, ამასაც რომ გაყიდის, სოფელში რაღაა უნდა აკეთოს? ნახეთ, რა ხდება? — ჩვენი ფერმერი, გლეხი აქტიურია, ამიტომ აგირავებს მიწას, რათა მერე ტექნიკა, სათესლე მასალა იყიდოს. ისეთი კანონი შემოიღეს, გლეხს ამის საშუალებაც არ მისცეს, ბევრს ჩაულპა საქონელი — ზოგს ყურძენი, ზოგს საზამთრო და ა.შ. მაგალითად, სამხრეთ გერმანიაში ჰექტარი მიწა 100 ათასი ევრო ღირს. ჩვენთან — 1000-1500 ევროდ ჰყიდდნენ. შემოგვესია ინდოელი, ირანელი, ჩინელი. შედეგად უამრავი მიწაა გაყიდული. ამასწინათ ჩემი, ზურაბ ტყემალაძის და რამდენიმე ადამიანის ინიციატივით, კანონი მივიღეთ დროებით მიწის გაყიდვის შეჩერების შესახებ. წამოვიდა შეტევა, გვეუბნებოდნენ — ეს საკუთრების ხელყოფაა, გლეხმა უნდა გაყიდოს, ამას ევროპა არ მოგვიწონებსო. მოვიძიეთ, რა რეგულაციებია ევროპაში, რამდენი ქვეყანა არ ჰყიდის მიწას, ჩვენთან კი გლეხი იძულებული ხდება, კაპიკებში გაყიდოს. ინდოეთი შემოგვესია, მათი მაცხოვრებლები მილიარდზე მეტია, რა მიწა ეყოფათ? თუნდაც ირანს, ჩინეთს. ამ კანონის მიღების შესახებ ინფორმაცია აგორდა. გლეხებს აკითხავენ, არ ვიცი ამ ხალხს ვინ აგზავნის და ეუბნებიან — მიწა იპოთეკით გაქვთ დატვირთული, ბანკი გეუბნება, 5 დღეში თუ არ გაყიდი, ამ მიწას წავიღებთო. ასეთი მეთოდები მიდის, რასაც ვერ ვერევით, მაგრამ ახლა, როგორც გითხარით, კანონი მივიღეთ და მიწა უცხოელებზე აღარ გაიყიდება. ამიტომაც ატყდა ერთი ამბავი — არადემოკრატიული ნაბიჯია, რას იტყვის ევროპაო და ა.შ. რა უნდა თქვას ევროპამ? — რად უნდა ევროპას ან ნატოს უმიწო საქართველო?!

**— ესეც მართული პროცესი ხომ არაა? გლეხმა, სოფელში მიწის გარეშე მართლაც რა უნდა აკეთოს, იძულებულია ქალაქში ჩამოვიდეს და აქედან ლუკმა-პურის საშოვნელად**

**უცხოეთში გაიქცეს. თბილისი „პერევალოჩნი პუნქტს“ დაემსგავსა.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. თქვენი რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას ინიციატივით, საქართველოში პერკინსის „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“ გამოჩნდა. ჩვენ ეს ყველაფერი ხომ ვიცოდით, რატომ ავყევით პროვოკაციას და რატომ დავანგრიეთ ქვეყანა? მისი ამოყვანა ამ წუმპიდან, უფსკრულიდან ადვილი არ არის. ცალკე ვალები უნდა ვისტუმროთ, ცალკე — ხალხის ფსიქიკა შევცვალოთ.

**— ეს სახალხო პრობლემად და არა მხოლოდ ხელისუფლების არ უნდა ვაქციოთ? თუნდაც ახლახან შემოღებული კოაბიტაცია — ეს ხომ ქართველი ხალხის, თავად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგაა მიმართული, არადა, ვიღაცებს ჰგონიათ, რომ კოაბიტაცია სააკაშვილის გამოსასარჩლებლადაა მოგონილი.**

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით. აშშ-ს ელჩისგანაც მოდის ზეწოლა, მაგრამ ბატონი პრემიერი უძლებს. ანგარიშს უწევს მათ, მაგრამ იგი ამბობს, არ მინდა თქვენი კარნახი, ვიცი, ქვეყანა როგორ უნდა



გამოვიყვანო ამ წუმპიდანო. გეთანხმებით, ივანიშვილი რაღაც-რაღაცებს ვერ ახერხებს, მაგრამ ძველ ხელისუფლებას იმდენი რამ ჰქონდა გაფუჭებული, ყველას დაჭერა შეუძლებელია. ვინც კი მათ გაეკარა, ყველა დამნაშავეა. ჟურნალისტები არ არიან დამნაშავენი? — მილიონობით ხალხს ქართული ტელეკომპანიები უსინდისოდ ატყუებენ. მაგალითად, მე ძალიან ბევრ ჟურნალისტს პასუხს მოვთხოვდი იმიტომ, რომ მათ იციან, ხალხს ატყუებენ და ამის წინააღმდეგ კი არ მოქმედებენ, პირიქით, ხალხის მოტყუებას განაგრძობენ. ტელევიზიით როცა გამოდიხარ და ამბობ, რად გვინდა სოფლის მეურნეობაო, ეს ხომ ბოროტებაა, ამიტომ ყველამ პასუხი უნდა აგოს.

დიახ, მედია ვისი გგონიათ თქვენ? — დააკვირდით მათ რეზიუმეებს, მსჯელობებს და ნათელი გახდება ყველაფერი. ხალხი დაიბნა, ყველა არხზე „ნაციონალები“ სხედან და ჭკუას გვარიგებენ.

**— თანაც ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის უწყება კვლავ მათია. გამგებლები, მოსამართლეები ისევ „ნაციონალების“ არიან.**

— აქ ცოტა უნდა გავუგოთ ახალ მთავრობას. გამგებელს საკრებულო ირჩევს, ეს კი კვლავ მათ ხელშია. „ნაცები“ ჯერ ისევ ბევრნი და მოქნილები არიან. ჩვენ ისეთი ხალხი უნდა დავიყენოთ გვერდით, ვინც რეპრესიებს, ამ რეჟიმს შეეწირა. მაგრამ ამის გაკეთება ჯერ რთულია. გუბერნატორს ისევ ეს გიჟი ნიშნავს, რამდენი ხანია, ელჩები ვერ გავგზავნეთ, მოსამართლეები, პროკურორები კვლავ მათ ხელშია. ჩვენ საზოგადოების საღ ნაწილს ისე არ ვიყენებთ, როგორც საჭიროა.

**— ამჯერად სამოქალაქო საზოგადოება, პროცესებს მთლიანად მოწყვეტილია. ზოგი მინისტრი ისე გადიდკაცდა, ტელეფონსაც აღარ პასუხობს, ზოგმა საერთოდ შეცვალა ნომრები. არადა, ხომ ამბობდნენ, სახალხო მთავრობა ვიქნებითო, ეს ხალხთან კომუნიკაციის გარეშე როგორ გამოვა?**

— გეთანხმებით, ზოგი მინისტრი მართლაც ასე იქცევა, არადა, ხალხთან მუდმივი კონტაქტი უნდა არსებობდეს. მაგრამ ერთი-ორჯერ თეა წულუკიანთან, არჩილ კბილაშვილთან, ირაკლი ღარიბაშვილთან მომიწია ყოფნამ, ჩაფლულები არიან ქაღალდებში, იმდენი საქმე აქვთ. გეთანხმებით, მეტი კომუნიკაციაა საჭირო, მაგრამ საოცრად ბევრი სამუშაო აქვთ. ალბათ, რომელიმე განყოფილებას ან მოადგილეებს უნდა დაევალოთ ხალხთან ურთიერთობა, რათა საზოგადოება საერთოდ უპასუხოდ არ დარჩეს. თუნდაც, ავიღოთ ხადური, რომელიც ძალიან ძლიერი სპეციალისტია, მაგრამ „ნაციონალებმა“ მილიონნახევარი ვალი დაახვედრეს.

**— გამოდის, ბრძოლა ისევ გრძელდება. რა არის გასაკეთებელი ამ ომიდან გამოსასვლელად?**

— დიახ, ომში ვარ, მაგრამ ახლა ერთი განსხვავებით — არა ამ მთავრობის წინააღმდეგ, არამედ ახლა ამ ომში მათთან ერთად ვიბრძვი. ახლა ყველას სჯერა, რომ მთავრობა დახმარებას გაუწევს, პრობლემების დაძლევაში დაეხმარება — ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მე კვლავ იმ საშინელებებს ვებრძვი, რაც საქართველოში წლების მანძილზე ხდებოდა, ვცდილობ ხარვეზების აღმოფხვრას. ჩვენი პირველი მთავარი ამოცანაა, ავაღორძინოთ მრეწველობა. ის, რაც გვქონდა, უნდა დავიბრუნოთ, უხარისხო იმპორტი აღვკვეთოთ. როგორც გითხარით, ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელიც შემოსულ პროდუქტს არ ვაკონტროლებთ. იცით, ეს ქვეყნის როგორი დამცირებაა? — ქვეყანა ნაგავსაყრელად იქცა. ამიტომაა, რომ ადამიანი ნორმალურ პამიდორს, კარტოფილს ველარ შეჭამს. გლეხობა ისე დაწამლეს, მათ სათესლე მასალაზე არიან გადასულები. ეს უნდა გამოსწორდეს. საქართველოს სიძლიერე ყოველთვის სოფელი იყო. მოსახლეობის ნახევარი სოფლად ცხოვრობდა. ახლა დაირღვა ეს ბალანსი და ყველა ქალაქში მირბის, თუ რატომ, ზემოთ უკვე მოგახსენეთ. სოფლის მოყვანილი პროდუქტის გადამუშავება ჩვენი ეკონომიკის 70 პროცენტია. ადრე, იცით, როგორ იყო? — გლეხს ოღონდ მოეყვანა პროდუქტი, მისი წაღება და რეალიზაცია პრობლემა არ იყო. დღეს გლეხი გზის პირას დგას და თავის ნაშრომს ჰყიდის. ცოდო არ არის? მას მუშაობაში ხელი ხომ უნდა შეუწყო, ნუ შემოიტან უცხოეთიდან ნაგავს, როცა იცი, რომ იგივე პროდუქტს შენი გლეხი აწარმოებს. მაგალითად, დღეს, საქართველოში პამიდორი 20 ათასი ჰექტარი მოჰყავთ. ეს სავსებით საკმარისია. ათასი ვარიანტი არსებობს იმისთვის, რომ თუნდაც ეს პროდუქტი უცხოეთიდან არ შემოვიტანოთ. გორში ვაშლი აჩეხეს და ახლა ეს პროდუქტი უცხოეთიდან შემოგვაქვს, რატომ უნდა ხდებოდეს ასე? ამიტომ ეს კანონები უნდა შეიცვალოს. რთულია კოდექსის შეცვლა. ჩვენი ფრაქცია ამ მიმართულებით იმუშავებს. არის საკითხები, რაშიც არ ვერევი, მაგრამ ეს სფერო ჩემია და ვალდებულიც ვარ, ქვეყნისთვის სასიკეთოდ შევცვალო ყველაფერი. ბევრი ხალხი მოდის, იმედი გაუჩნდათ. მოკლედ, საქართველო უნდა დავიბრუნოთ.

ხვალიდან ქართული მიწა აღარ გაიყიდება, არ შეიძლება ამის გაკეთება. ევროპა რას გვეტყვის იმაზე კი არა, ქვეყნის გადარჩენაზე, მომავალ თაობაზე უნდა ვიფიქროთ. ჩემი თაობა წავა, არა მგონია ამ ათ წელიწადში რაიმე შეიცვალოს, მაგრამ ჩემი შვილიშვილი თავის ქვეყანაში, მონა არ უნდა იყოს. ვინც მონობა არ მოინდომა და ზემოთნახსენები ორგანიზაციების კარნახს, მითითებებს ხელი აუქნია, ყველა აყვავდა. უკვე მთელი მსოფლიო აღსდგა, არავის უნდა სხვისი მითითებების შესრულება და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დღევანდელმა მთავრობამ ეკონომიკური თავისუფლების პროგრამის ნაცვლად „ვალდებულებების დაგროვების“ პროგრამა შემოგვთავაზა

***გვესაუბრება „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე:***

**— როგორ გესახებათ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, რა პრობლემებს, რა საფრთხეებს ხედავთ ამ კუთხით?**

— დღევანდელმა მთავრობამ ეკონომიკური თავისუფლების პროგრამის ნაცვლად „ვალდებულებების დაგროვების“ პროგრამა შემოგვთავაზა, რაც სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სოციალური და სხვა ვალდებულების აღებას გულისხმობს და გამორიცხავს საბაზრო, კონკურენტული პრინციპით პრობლემების მოგვარებას, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიც ამ ამოცანას მიუსადაგა. შედეგი, უკვე სავალალოა: ბიუროკრატია და პარტიული ელიტა წარმოებაზე დომინირებას ცდილობს და ეს კი ინიციატივას კლავს. დღევანდელმა მთავრობამ ვერ ისწავლა წინა მთავრობის გამოცდილებაზე: საკუთრება და წარმოება ხელშეუხებელი უნდა იყოს!

**— ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება დღიდან მოსვლისა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით არაფერს აკეთებს, მაგრამ პრობლემა იმაშიც ხომ არაა, რომ მათ ამის საშუალებას არ აძლევენ.**

— ეკონომიკური თავისუფლების გაფართობას ვერავინ შეუშლის ხელს, თუკი ეს ქვეყანაში უნდათ, პირდაპირი სამხედრო მოქმედებების გარდა. პრობლემა არის ის, რომ მთავრობას არ უნდა, არ ჭიდება და ალბათ არც სწამს ეკონომიკური თავისუფლების. შესაბამისად, თვად მთავრობაა პრობლემა.

თანამედროვე სამყარო, მიუხედავად ყველაფრისა ეკონომიური საზღვრების გამარტივებისკენ მიდის და ეს დიდებულია. დღეს ჩვენ დახლებზე დევს ჩილესა და ახალი ზელანდიის პროდუქცია, ისევე როგორც სომხეთის და აზერბაიჯანის. ანალოგიურად, საქართველოში წარმოებულს სხვა ბაზრებისკენ მეტად და მეტად ეხსნება გზა ეროვნული ეკონომიკა ტერიტორიალური მცნებაა და არა ეთნიკური. საქართველოში წარმოებები ადგილობრივების გარდა ეკუთვნით გერმანელებს, ამერიკელებს, ინდოელებს, არაბებს და ა.შ.

**— გამომდინარე ზემო შეკითხვიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ პირიქით, ხომ არ დაგვაზარალა?**

— რას ნიშნავს დაგვაზარალა? — კარგად ვცხოვრობდით და აღარ ვცხოვრობთ? გადახედეთ ეკონომიკური მონაცემებს მაშინ და დღეს. საგარეო ვაჭრობის გაფართოებამ სულის ამოთქმის საშულება მოგვცა. ადგილობრივი წარმოების განვითარებას, როგორც გითხარით, მცირე, ეკონომიკურ საქმეებში ჩაურევლობის მომხრე მთავრობა გამოადგებოდა და არა ყოვლისმწვდომი.



**— ახალი მთავრობის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის აღორძინება იყო, თუმცა სოფლების დიდი ნაწილი თითქმის დაცლილია და გარდა ამისა, მიწების დიდი ნაწილი კვლავ მოუხნავია.**

— სოფელი დაცლილი არაა, იქ 50% ცხოვრობს. ვინც დეფაქტო არ ცხოვრობს, კავშირს ინარჩუნებს. სახელმწიფო პროგრამები, რა დარგშიც არ უნდა იყოს ის, მიწის დამუშავების წარმოებად გადასაქცევად სრულიად გამოსადეგარია. კერძო საკუთრების ხელშუხებლობა და მიწით თავისუფალი ვაჭრობა, აი ის რაც არის საჭირო. ამ დარგის პრობლემა არის არა ფული, არამედ ინტლექტი, ცოდნა, რაც სამწუხაროდ დიდი დეფიციტია: ბევრმა არ იცის, როგორ უნდა მოეპყრას მიწას, რომ მისგან მიიღოს საბაზროდ გამოსადეგი მოსავალი, არ იცის რა ჭირდება მომხმარებელს, არ იცნობს თანამედროვე ტექნოლოგიებს. ცოდნა იაფი კრედიტით არ მიიღება, იაფი კრედიტი წარმოშობს ცოდნის პრეტენზიას და შესაძლებლობების გაფართოების ილუზიას.

**— სავალუტო ფონდმა მთავრობას მოსთხოვა დასკვნა დაიდოს რისთვისაა საჭირო ის ოთხი ფონდი, რომელიც ინვესტიციების მოზიდვასაც გულისხმობს.**

— თავიდანვე გაჟღერდა, რომ ამ ფონდებისთვის 5 მილიარდია მობილიზებული... — არამგონია სავალუტო ფონდის ყურის გდებასაჭირო იყოს. ჯობია ვალი დავუბრუნოთ და გავაცილოთ. რაც შეეხება ფონდებს, ვერც მათ საჭიროებას ვხედავ: თუ ასეთი ფონდი ეკონომიკას სჭირდება, ისედაც შექმნებოდა კერძო ინიციატივით, თუ ეს ფონდი საბიუჯეტო ფულს გამოიყენებს, მაშინ გამოდის რომ ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში შემოსავლების გადანაწილების მანქანაა, თუ ასეთი ფონდები საგანგებო იურიდიული სტატუსით ისარგებლებენ და ეს კარგია, მაშინ სხვა ფონდებს რატომ არ უნდა ქონდეთ ანალოგიური სტატუსი? მოკლედ, წარმოებაში ფულის ჩადება სახელმწიფოს საქმე არაა. 5 მილიარდი ინვესტიციის საშუელაბა რომ არსებობდეს, ეს ისედაც გააიაფებდა სასესხო განაკვეთებს და გააფართოებდა ადამიანების წრეს, რომელსაც გაუჩნდებოდა სურვილი ეს შესაძლებლობაგამოეყენებინა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# თუ ივანიშვილი მართლა წავიდა პოლიტიკიდან, ეს იქნება სრული კატასტროფა — ამას შეიძლება ხელისუფლების მუდმივი ცვლილებები, შიში, ტერორი და სისხლისღვრაც მოჰყვეს!



**გვესაუბრება პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი**

**— ბატონო ჰამლეტ, როგორ შეაფასებთ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის ვიზიტს საქართველოში?**

— ჩემი აზრით, ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება, რომ საქართველოს ნატოში შესვლის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. თუმცა წინა ხელისუფლება მუდმივად აპელირებდა იმაზე, რომ, თითქოსდა, კარი ღიაა, ჩვენ მოგვცემენ მაპს, ან მაპზე უკეთესს და ა.შ. იგივეს იმეორებს ახალი ხელისუფლებაც. არც წინა ხელისუფლება და არც ახლანდელი არ ამბობდა იმას, რაც ახლა ითქვა.

რასმუსენმა არაერთხელ განაცხადა ის, რასაც საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება არ მიაქცია. იგი ამბობდა, რომ შესასრულებელია მიცემული დავალებები და ეს დავალებები ადვილი არაა, მეტიც, წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადავდგით და ჩვენი სურვილი, საქართველო შევიდეს ნატოში, არის, ფაქტობრივად, ბლეფი.

საქართველოს ხელისუფლება რასმუსენის სტუმრობისას დადგა მწვავე ფაქტის წინაშე და სააკაშვილმა აღიარა კიდევაც, რომ ასე ადვილი არ არის ნატოში ჩვენი ინტეგრაცია, წინ დიდი გზა და შრომა გვიძევს და ა.შ. მაგრამ საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რა უნდა გაკეთდეს. რა დავალებებს გვაძლევს ნატო და ამ დავალე-




ბების შესრულების შემდეგ რა ეტაპი უნდა გადავლახოთ კიდევ.

საქართველოს მოსახლეობამ იცის, რომ არსებობს რაღაც ორგანიზაცია „ნატოს" სახელწოდებით, რომელშიც სურს ხელისუფლებას შეიყვანოს ქვეყანა.

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გახსნილია ნატოს შტაბ-ბინები, საინფორმაციო ცენტრები, სისტემური საუბრები მიმდინარეობს მასმედიით, მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ამ სახელწოდების სრული არსი.**

დარწმუნებული ვარ, ვერც ვერასდროს აუხსნის ვინმე, რადგან თვით ნატოს წარმომადგენლებშიც კი არავინ იცის, რა არის ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, მათი ცოდნის დონე ამ საკითხში ნულის ტოლია.

აქედან გამომდინარე, ვისაც სამსახურებრივად ევალება იცოდეს, მან არ იცის და საქართველოს მოსახლეობას მით უფრო არ ეცოდინება. ამიტომ აბსურდია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ არჩევნებში მხარი დაუჭირა ალიანსში გაწევრიანებას.

ვერ დავეთანხმები ბიძინა ივანიშვილს, როცა ლაპარაკობს, საქართველოს მოსახლეობამ 2008 წელს ხმა მისცა ნატოს წევრობასო.

ნორმალურად მოაზროვნეს ყველას კარგად მოეხსენება, რომ სააკაშვილმა 2008 წლის არჩევნები გააყალბა.

მე კარგად მახსოვს დეპარტამენტის წარმომადგენლის **მეთიუ ბრაიზასგან**, რომ ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობის მაქსიმალურად მეტი პროცენტი დაწერილიყო, არა მხოლოდ 30 ან 40 %, არამედ 70 პროცენტი და მეტი. საქართველოს ნატოში გაწევრიანების იდეა მოდის იქედან და არა ჩვენგან. მათ აინტერესებთ, ნატო გაფართოვდეს აღმოსავლეთის მიმართულებით და სამხრეთ-დასავლეთიდან რუსეთს რკალი გაუკეთდეს, ამიტომ იგლეჯს ყველაფერს რუსეთი და ცდილობს, ხელი შეუშალოს ნატოს შემოღწევას რეგიონში.

ახალმა ხელისუფლებამ და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ არსებობს ხანდაზმულობის ფაქტორი. 2008 წელს ჩატარდა გამოკითხვა ნატოს შესახებ. მას შემდეგ საკმაო დროა გასული და ლეგიტიმური იქნება, თუ ხელახლა დაისმება ეს საკითხი სარეფერენდუმოდ.

ცხადია, საქართველოს ნატოში უახლოეს 5 წელიწადში არ მიიღებენ, მაგრამ, დავუშვათ, გვიღებენ. რამდენად სერიოზული იქნება იმის თქმა, რომ საქართველოს მოსახლეობამ ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილება 2008 წელს მიიღოო.

ნატოში ჩვენს ინტეგრაციამდე უამრავი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. კერძოდ, საქართველოს არ აქვს დადგენილი საზღვრები არც ერთ მეზობელთან თურქეთის გარდა. ცხადია, საზღვარი არ გვაქვს არც აფხაზეთთან და არც ე.წ. სამხრეთ ოსეთთან.

**ვთქვათ, მიგვიღეს ნატოში. მიგვიღებენ იმ ტერიტორიით, რაც გვაქვს, ე.ი. დაკარგული ტერიტორიების გარეშე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ ვკარგავთ ცხინვალის რეგიონს და აფხაზეთს, ანუ ნატოში შევალთ დღევანდელი ტერიტორიული მონაცემებით.**

ეს კარგად უნდა ესმოდეს ახალ ხელისუფლებას. ნუ გააგრძელებს ძველი მთავრობის გზას და ნუ ატყუებს მოსახლეობას.

2008 წლის არჩევნებში დასავლეთმა და აშშ-მა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სააკაშვილი კვლავ დარჩენილიყო საქართველოს პრეზიდენტად.

**— რა მოიგო დასავლეთმა ამით. სააკაშვილმა სისხლის ტბები დააყენა, დემოკრატიის დვრიტაც კი მოსპო და გაანადგურა ჩანასახშივე და ხალხს თითქმის შეაძულა აშშ და ევროპა.**

— ეს არის ქართული ხედვა. აშშ-ს განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სულ არ აინტერესებს საქართველოს, ან რომელიმე სხვა პატარა ქვეყნის შეხედულებები იმ ნაბიჯებზე, რასაც აკეთებს. მისი ინტერესი იყო საქართველოში სერიოზულად ფეხის მოკიდება. შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის წყალობით, აშშ-მა ფესვები გაიდგა საქართველოში. აშშ-ის უზარმაზარი საელჩო აშენდა თბილისში, სადაც 100-ზე მეტი ამერიკელი დიპლომატი მუშაობს და 100-ზე მეტი ქართველი, რომლებიც უფრო მეტად ამერიკულად არიან განწყობილნი, ვიდრე თვით ამერიკელები საქართველოში.

ის, რაც თქვენ ზემოთ განაცხადეთ, ანუ სააკაშვილის დანაშაულობები, ამას აშშ ძალიან ზერელედ უყურებს. მოქალაქეების უკანონო მოსმენები, დაშინება, შანტაჟი, წამება, მძიმე მდგომარეობა ციხეებში, ეს ისეთი საკითხებია, რაც ამერიკული პოლიტიკისთვის მეტად ჩვეულებრივი რამ არის, მაგალითად, **ალბერტ გორი** წიგნში „შეტევა გონებაზე" ნათლად წერს ამერიკელი პრეზიდენტების ბარბაროსულ ქმედებებზე.

**აბუ გრეიბი რომ არ გავიხსენოთ, გუანტანამოში ახლაც აწამებენ 10 წლის წინ დაპატიმრებულ ადამიანებს, რომლებსაც დღემდე ბრალი არ აქვთ წარდგენილი.**

ჩვენ რომ გვგონია, ამერიკა „ძალიან შეშფოთდება" იმაზე, რომ გირგვლიანი მოკლეს, ეს არის ტყუილი, მათ შესანიშნავად იცოდნენ ყველაფერი თავიდანვე.

სააკაშვილს იმდენად გაუვიდა თავს დაუსჯელობის გამო, რომ საკუთარ ქმედებებს კონტროლი ვერ გაუწია და ადვილი შესაძლებელია, ის განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს.

**— მისი ამერიკელი მფარველები ამას დაუშვებენ?**

— ამერიკა არაა ის ქვეყანა, სააკაშვილისთვის თავი მოიკლას.

რომ დადებენ არგუმენტირებულ, დოკუმენტურად დასაბუთებულ მასალას, გათავებული ამბავია, იქ ამერიკა ვერაფერს გახდება. მთავარია, დადოს ახალმა ხელისუფლებამ ეს მასალები. მთავარია, გაბედონ ეს.

**— მაგრამ ივანიშვილმა განაცხადა, რომ მალე წავა აქტიური პოლიტიკიდან, რაღას მოასწრებს ამდენ რამეს?**

— ივანიშვილი თუ წავიდა, ხუხულასავით დაგვენგრევა ყველაფერი და ქვეყანაში ისეთი სიტუაცია შეიქმნება, როგორიც ბრეხტმა აღწერა „კავკასიური ცარცის წრეში".

**თუ ივანიშვილი მართლა წავიდა პოლიტიკიდან, ეს იქნება სრული კატასტროფა — ხელისუფლების მუდმივი ცვლილებები, შიში, ტერორი და, შეიძლება, სისხლიც.**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



26 ივნისს საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, წამების მსხვერპლთა საერთაშორისო დღე აღინიშნა.

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია მარიამ ჯიშკარიანი, ”წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ პრეზიდენტი:**

მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყოველთვის მძიმე იყო, თუმცა ცვლილებებს არც ახლა ვხედავთ. ჩვენ საკმარისი დრო მოვიცადეთ, რათა შეგვეხედა რამდენად ეფექტური იქნებოდა წამების ფაქტების გამოძიება. მაგრამ სამწუხაროდ, მოვლენებმა აჩვენა, რომ წამების ფაქტებზე გამოძიება დღესდღეობით ადეკვატურად არ მიმდინარეობს , რაც არღვევს საქართველოს ვალდებულებას, გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციას, რომლის მე -11-12 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია სწრაფად, მიუკერძოებლად და ეფექტურად გამოიძიოს წამების ფაქტები, ადეკვატურად დასაჯოს დამნაშავეები.

ჩვენ გვაქვს მრავალი ფაქტი, რომლის შესახებ საჯაროდ გვარებით და სახელებით ვერ ვისაუბრებ, გვყავს მრავალი დაზარალებული, მსხვერპლი, რომლებიც გადიან რეაბილიტაციას ჩვენს ცენტრში. მათ საქმეებზე რაიმე პროგრესი არ შეინიშნება. ჩვენს ეჭვს არაეფექტურ გამოძიებაზე ამყარებს ის გარემოება, რომ **ციხეებში წამების ფაქტებზე დაკავებული 16 ჯალათის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლომ გამოიტანა არაადეკვატური განაჩენი. ზოგიერთი ჯალათი საერთოდ გათავისუფლდა, ზოგს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 6 თვით. ყველაზე მაღალი სასჯელი, რაც მათ მიესაჯათ, არის 6 წელი და 9 თვე.**

ზოგს ჩამოერთვა 1 წლით და 3 თვით მუშაობის უფლება. იმ ფონზე, რაც საზოგადოებამ იხილა, ამგვარი სასჯელები ცოტა არ იყოს, უხერხულია. ჩვენი, სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც გვყავს სამედიცინო და პსიქოლოგიური პერსონალი, ასევე იურისტები, ადვოკატები, გაოგნებულები ვართ, როგორ შეიძლება ადამიანის გაუპატიურებაზე პირს ასეთი დაბალი სასჯელი მიესაჯოს, შესაძლებელია თუ არა ამ პირებმა კვლავ დაიკავონ იგივე თანამდებობები და განაგრძონ მუშაობა.

### არაადამიანური მოპყრობის მეთოდოლოგიის ავტორს მხოლოდ 3 წელი მიესაჯა

სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ პრეს-რელიზში საერთოდ არ არის მითითებული, თუ რა მუხლით ჰქონდა მათ წაყენებული ბრალი და რა მუხლით იქნა ეს ხალხი გასამართლებული. პროკურატურიდან პასუხი დღემდე არ მიგვიღია. საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი როგორ მიმდინარეობდა, რა შედეგამდე მივიდა გამოძიება. როგორც ამ დარგის ექსპერტმა შემიძლია განვაცხადო, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში გამოყენებული წამების მეთოდები იყო საკმაოდ პროფესიული, საკმაოდ დახვეწილი. როგორც ჩანს, იყო ჩამოყალიბებული სისტემა, რომელსაც ჰყავდა ხელმძღვანელი. ადამიანები, რომლებიც ახორციელებდნენ, წამებას იყვნენ დატრენინგებული წამების მეთოდებში. ჩვენთვის გაუგებარია პროკურატურის დასვნა. თურმე მთელი საქართველოს ციხეების მასშტაბით წამებას ხელმძღვანელობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. ის გეგმავდა, ხელმძღვანელობდა, იყო არაადამიანური მოპყრობის მეთოდოლოგიის ავტორი. თუმცა, მას თავისუფლების აღკვეთა სულ 3 წლით მიესაჯა.

### რამდენი საქმე აღიძრა წამების მუხლით?

შსს-ში წამების ფაქტების კინოსერიალებზე დაყავთ ხალხი. კინოსერიალებზე სიარული არ არის არც შსს-ს, არც პროკურატურის საქმე. მათი საქმეა ეფექტური გამოძიება და ეფექტური სამართლებრივი დევნის განხორციელება. ამას მოითხოვს ყველა საერთაშორისო სტანდარტი.

ჩვენმა ცენტრმა მიმართა მთავარ პროკურორს, ვინაიდან გასაიდუმლოებულია , არ არის გამჭვირვალე, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რამდენად ეფექტურია. არ გვინახავს ყოფილი სასჯელაღსრულების მინისტრი დაკითხული ან დაბარებული პროკურატურაში. ჩვენ მივმართეთ მთავარ პროკურორს, ვითხოვთ მოგვცეს საჯარო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი საქმეა აღძრული წამების მუხლით, არაადამიანური მოპყრობის 44-ე მუხლით, რამდენ პირს წაეყენა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბრალი, რამდენი საქმეა დასრულებული და გადაცემული სასამართლოში. ჩვენ გვაინტერესებს როგორც პროკურატურის, ასევე სასამართლოს როლი ამგვარ სასჯელებში. როგორც პროკურატურამ განაცხადა, გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, მაგრამ პროკურატურას სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

**ჩვენ მივმართავთ პრემიერ-მინისტრ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს და პარლამენტსი თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს. საქართველოს სისსხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეესაბამება სტამბულის პროტოკოლის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლითაც ხდება წამების ფაქტების გამოძიება.**

ვფიქრობთ, ახალ ხელისუფლებას ჰქონდა საკმარისი დრო შეემუშავებინა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც შევიდოდა საპროცესო კოდექსში, ამით გამარტივდებოდა ამგვარი საქმეების გამოძიება. ასეთი მიმართვები ძველი ხელისუფლების მისამართზეც გვაქვს გაგზავნილი ჩვენ, ადვოკატთა ასოციაციას , ”საიას” და სხვა მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა შედეგი არ იყო არც მაშინ, არც ახლა.

დღეს გვყავს მრავალი წამების მსხვერპლი, შსს-ში ხალხი მსხვერპლთა წამებაზე სერიალებს უყურებს, მაგრამ დღემდე არავის უნახავს ადეკვატურად დასჯილა ვინმე იმის გამო, რომ ეს ადამიანები აწამეს. საერთოდ არ გვაქვს ინფორმაცია, რა მუხლით არის აღძრული საქმეები ამ ადამიანების მიმართ.




# რატომ ჭიანურდება წამების ფაქტების გამოძიება და რატომ არის ახალი ხელისუფლება ჯალათების მიმართ ასეთი ლმობიაერი?

### წამების მსხვერპლი საჭიროებს რეაბილიტაციას

რეაბილიტაციას ჩვენი ცენტრი ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. უახლოეს მომავალში ცენტრი ”ემპათია” ჩვენ ხელთ არსებულ ფაქტებზე მივმართავთ ევროპულ სასამართლოს და ერთ-ერთ მტკიცებულებად წარვადგენთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც ჯალათები დარჩნენ დაუსჯელი, ვინაიდან სასჯელი სრულიად არაადეკვატურია იმ ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც საზოგადოებამ პრაქტიკულად იხილა.

მოვუწოდებთ საზოგადოებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მას-მედიის საშუალებებს. თუ არ მოხდა გამჭირვალეობის გაზრდა პროცესებთან დაკავშირებით, ჩვენ მივიღებთ იგივე შედეგებს, რაც გაგვაჩნდა წინა ხელისუფლების დროს. ამის წინაპირობა უკვე არსებობს, **არსებობს 18 წლის ბიჭი, რომელსაც ქუჩაში ესროლა პოლიციელმა და მის მიმართ ასევე არაადეკვატური სასჯელი იქნა გამოტანილი. ვერ ვხდებით, გირგვლიანის საქმისგან რით განსხვავდება ეს საქმე.** ასევე გვაქვს მოცემულობა, როდესაც სტუდენტებს იჭერენ მხოლოდ იმისთვის, რომ პროკლამაციებს აკრავენ, რაც, მინდა გითხრათ, საბჭოთა პერიოდში დაბრუნებაა. როცა მე ვიყავი სტუდენტი, ვმონაწილეობდი ანტისაბჭოთა მოძრაობაში და ასევე ვაკრავდი პროკლამაციებს. ამის გამო როცა გვაკავებდნენ, ვფიქრობდით, რომ ეს იყო თავისუფალი აზრის გამოხატვის შეზღუდვა. ყველაფერი რაც დღეს ხდება განგაშის ზარის საფუძველი უნდა გახდეს, სანამ გვიანი არ არის, ამ მიმართულებით დაიწყოს უფრო ფართო მოძრაობა უნდა დაიწყოს. საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს.

### საქმეები ილძვრება არა წამების, არამედ უფლებამოსილების გადამეტების მუხლით

აუცილებლად მიგვაჩნია პარლამენტში შეიქმნას სპეციალური საგანგებო კომისია, რომელიც დააწესებს მონიტორინგს, თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს გამოძიება ადამიანის უფლებების დარღვევის როგორც მიმდინარე, ასევე ძველ ფაქტებზე . რა თქმა უნდა, ამ კომისის მუშაობაში უნდა ჩაერთნენ ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, აუცილებლად უნდა შეიცვალოს მიდგომა. დღესდღეობით პროკურატურას აქვს ზუსტად ისეთივე მიდგომა როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დროს, როგორიც იყო წინა ხელისუფლების დროს, როგორიც იყო შევარდნაძის დროს. საქმეები ილძვრება არა 144 -ე (წამების) მუხლით, არამედ უფლებამოსილების გადამეტების მუხლით. გამოძიება ზუსტად იგივე ხარისხით მიმდინარეობს , როგორც მიმდინარეობდა წინა ხელისუფლების დროს.

**წამების მუხლი საკმაოდ მძიმეა, სასჯელი იწყება 9 წლიდან - 15 წლამდე. კანონიერი სასჯელი 9 დან-15-მდე წლამდე როგორ ჩამოვიდა 6 თვეზე, როგორ შეეხო მათ საპროცესო გარიგება ან ამინისტია, ჩვენთვის გაუგებარია.**

გაუგებარია, რომ წინა ხელისუფლება თურმე აქცევდა ქვეყანას, ახლა გადარჩენის ზღვარზე ვიმყოფებით. საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი რამდენი საქმეა აღძრული 144 პრიმა(წამების) მუხლით, რა ეტაპზე იმყოფება გამოძიება. ჩვენ გვაქვს საქმეები გაუპატიურების მცდელობაზე, გაუპატიურებაზე, დაზარალებულები ასახელებენ კონკრეტულ პირებს, მწამებლებს. გაუგებარია მათთვის სასჯელის ზომა, ხოლო გათავისუფლების შემდეგ მათ შეუძლიათ მხოლოდ 1 წლით და 3 თვით ჩამოერთვას მუშაობის უფლება. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი შეუძლიათ კვლავ დაიწყონ მუშაობა მაღალი თანამდებობზე.

საქართველოში ყველა ხელისუფლება ადამიანის უფლებების დარღვევის ლოზუნგით შეიცვალა ყველასთვის ცნობილია, რომ შევარდნაძის პერიოდში ხალხი ცვიოდა ფანჯრებიდან, შემდეგ მოვიდა სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც ამაზე ძალიან ბევრს ხმაურობდა. პრაქტიკულად ხელისუფლების ცვლის წამყვანი მომენტი მაშინაც ადამიანის უფლებების დარღვევები იყო, თუმცა არცერთი საქმე გამოძიებული და ვინმე დასჯილი მე არ ვიცი. იგივე ფენომენთან გვაქვს საქმე დღესაც. იგივე ტალღაზე მოვიდა ახალი ხელისუფლება, თუმცა არანაირი შედეგი ჯერჯერობით პრაქტიკულად არ გვაქვს. შესაბამისად ისმის კითხვა, რაშია საქმე?!

აუცილებელია საპარლამენტო კომისიის შექმნა

უნდა ჩაერთოს საზოგადოება, საზოგადოების ხმა კი ქვეყანაში არის პარლამენტი, რომელმაც კეთილი უნდა ინებოს და აიღოს პასუხისმგებლობა მდგომარეობაზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

არაფერი შეცვლის არსებულ მდგომარეობას, თუ არ მოხდა სისტემური რეფორმა.სწორედ ამიტომ ვითხოვთ საპარლამენტო კომისიის შექმნას.



**თუ თვლით, რომ ხართ წამების ან ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლი, შეგიძლიათ მიმართოთ „წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“**

**ცხელი ხაზი 2- 48-23-15**

**თქვენ ჩაგიტარდებათ უფასო, კონფიდენციალური და ანონიმური**

**- სამედიცინო და ფსიქო-სოციალური დახმარება (დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია)**

**- იურიდიული კონსულტაცია**

**- სამედიცინო და ფსიქიატრიული ექსპერტიზა საერთაშორისო სტანდარტების „სტამბოლის პროტოკოლის” შესაბამისად**

**- ცენტრ „ემპათიას“ ასევე შეულიათ მიმართონ წამების მსხვერპლის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, ოჯახის წევრმა, ნათესავმა.**

**ელენე ბარათაშვილი**

# „ჩვენ მხოლოდ ვჭამთ და ვსვამთ წყალს, თორემ ვართ მკვდრები, დაუმარხავი მიცვალებულები, მითხრა გამომშვიდობებისას ერთმა კაცმა, მისი ოჯახიდან რომ მოვდიოდი“...

***გვესაუბრება მწერალი* ლაშა გვასალია, *რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა, „ნაციონალების“ რეჟიმის მწვავე კრიტიკით მაშინაც კი, როცა რეჟიმის ჩამოყალიბების წლებში სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობდა.***

**— ბატონო ლაშა, თქვენ ხშირად ხართ მშობლიურ კუთხეში. რამდენადაც ვიცი, დედ-მამა იქ ცხოვრობენ. თქვენც ორიოდე დღის წინ ჩამობრძანდით. რა ხდება სამეგრელოში, რა სიტუაციაა? ამბობენ, რომ მთლად სახარბიელოდ არაა საქმე.**

— მოგესალმებით და მინდა გითხრათ, რომ მე თქვენი, არა, ჩვენი გაზეთის —„საერთო გაზეთის“ აქტიური მკითხველი გახლავართ და მადლობას გიხდით იმ საქმიანობისთვის, რაც გასწიეთ თქვენი არსებობის მანძილზე.

სამეგრელოში არის ისეთი სიტუაცია, რაც არის სრულიად საქართველოში, მაგრამ განსაკუთრებით იმიტომ ჩანს სამეგრელო, რომ სწორედ ამ კუთხიდან იყვნენ ის ოდიოზური ფიგურები, პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელები და უბრალო თანამშრომლებიც, რომლებიც, აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ კაცობრიობის წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

წლების წინ, როცა ოპოზიციაში გადავედი და დავიწყე პირდაპირ ყვირილი იმაზე, რომ სამეგრელოში ხდებოდა წარმოუდგენელი დანაშაულობები, მედიამ, რომელიც მაშინ ხელისუფლების გაგრძელებას წარმოადგენდა, ყურიც არ შეიბერტყა. ახლოს არ გამაკარეს არც ერთ ტელევიზიას, ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ შემხვდა სასაუბროდ.

**— რა ხდებოდა მაშინ, ახლა მოგვიყევით.**

— სამეგრელოს კუდის დეპარტამენტიდან შემომითვალეს, თუ ოპოზიციურ გამოსვლებს გავაგრძელებდი და არ გავჩერდებოდი, ჩემს პატარა ვაჟს ყელს გამოღადრავდნენ, ხოლო ჩემს 9 თვის გოგონას ჩემს თვალწინ გააუპატიურებდნენ.

სატელეფონო შეტყობინებები დღემდე მაქვს შენახული, ტელეფონის ნომრებიც. ზუსტად ვიცი, ვინც აგზავნიდა ამ შეტყობინებებს და ვინ მემუქრებოდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შემდეგ, არჩევნების პერიოდში, მე თვითონ გამიტაცეს საარჩევნო შტაბიდან. ირაკლი ჩიქოვანი, „ქართული ოცნების“ დეპუტატი რომ არ ჩარეულიყო, ახლა, შეიძლება, ცოცხალიც არ ვყოფილიყავი.

მაშინ მივწერე ვანო მერაბიშვილს, როგორც მინისტრს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ხმა, კრინტი არსაიდან ყოფილა.

წარმოუდგენელ რამეებს სჩადიოდნენ ძმები — **დავით** და **დიმა ჭაკუები**. ისინი დღეს მიმალვაში არიან, მაგრამ მათი თანამზრახველები და ძველი თანამშრომლები კვლავ თანამდებობებს ინარჩუნებენ, როგორც სასჯელაღსრულების სისტემაში, ასევე სხვა თანამდებობებზეც. ზოგიერთ მათგანს ახლა რომ ვეკითხები — თქვენ წინა მთავრობას არ უჭერდით მხარს-თქო? მპასუხობენ: ჩვენ ყოველთვის „ოცნების“ მხარეს ვიყავით, მაგრამ გვეშინოდა და რა გვექნა, ოჯახებს ვერ გავწირავდითო. აი, ასეთი ადამიანები არიან კვლავ წინა პლანზე და ის პატიოსანი და მებრძოლი ადამიანები, რომლებიც მართლაც უანგაროდ იბრძოდნენ და საკუთარი თავი ჰქონდათ დასაღუპად გაწირული, დღეს კვლავ ჩრდილში არიან.

ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, მიუხედავად იმისა, მე დღეს უსამსახუროდ ვარ, გადავიტანდი ყველაფერს, მაგრამ ისაა ძნელი, მე რომ შეურაცხმყოფდნენ, მამაჩემი სამსახურიდან რომ გამოაგდეს, ჩემი დებიც რომ უმუშევრად დატოვეს, ამის მოქმედი ადამიანები ისევ მმართველობაში რომ არიან და ისევ ნიშნის მოგებით რომ ელაპარაკებიან უბრალო ხალხს.



რამდენიმე დღის წინ სპეციალურად ჩავედი სამეგრელოში სწორედ იმის გამო, რომ ჩემთვის ცნობილი გახდა, მზადდებოდა თავდასხმა ჭაკუების, მერე ახალაიების და ბოლოს ქარდავების ოჯახებზე. მე და ჩემმა მეგობრებმა აღვკვეთეთ ეს მცდელობა და დროებით შევაჩერეთ შურისმაძიებელი ხალხი.

ციხიდან გამოსული უამრავი ადამიანი უმძიმეს მდგომარეობაშია. მათ ყველა ეჭვის თვალით უყურებს. ეს ხალხი იძულებულია თავიანთი ვაჟკაცობის და კაცობის დასამტკიცებლად რაღაც ნაბიჯი გადადგან, ამიტომ ვამბობ, რომ უბედურებაა მოსალოდნელი...

ჩემს რაიონში ქორწილში ერთმა შეზარხოშებულმა ახალგაზრდამ ციხიდან გამოსულ ორ სხვას პირდაპირ უთხრა: ეჭვი მაქვს, ციხეში თქვენც იგივე გაგიკეთესო, ან პოლიციასთან იყავით შეკრული, ან გაგაუპატიურესო. ატყდა ერთი ამბავი.

მოკლედ, ფეთქებადსაშიში სიტუაციაა.

**ვაცხადებ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან — ყველა იმდროინდელი პოლიციის უფროსი, კუდის უფროსები, სამმართველოს უფროსები, ყველანი არიან ამ უბედურების მონაწილეები.**

თითოეული მათგანი არის იმ პატიოსანი ხალხის გამაუპატიურებელი და მწამებელი — ზოგი პირდაპირი მნიშვნელობით, ზოგი გულგრილობით და დუმილით. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მსგავსი ძალადობები არ ხდებოდა მხოლოდ ციხეებში. ხალხს სახლებიდან, ეზოებიდან, ქუჩებიდან იტაცებდნენ, მიჰყავდათ გაურკვეველი მიმართულებით და აუბედურებდნენ. ცხადია, ამას ვერავინ გააკეთებდა ადგილობრივი სამართალდამცავების გარეშე, ესენი იყვნენ ყველა სისაძაგლის ჩამდენნი, ჰყავდათ ე.წ. გამაუპატიურებლები.

ახლახან გავიგე, აკვაპარკი იხსნება თურმე, ბატონი ბიძინა ჩამოდის და უკეთესობა იქნებაო.

ამის ნატვრა არ უნდა ჰქონდეს ხალხს, ბატონი ბიძინა, შეიძლება, ყოველთვის ვერ ჩავიდეს სამეგრელოში, მაგრამ ერთიორი ტკბილი სიტყვა უნდა უთხრას ამ ხალხს. ის უნდა ეცადოს, რომ მმართველობის და სამართალდამცავ სტრუქტურებში, როგორც მაღალი, ასევე დაბალი რგოლებიდან, განიდევნოს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები.

ახლა აღმოუჩენიათ დასაჭერთა სიებიც, სადაც მეორე ნომრად ჩემი სახელი და გვარი ყოფილა მოხსენიებული. ასევე ჩემი მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები...

**— ამ სიაში მყოფთა უმეტესი ნაწილის ნათესავ-ახლობელს, ალბათ, უკვე განცდილი ჰქონდა ციხის სისასტიკე და წამება...**

— რა თქმა უნდა. რამდენიმე დღის წინ ერთი ადამიანი შემახვედრეს — გ.ნ.-ს, ყოფილ ინდმეწარმეს, რომელსაც საბუღალტრო დოკუმენტაციაში დარღვევა აღმოუჩინეს. დაიჭირეს და ციხეში უთხრეს: თქვი, რომ ერთ ღამეს შენთან მოვიდა 5 ადამიანი, დაუსახელეს გვარები, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო მისი ნაცნობი და უთხრეს — უნდა თქვა, რომ ეს ადამიანები ენგურიდან გადმოვიდნენ და გითხრეს: საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი ახალ პროვოკაციას გეგმავს, აგერ იარაღი, რამდენიმე ხანს შენს ბინაში შეინახე, რადგან, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი იქნებაო.

თითქოს ამ ადამიანებმა გ.ნ. გამოიყვანეს სახლიდან და საუბარი მიმდინარეობდა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის ეზოში ღამით. მას უნდა ეთქვა, რომ ეს ხუთი ადამიანი მოქმედებდა რუსების დავალებით, თითქოსდა საქართველოში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. გ.ნ.-ს უნდა ეთქვა, თითქოს ყველაფერი ეს მართლა მოხდა, საპროცესო შეთანხმებას გაგიფორმებთ 2000 ლარს, ამ ფულსაც ჩვენ მოგცემთ, სხვადასხვა ტენდერებშიც გაგამარჯვებინებთ და შენი ბიზნესიც და ოჯახიც გადარჩებაო. ამაზე რომ სასტიკი უარი განვუცხადე, ერთ ღამეს სკოჩით მიმაბეს მაგიდაზე და ხელკეტით გამაუპატიურესო. მე გონება დავკარგე და სიკვდილისგან ციხის ექიმებმა მიხსნესო.

ამ ადამიანს ჰყავს ახალგაზრდა მეუღლე, მცირეწლოვანი შვილები — ან თავი უნდა მოვიკლა, ან ღმერთს შევწირო დარჩენილი სიცოცხლეო, თქვა და ამ დღეებში ბერად აღიკვეცა.

ერთ დღეს ყოფილი კუდის უფროსმა დავით დარცმელიძემ დაიბარა ჩხოროწყუში მცხოვრები ექიმი ქალბატონი ანა ც., რომელსაც უდანაშაულო მეწარმე მამა დაუჭირეს და შესთავაზეს — თუ გინდა, მამაშენი გავათავისუფლოთ, მიეცი ცრუ ჩვენება ლაშა გვასალიას წინააღმდეგ. ვიმეორებ, ამ დავალებას იძლევა მაშინდელი კუდის უფროსი, დღევანდელი აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი **დარცმელიძე**. ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა ადვოკატი **ჯალალონია**, რომელიც, როგორც მითხრეს, იეღოველი ყოფილა. ისინი აშანტაჟებდნენ ქალბატონ ანა ც.-ს, რომ მას ჩვენება მიეცა ჩემს წინააღმდეგ. მაშინ მე პარლამენტში ვმუშაობდი და რადგან მათ ყველაფერზე კვერს არ ვუკრავდი, ჩემი გამოჭერა უნდოდათ და ციხეში ჩასმა. ქალბატონი ანა ც. რომ არ ყოფილიყო მამაცი და უშიშარი, მე, ალბათ, ციხეში მოვხვდებოდი.

მეტიც, ადვოკატი **ჯალალონია** იმ პერიოდში **როლანდ ახალაიას** პირდაპირი დავალებით შევიდა ციხეში ანა ც.-ს პატიმარ მამასთან და უთხრა: თქვი, რომ ლაშა გვასალია გარკვეული თანხის სანაცვლოდ შენს ოჯახს დახმარებას ჰპირდებოდა და ციხიდან გაგათავისუფლებთო. ეს უბრძანა ადვოკატს ახალაიამ დარცმელიძის დავალების შემდეგ. ასე მომოქმედებდნენ ესენი. ეს იყო მათი მუშაობის სტილი.

იმ ხანებში დააპატიმრეს ძველი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი **ვალერი გაბელია**. საპატიმროში შეხვდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის **დავით ჭაკუას** წარმომადგენლები და ჭაკუას მოადგილე **გაგა მკურნალიძე** და უთხრეს: შენი ადვოკატის საშუალებით შეუთვალე ლაშა გვასალიას, თორემ მოგისვამთ გვერდითო. ცოტა ხნის შემდეგ ვალერი გაბელიას შესთავაზეს: თქვი, რომ იმ საქმის მოთავე, რაზეც დაგიჭირეს, გვასალია იყო და გაგათავისუფლებთო. მუდმივი ზეწოლები იყო დედაჩემზე, მამაჩემზე, ბიძაჩემზე...

ჩემს თავზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ სხვის ამბავს კი არა, ჩემს თავს გადახდენილ შემთხვევებზე ვსაუბრობ საილუსტრაციოდ.

**— ბატონო ლაშა, სისასტიკე, ძირითადად, მამაკაცების მიმართ იყო თუ ქალბატონებსაც შეურაცხყოფდნენ?**

— თქვენ მე რამდენიმე თვის წინ გაგაცანით ხობელი მასწავლე-



ბელი, ქალბატონი მაკა ლატარია, რომელიც გატაცებული ჰყავდათ დიმა ჭაკუას და გაგა მკურნალიძეს.

თუმცა, აქ გასაკვირი არაფერია, ჩემო ირანდა, გასაკვირი ის არის, რომ კითხულობენ, რატომ წააგო სამეგრელოში არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“. როცა იცი, რომ ასეთი სასტიკი მეთოდებით მართავდნენ სამეგრელოს, ატერორებდნენ, აშინებდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ ადამიანებს, პირდაპირ ეუბნებოდნენ — გაგიუპატიურებ რძალს, ქალიშვილს, მცირეწლოვან შვილიშვილს...

ძალიან ბევრი ქალბატონი დღეს ნამუსს უფრთხილდება და გულში იმარხავს შეურაცხყოფას. 10-ზე მეტი ქალი მე ვიცი, ასი რაციამ. ჩვენ ვუთხარით, დგება სამართლიანობის და დამნაშავეთა მხილების დრო, თქვი ხმამაღლა ყველაფერი, რაც მოხდა. არაო, — მითხრა მამამისმა, ჩემი შვილი ისედაც არაა სრულ ჭკუაზე და მთელმა ქვეყანამ რომ გაიგოს ამის შესახებ, ეს ჩვენს ჭირს ვერ უშველის, რადგან თვითონაც არ ვიცით, გაუპატიურების გარდა კიდევ რა სისაძაგლეები უყვეს, ჭრილობაზე მარილს ნუღარ გვაყრითო.

**— გურამ აბსანძის ვაჟიშვილი აქ არის?**

— ვალიკო, ბატონმა გურამმა არჩევნების პერიოდში გამოაგზავნა საქართველოში „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად. დავდიოდით კარდაკარ და ვმუშაობდით. ბატონმა ვალიკომ აღმოაჩინა რამდენიმე ოჯახი, რომელიც საერთოდ არ აპირებდა არჩევნებში ხმის მიცემას.

**— ახალი მთავრობის იმედიც არ აქვთ?**

— როცა რაიონში ჩავდივარ, ყოველთვის იმედს ვაძლევ ხალხს, ცოტაც მოითმინეთ, სამართალი აღსრულდება. მაგრამ როდემდე, სანამდე მოითმენს ეს ხალხი ამას? „ნაციონალები“ კვლავ იკრიბებიან თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა ოჯახებში და გეგმებს აწყობენ.

მაგალითად, ჩემს რაიონში, ხობში, პოლიციის ყოფილი უფროსი, მისი მოადგილეები, ზონდერები იკრიბებიან და თათბირობენ. ინარჩუნებენ ერთმანეთს, მხარში უდგანან ყველაფერში. თუ ესენი საეჭვოდ არ იყრიან თავს, მაშინ რატომ იკრიბებიან არა მხოლოდ ერთი სამსახურის თანამშრომლები, არამედ სხვადასხვა ადგილებზე მომუშავე „ნაციონალების“ მხარდამჭერები. მეგობრები კი არა, დედმამიშვილები ვერ ხვდებიან ყოველ მეორე დღეს ერთმანეთს. ისინი დადიან ჯგუფებად, იცავენ ერთმანეთს და ტოვებენ შთაბეჭდილებას, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანზე თათბირობენ. რა უნდა ქნას მოსახლეობამ? მომავლის შიშით უბრალო ადამიანმა, შეიძლება, მათზე პირადად მოახდინოს შურისძიება და უბედურებას უბედურება მიემატოს.



პროცენტით, რომ გაუპატიურებული ჰყავთ მაგ არაადამიანებს.

ერთმა ქალბატონმა თვითონ მომითხრო, მის სახელს და გვარს არ გავიმეორებ. მას ე.წ. ქურდული მენტალიტეტის მეუღლე ჰყავდა ციხეში. მივიდა სანახავად, წამლები მიიტანა და უთხრეს თურმე — გარკვეულ დოკუმენტებზე არის ხელის მოწერა საჭიროო. შეიყვანეს ცალკე ოთახში და სასწაული რაღაც მითხრა, მიჭირს გამეორება (პაუზა). ხუთი კაცი მეცა და რიგრიგობით გამაუპატიურესო. სხვა ქალბატონებზეც მითხრა — იგივე სიმწარე გამოიარესო.

**— ზუგდიდის ციხეშიო?**

— არა, თბილისში, ეს გეგუთის კოლონიის ადმინისტრაციის „გმირობაა“. საერთოდ, რამდენადაც ვიცი, ძირითადად, თბილისში ხდებოდა მსგავსი რამეები. ყველაზე მეტად, გეგუთში. ეს ქალბატონი, ალბათ, 50-ს გადაცილებული იქნება და რომ შევთავაზე, სარჩელი შეეტანა იმ პირებზე, ვინც მასზე ძალადობა განახორციელა, მან უარი თქვა — შვილებს, რძალს, შვილიშვილებს თვალებში როგორ ჩავხედო, მრცხვენია მათიო.

„ნაცმოძრაობა“ მხოლოდ პარტია კი არ არის, ეს არის დიდი სენი, კიბო, რომლის განადგურებას დიდი დრო დასჭირდება. მათ ხალხი ჰყავთ დაშანტაჟებული და ისინიც იძულებულნი არიან, ხმა და კრინტი არ გაიღონ ამათ წინააღმდეგ.

ამას წინათ მე და გურამ აბსანძის ვაჟი, ბატონი ვალიკო აბსანძე მივედით ერთ ოჯახში, რომელიც „ნაციონალებისგან“ იყო ძალიან დამცირებული და შეურაცხყოფილი. ამ ოჯახის ვაჟიშვილი ციხეში გააუპატიურა ციხის ადმინისტ-

ვესტუმრეთ ერთ ოჯახს. რატომ არ მიდიხართ-თქო, რომ ვკითხეთ, მამაკაცმა თავი ჩაღუნა, ქალს ტირილი აუვარდა. მერე გვითხრეს: თუ მიხვალთ არჩევნებზე, თქვენზე ისეთ ხმებს გავავრცელებთ, ამ ქვეყანაშიც არ დაგედგომებათ. ტელევიზიით, ინტერნეტით, პრესით თქვენს შესახებ კომპრომატებს დავდებთო.

**— რაც სიმართლე არ იყო, რას მოიგონებდნენ?**

— ჯერ ერთი, მოგონება და ე.წ. მოდელირება მაგათ არ უჭირდათ, მაგრამ, შესაძლოა, მათ ქალიშვილს ან რძალს რაღაც მართლა გაუკეთეს, ეს იცოდა ოჯახმა და ამის გამჟღავნებით აშინებდნენ.

**არჩევნების პერიოდში ყველგან დავდიოდი და საშინელი სურათები ვიხილე. მე ვნახე დაშინებული, დაბეჩავებული, მიწასთან გასწორებული სამეგრელო...**

**ახლა ამ კუთხეს რეაბილიტაცია სჭირდება — პოლიტიკური, მორალური, სოციალური რეაბილიტაცია. სამეგრელოს მოსახლეობის 80% ამ საზოგადოებისთვის არიან მიცვალებულები. არც არჩევნებისთვის გამოდგებიან და არც ქვეყნისთვის..**

**ერთმა კაცმა, მათი ოჯახიდან რომ მოვდიოდი, გამოშვიდობებისას მითხრა, შვილო, ჩვენ მხოლოდ ვჭამთ და ვსვამთ წყალს, ჩვენ მკვდრები ვართ, დაუმარხავი მიცვალებულები...**

დიდი ხანი არ არის, რაც ჩემმა მეგობრებმა და მე დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობის ჯგუფი“. ჩვენი მიზანია, ყველა დაზარალებული ადამიანის, ოჯახის გასაჭირის მიტანა ხელისუფლებასთან, რათა თავიდან ავიცილოთ უკიდურესი შურისძიება. ამ ადამიანებმა უნდა გაბედონ და შესაბამის ორგანოებს უამბონ ყველაფერი, რადგან ის, რაც გადაიტანეს, ეს არ იყო ერთი ან ორი ოჯახის ტკივილი, ეს იყო და არის საზოგადოების პრობლემა.

რაც ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა წასვლის შესახებ, ესენი უფრო გააქტიურდნენ, აი, ნახეთ, წავა ივანიშვილი და დედა გეტირებათო, ეუბნებოდნენ ხალხს.

**გადაეცით ბიძინა ივანიშვილს, მას დღეს არ აქვს უფლება ქართველი ხალხი მიატოვოს, მას იმედით შეჰყურებენ და ამ იმედს და ნდობას ნუ დაუმსხვრევს ხალხს. ბიძინა ივანიშვილს არ აქვს წასვლის უფლება, სანამ საქართველოში სრული სიმშვიდე არ დამყარდება.**

ჩვენ ვართ ივანიშვილის გუნდის წევრები და მას არ აქვს ჩვენი მიტოვების უფლება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ჩაშლილი ბანკეტები და „ბაკლოსანით“ მოწამლული სკოლადამთავრებულები

სკოლის დამთავრება რომ საზეიმო ბანკეტით მთავრდება, ეს არავისთვის უცხო ფაქტს არ წარმოადგენს, თუმცა, წელს ეს ბანკეტი ბევრი მოსწავლისთვის საბედისწერო რომ აღმოჩნდა — ეს ფაქტია. თბილისის სკოლების კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი ამ დღეს საავადმყოფოებში იმყოფებოდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ საკვებით მოიწამლნენ? არა, უბრალოდ, ისინი წელს შემოღებული „მოდის“ მსხვერპლნი გახდნენ.

საზეიმო სუფრის მსვლელობის დროს მათ მიიღეს ე.წ. ფსიქოტროპული პრეპარატი **„ბაკლოსანის“** ტაბლეტები, რამაც, საბოლოო ჯამში, უმძიმესი **შედეგები გამოიწვია, მოსწავლეების დიდი ნაწილი რეანიმაციის განყოფილებაში აღმოჩნდა სრულიად უგონო მდრომარეობაში აპარატზე ჩართული.** ამ ფაქტებს ადასტურებენ რამდენიმე საავადმყოფოში, მათ შორის, თბილისის № 1 ე.წ. „არამიანცის“ საავადმყოფოში, სადაც ფსიქოტროპული პრეპარატით მოწამლულ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი მკურნალობდა. მოსწავლეთა მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ბევრი მათგანი დღესაც მკურნალობისა და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

გავესაუბრეთ რამდენიმე მოსწავლეს და მათ მშობელს.

**მოსწავლე ბ.მ.:** ბანკეტზე „ბაკლოსანის“ ტაბლეტები ჩემმა ჯგუფელმა მოიტანა. თავიდან მისი მიღება არც მიფიქრია, რადგან ფხიზელი ვიყავი. თუმცა, ვიცოდი მეგობრებისგან, რომ წელს ამ პრეპარატით ბევრი „კაიფობს“. ცოტა ალკოჰოლის მიღების შემდეგ, თავი ვეღარ გავაკონტროლე და მეგობრების მიბაძვით, მეც დავლიე რამდენიმე ტაბლეტი. გამთენიისას ისე ცუდად ვიყავი, რომ, როგორ წამიყვანეს საავადმყოფოში, აბსოლუტურად არ მახსოვს. არც მკურნალობის ორი დღე მახსოვს, რადგანაც გონზე არ ვიყავი.

დღეს უკვე ვფიქრობ, რომ ექიმებმა გადამარჩინეს, თორემ შეიძლება დავღუპულიყავი. ეს ჩემთვის მწარე გამოცდა იყო. ჩემს თანატოლებს ვურჩევ, რომ ნუ აჰყვებიან თბილისში მოდად ატაცებულ „ბაკლოსანს“ და ნუ მიიღებენ მას, რადგანაც ის არც თუ ისე უსაფრთხო პრეპარატია, პირიქით, დროული სამედიცინო დახმარების გარეშე შეიძლება დაიღუპოს ადამიანი და ეს „კაიფი“ კი არ არის, ოჯახის დაღუპვაა. ალბათ, მომავალში ნებისმიერ, ექიმის მიერ დანიშნულ პრეპარატსაც კი დიდი სიფრთხილით მივიღებ, ისეთი მძიმე რამ გადავიტანე.

**მშობელი ნ.შ.:** ჩემი შვილი არის სპორტსმენი, უწესიერესი ახალგაზრდა, რატომ მოექცა მეგობართა გავლენაში, მისთვისაც გაუგებარია. ერთი რამ შემიძლია გითხრათ მხოლოდ, ჩემი თვალით ვნახე ჩემი შვილი სრულიად უგონო მდგომარეობაში, რამდენიმე დღის განმავლობაში, ვერ წარმომედგინა, თუ გადარჩებოდა, სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ჩემი ვაჟის საავადმყოფოში **ყოფნის დროს ასეთი ინტოქსიკაციით უამრავი მოსწავლე ვნახე იქ, მათ შორის იყვნენ ბევრი გოგონები!** მედპერსონალი სრულიად შეგუებული იყო იმას, რომ ეს მოსწავლეები ყველა ერთი პრეპარატით იყვნენ მოწამლული და, ალბათ, მკურნალობის სქემაც შემუშავებული ჰქონდათ, რადგანაც ისინი გადაარჩინეს. მადლობა მათ ამისთვის. მაგრამ მინდა საზოგადოებას ვკითხო, რატომ მოხდა **ისე, რომ ასეთი რთული, საშიში ფსიქოტროპული პრეპარატი აფთიაქებში თავისუფლად გაიყიდა? რატომ ვინმე კონტროლს არ უწევს?** მინდა ყველა მშობელმა აიმაღლოს ხმა და ამ პრობლემას დროულად ვუშველით, ვიდრე სერიოზულ მსხვერპლს არ მივიღებთ.




ჩვენ შევამოწმეთ პრეპარატ „ბაკლოსანის“ გაყიდვის წესი თბილისში, ვაკეში მდებარე ერთ-ერთ „პსპ“-ს აფთიაქში, სადაც გვითხრეს, რომ ეს გახლავთ ფსიქოტროპული წამალი, 50 ტაბლეტი ღირს 3 ლარი და 50 თეთრი და უკანასკნელ პერიოდში მას ყიდულობენ, ძირითადად, სკოლის მოსწავლეები, გაიცემა ურეცეპტოდ!

შედეგი სახეზეა, სახელმწიფოს უკონტროლობამ შეიძლება მოკლე პერიოდში მძიმე შედეგები გამოიღოს, რადგანაც მომავალი წელს ვინ იცის, რომელი პრეპარატი იქნება „მოდაში“!

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

# დემოკრატია ამერიკულად ანუ რა ელის თოჯინებს, რომლებიც ძაფის მოქაჩვაზე დროულად არ რეაგირებენ

## „არასოდეს მოვიხდი ბოდიშს ამერიკის სახელით, მიმიფურთხებია ფაქტებისთვის!...“ — ჯორჯ ბუში უფროსი

ხვალ, 4 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეა. 237 წლის წინ ჩრდილოეთ ამერიკის კოტინენტზე 13-მა ბრიტანულმა კოლონიამ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და ატლანტის ოკეანის გასწვრივ შექმნილი 13 კოლონიიდან, რომლის მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენდნენ ინგლისელი მსჯავრდებულები (სასჯელის მოხდის შემდეგ იქვე რჩებოდნენ), ლატაკები (მგზავრობის საფასურს სახელმწიფო უხდიდათ), შოტლანდიელები, ირლანდიელები და ზანგი მონები (მოსახლეობის მეხუთედს შეადგენდნენ), მსოფლიოს მოევლინა აშშ, რომელიც დღეს ზესახელმწიფოა, დემოკრატიის გუშაგად დგას მსოფლიოში და როგორც ვუდრო უილსონმა თქვა, „განგების აღსრულებისა და მსოფლიო გადარჩენის უსაზღვრო პრივილეგია ხვდა წილად“.

* * *

მიზეზთა გამო (რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს) აშშ-მა გადაწყვიტა სამხრეთ ვიეტნამი გადაექცია თავის სამხედრო ბაზად. განზრახვას წინ აღუდგნენ ვიეტნამელები და დაიწყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა — შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამის განმანთავისუფლებელი არმია. მიუხედავად პარიზის ორმხრივი და ოთხმხრივი შეხვედრებისა, აშშ-მა უკვე ღიად დაიწყო ვიეტნამის ინტერვენცია და რეჟიმის შესანარჩუნებლად 1972 წელს საჰაერო ომი გაშალა.



სწორედ 1972 წლის 8 ივნისსაა გადაღებული 9 წლის გოგონას, კიმ ფუკის ფოტო, რომელიც აფეთქებას გაურბის და სამუდამოდ შევიდა ისტორიაში. გოგონას დაამახსოვრდა ის დღე, როგორ გარბოდა და-ძმებთან ერთად, როგორ შეეცადა უცნობი ჯარისკაცი დახმარებას და ცეცხლმოდებულს წყალი გადაასხა (რამაც უარესად გაურთულა დამწვრობა). შეჩერებული წამის ავტორი, ფოტოგრაფი ნიკ იუტი, რომელმაც გოგონა მიიყვანა საავადმყოფოში, დიდხანს ყოყმანობდა, გამოექვეყნებინა თუ არა ფოტო. საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მსოფლიოს უნდა ენახა ეს სურათი, რომელიც მოგვიანებით XX საუკუნის საუკეთესო ფოტოდ დასახელდა. ფოტოგრაფი ცდილობდა დაეცვა გადარჩენილი გოგონა, მაგრამ 1982 წელს იგი იპოვა ვიეტნამის ხელისუფლებამ და მისი გამოყენება დაიწყეს პროპაგანდის მიზნით. მოგვიანებით კიმმა შეძლო კუბაში გაქცევა, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე, მასთან ერთად გადავიდა კანადაში და რადგან მიხვდა, რომ ვერსად გაექცეოდა საუკუნის ფოტოს, გადაწყვიტა პოპულარობა მშვიდობისთვის ბრძოლის საქმეში გამოეყენებინა, მაგრამ გამოიყენა კი?

* * *

ვიეტნამის შემდეგ აშშ კიდევ მრავალჯერ შეიჭრა დემოკრატიის სახელით აზიის კონტინენტზე და სისხლის ზღვა დააყენა.

1992 წელს ჩაიშალა პროამერიკული გადატრიალება, ვერ ჩაანაცვლეს ჰუსეინი ამერიკის მოქალაქე საიდ სალიჰ ჯაბრით, თუმცა 2003 წელს გაეროს უშიშროების საბჭოზე ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების საკითხზე გამართულ დებატებში სამხედრო ინტერვენციას საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და ჩინეთი რომ შეეწინააღმდეგნენ, აშშ-მა გაეროს მანდატის გარეშე მოკავშირე 30-მდე სახელმწიფოს კოალიცია მაინც შექმნა, ერაყში შეიჭრა და სადამ ჰუსეინი ჩამოაგდო.

2003 წლის 19 მარტს პირველი საჰაერო დარტყმა განახორციელა აშშ-მა ერაყზე. მთლიანობაში, დაიღუპა 170 000 ერაყელი და 5 000-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. შედეგი? — ქვეყანა ეთნიკურ-ნაციონალური ნიშნით დაიყო და აყვავდა ტერორიზმი. ჩამოაღრჩვეს ჰუსეინი, მოვიდა ნური ალ-მალიქი, რომელმაც ქვეყნიდან აშშ-ის საელჩოს თანამშრომლების უმეტესობა გააძევა, მსოფლიოში ყველაზე მსხვილი დიპლომატიური წარმომადგენლობა ნახევრადცარიელი დატოვა და ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება დაიწყო.

ბენ ლადენის სწორი ლოგიკა — იგი თვლიდა, რომ რადიკალური ისლამის იდეოლოგიის პოპულარიზაცია მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო, დასავლეთის არმია უნდა შეჭრილიყო მუსლიმანთა მიწაზე და საბოლოო გამარჯვებისთვის აუცილებელი იყო წაგება. ერაყი იდეალურ მოდელად აქცია აშშ-მა, ოკუპაციამ შედეგი გამოიღო და ქვეყანაში, სადაც მანამდე ტერორიზმის ხსენება არ იყო ჯიჰადი იქცა უპირველეს ამოცანად და თავიანთ იდეოლოგიას მთელ მსოფლიოში ავრცელებენ, უარესი, პროდასავლური დიქტატორების ნაცვლად ახლა სათავეში ისლამისტები იმყოფებიან.

ჰუსეინის სასიკვდილო განაჩენის აღსრულება მოხდა ეიდ ალ-ადჰის წმინდა პერიოდში, როცა მექაში ყოველწლიური ჰაჯის დასასრულს აღნიშნავენ. ტელევიზიით ეს მასალა ხმის გარეშე გადაიცა, მობილური ტელეფონით გადაღებულ ფირს კი ხმაც ახლავს, საიდანაც ნათელი ხდება, როგორ უდიერად ეპყრობოდნენ სიკვდილმისჯილს განაჩენის აღსრულების წინ. ამერიკელმა გენერალ-მაიორმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სასჯელის აღსრულების დღეს ამერიკელ სამხედროთა ამოცანა მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ სიკვდილმისჯილი ერაყის ხელისუფლებას გადასცეს და მომხდარზე პასუხისმგებლობა აიცილეს. დანარჩენი რეალობა?

ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ აღმოჩნდა; ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაიღვარა, სადამ ჰუსეინს კი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის (ჰუსეინი იქით უყენებდა იმავე ბრალდებას ბუშს) ჩამოაღრჩობა მიესაჯა. მუსლიმანებისთვის საბოლოოდ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა გახდა შესაძლებელი, აშშ-ს ისლამის შეურაცხყოფა ჰქონდა გამიზნული, მაგრამ რეალურად რა უნდოდა, საერთაშორისო დონეზე არავის დაუსვამს კითხვა...

* * *

1776 წელს აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის დაწყებული პირველი ომიდან, დღემდე არ დასრულებულა აშშ-ის შეჭრა სხვადასხვა მიზეზითა და მოტივით სხვადასხვა ქვეყნებში სამხედრო ოპერაციები, ინტერვენციები თუ სხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ჩარევები დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის სახელით, რასაც თან ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი სდევს.

აშშ ერთმანეთის მიყოლებითა და არაერთგზის შეჭრა ქვეყნებში: არგენტინა, მექსიკა, პერუ, ფიჯი, ჩინეთი, ახალი გრენადა (კოლუმბია); ინდოჩინეთის საარტილერიო დაბომბვა... ნიკარაგუას ქალაქი San Juan Norte მხოლოდ იმიტომ გაასწორეს მიწასთან, რომ შური ეძიათ ამერიკელების შეურაცხყოფისთვის. ვეფხვის კუნძულის ოკუპირება, შეჭრა ურუგვაიში, პანამაში პანამის ყელის ხელში ჩასაგდებად; თავდასხმა იაპონიის ნავსადგურზე და შეჭრა ანგოლაში; ამერიკული დროშის შეურაცხყოფისთვის სადამსჯელო ექსპედიცია სიმონოსეკიში (იაპონია) და სამხედრო ექსპედიცია ვაჭრობის მომგებიანი პირობებისთვის; არაპროვოცირებული თავდასხმა მექსიკაზე, სადამსჯელო ექსპედიცია ჩინეთში, თავდასხმა მიდვეის კუნძულებზე; მრავალგზის შეჭრა იაპონიაში, ურუგვაისა და კოლუმბიაში; ჯარების შეყვანა ჩინეთსა და ჰავაის კუნძულებზე, შეჭრა მექსიკაში, თავდასხმა სამოას კუნძულებზე, ჯარების შეყვანა ეგვიპტეში, თავდასხმა კორეაზე.

ამერიკის პრეზიდენტმა უილიამ მაკ-კინლიმ განაცხადა, რომ ელაპარაკა ღმერთს, რომელიც შუაღამისას თეთრი სახლის ერთ-ერთ დერეფანში მიდიოდა და მან უბრძანა, ხელთ ეგდო ფილიპინის კუნძულები რათა გაექრისტიანებინა ისინი — დაიხოცა 600 000 ფილიპინელი.

1945 წელი — ორი ატომური ბომბის ჩამოგდება უკვე დამარცხებულ იაპონიაში, რის შედეგადაც დაიღუპა 200 000-მდე ადამიანი (ზოგი მონაცემით ნახევარ მილიონამდე), ხოლო ოკუპაციის შემდეგ მილიონობით ადამიანი...



აშშ-ის შურისძიება იუგოსლავიაში 1946 წელს; ჩინეთის დაბომბვა 1946-1949 წლებში; იტალიის პროამერიკული ძალების დაფინანსება არჩევნების დროს, არჩევნების შედეგების გაყალბება და მასობრივი მკვლელობები პოლიტიკური ნიშნით ცსს-ის მიერ; იგივე ქმედებები და სამხედრო მხარდაჭერა საფრანგეთში, რასაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა მოჰყვა (1947-1949წწ); იმავე წლებში საბერძნეთი — აშშ-ის ჯარები მონაწილეობენ სამოქალაქო ომში და მხარს უჭერენ ფაშისტებს; საომარი მოქმედებები ფილიპინებზე, დაიღუპა ათასობით ფილიპინელი და აშშ-მა პრეზიდენტად დასვა დიქტატორი მარკოსი; ისევ პერუ, ნიკარაგუა — სწორედ მაშინ თქვა პრეზიდენტმა რუზველტმა დიქტატორ ანასტასიო სომოსაზე „შეიძლება იგი ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“; კოსტა-რიკა, ალბანეთი, კორეა (1950-1953 წწ) — მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებული ინტერვენცია და ასობით ათასი კორეელის დაღუპვა. მხოლოდ 2000 წელს გახდა ცნობილი ათობით ათასი პოლიტპატიმრის მკვლელობის ფაქტი და ის, რომ ამერიკელები კორეაში აქტიურად იყენებდნენ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს; ვიეტნამი, ბრიტანული გაიანა, ირანი, გვატემალა — პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა აღიარა, რომ ვაშინგტონი არაერთხელ ერეოდა გვატემალას შიდა საქმეებში და სამოქალაქო ომში 200 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ეს ყველაფერი მეორდებოდა და მეორდებოდა.

1982 წელი — გვატემალა. აშშ ეხმარება გენერალ ეფრაინ რიოს მონტს ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. შედეგად, 17 თვის განმავლობაში ინდიელთა 400 სოფელი განადგურდა.

1983 წელი — გრენადა. იმ მოტივით, რომ თითქოსდა კუნძულზე 1200 კუბელი კომანდოსი იმყოფებოდა აშშ-მა გრენადაში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო და ასობით ადამიანი იმსხვერპლა. მალევე გაირკვა, რომ კუნძულზე კუბელთა საერთო რაოდენობა 200 კაციც არ იყო და მათგან მესამედი სამოქალაქო სპეციალისტი იყო. როდესაც გაერო-ს ასამბლეამ დაგმო მომხდარი რეიგანმა ასე შეაფასა: „მან (ინფორმაციამ) ჩემი საუზმეც კი არ დააბრკოლა“...

1983 წელი — ანგოლა. 1984 წელი — ნიკარაგუა. როდესაც კონგრესმა ოფიციალურად აკრძალა ტერორისტებისთვის ფინანსური დახმარება ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გაასაიდუმლა დაფინანსება და ეხმარებოდა ნიკარაგუას ანტისამთავრობო ძალებს. ნიკარაგუელები სწორედ მაშინ დაადგნენ თავზე ამერიკელებს, როდესაც ისინი ტიპიურ ტერორისტულ საქმიანობას აწარმოებდნენ, ნაღმავდნენ სამ ყურეს. როდესაც აშშ ამხილეს, შემთხვევა განიხილა საერთაშორისო სასამართლომ და აშშ-ს 18 მლრდ დოლარის გადახდა დააკისრა.

1985 წელი — ჩადი. აშშ-ის მხარდაჭერილი პრეზიდენტ ჰაბრეს რეპრესიული რეჟიმი აქტიურად იყენებდა წამების საშინელ მეთოდებს, ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს, პირში ჩრიდნენ მილებს და



აიძულებდნენ მანქანის გამონაბოლქვი ესუნთქათ, პატიმრებს ათავსებდნენ ხრწნად გვამებთან, ხოცავდნენ შიმშილით. დოკუმენტურად დადასტურებულია რომ ამ მეთოდებით ქვეყნის სამხრეთში ასობით გლეხი დახოცეს. რეჟიმის სწავლებას და დაფინანსებას აშშ უზრუნველჰყოფდა.

1985 წელი – ჰონდურასი. აშშ ნიკარაგუელი კონტრასების დახმარებით აგზავნიდა სამხედრო მრჩევლებს და ადამიანის წამების სპეციალისტებს, რომელთაც სახელი გაითქვეს არაადამიანური დაუნდობლობით.

1986 წელი – ლიბია. აშშ-მა დაბომბა ტრიპოლი და ბენღაზი, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა.



1986 წელი – კოლუმბია. „ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად" დევიზის ქვეშ აშშ რეალურად მხარს უჭერდა პროამერიკულ რეჟიმს. აშშ-მა კოლუმბიას მასობრივად გადასცა სამხედრო ტექნიკა მას შემდეგ, რაც კოლუმბიის მთავრობამ ერთგულება დაუმტკიცა „სოციალური წმენდით" (ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოძრაობის ლიდერების მოსპობა). „წმენდისას" არაადამიანურად აწამებდნენ დაკავებულებს. პროფკავშირების ცენტრმა 230 კაცი, თითქმის ყველა სიკვდილის პირამდე ნაწამები იპოვეს. „წმენდის" ნახევარწლიან პერიოდში მოკლეს 3000-ზე მეტი ადამიანი, რის შემდეგაც აშშ-მა გამოაცხადა, რომ ჩამოყალიბდა „დემოკრატიული მმართველობის ფორმა და არ არღვევს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს"... 1988-1992 წლებში პოლიტიკური მოტივით მოკლეს 9500 ადამიანი (მათ შორის „პატრიოტული კავშირის" 1000 წევრი), ამ რიცხვში არ შედის 313 მოკლული გლეხი და 830 დაკარგულად ჩათვლილი პოლიტაქტივისტი. მომდევნო ორ წელში პოლიტიკური ნიშნით მოკლულთა რიცხვი 2000-მდე გახდა.

1986-2000 წლები – ჰაიტი. 30 წლის განმავლობაში ჰაიტიში აშშ მხარს უჭერდა დიუვალიეს ოჯახის დიქტატურას, მანამ სანამ მის წინააღმდეგ რეფორმისტულად განწყობილმა მღვდელმა არისტიდმა არ გაილაშქრა. ამავე პერიოდში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საიდუმლოდ მუშაობდა „სიკვდილის ესკადრონებთან" და ნარკოვაჭრებთან. აშშ-მა სამხედროებმა იმ პირობით აღადგინეს მისი მმართველობა, რომ იგი არ დაეხმარებოდა ღარიბებს და ივლიდა „თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის" კურსით.

1987-1988 წლები – აშშ დაეხმარა ერაყს ირანთან ომში არა მხოლოდ იარაღით, არამედ დაბომბვებითაც და მიაწოდა მასობრივი განადგურების იარაღი მომწამვლელი გაზის ჩათვლით, რომლითაც სადამ ჰუსეინმა მოწამლა თურქული სოფელი ჰა"აბჟა-ს 6000 მცხოვრები.

1988 წელს აშშ-ის სამხედრო ხომალდმა „ვინსენსმა" ჩამოაგდო ირანული სამგზავრო თვითმფრინავი რომლის ბორტზე 57 ბავშვიც იყო. უფროსმა ბუშმა განაცხადა: „მე არასოდეს მოვიხდი ბოდიშს ამერიკის სახელით. მიმიფურთხებია ფაქტებისთვის..." მოგვიანებით აშშ-ის მთავრობამ სრულად აღიარა დანაშაული აღნიშნული არაადამიანური დანაშაულის ჩადენის გამო, მაგრამ არ შეუსრულებია აღებული ვალდებულება მატერიალური და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, პირიქით, დაბომბა ირანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

1989 წელი – პანამა. აშშ-ის შეიარაღებული ინტერვენცია პანამაში. პრეზიდენტ ნორიეგას გამოკეტვა ამერიკულ ციხეში. დაიღუპა ათასობით პანამელი, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში მათი რიცხვი 560-მდე შემცირდა. გაერო-მ დაგმო ეს ოკუპაცია, აშშ-მა ვეტო დაადო, სსრკ არ ჩაერია საქმეში, უკვე დაწყებული იყო „პერესტროკის" დათმობის კურსი.

1989 წელი – რუმინეთი. თავდაპირველად აშშ კეთილად იყო განწყობილი ჩაუშეკუსადმი რადგან მხარი არ დაუჭირა სსრკ-ის შეჭრას ავღანეთში და 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის ბოიკოტს, მოითხოვდა ნატო-სა და ვარშავის ერთდროულ რეფორმირებას, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც აშკარა გახდა, რომ არ უღალატებდა სოციალიზმის იდეას, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად ჩაერთო მის დამხობასა და მკვლელობაში. ოპერაციის განხორციელება დაევალა ცსს-ის აღმ. ევროპის განყოფილების ხელმძღვანელს მილტონ ბორდენს. შემდეგში მან აღიარა, რომ „ოპერაცია" სანქცირებული იყო აშშ-ის მთავრობის მიერ – ჯერ დაამუშავეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, დასავლეთის მედიაში ჩანერგილი აგენტების მეშვეობით გაავრცელეს ნეგატიური მასალები დიქტატორზე, რომლის ლაიტმოტივი იყო ის, რომ ჩაუშესკუ აწამებს ხალხს და ბოლოს, რამდენიმე მსოფლიო ტელეარხით ერთდროულად გადაიცა სიუჟეტი რუმინეთის სპეცსამსახურის „სეკურიტატეს" აგენტების მიერ ქალაქ ტიმიშუარეს მცხოვრებთა დახოცვის შესახებ, სადაც უნგრული წარმოშობის ხალხი ცხოვრობდა. ცსს-ის თანამშრომლებმა შემდეგლა აღიარეს, რომ ეს იყო კარგად გაკეტებული მონტაჟი – ყველა ბუნებრივი სიკვდილით იყო გარდაცვლილი, გვამები ადგილობრივი მორგებიდან მიიტანეს ტელეგადაღების ადგილზე. ჩაუშესკუსა და მისი ცოლის დახვრეტა წარმოდგენილი იყო როგორც რუმინელი ხალხის ნება, რეალურად კი ეს იყო აშშ-ის მორიგი ოპერაცია იყო..

1989 წელი – ფილიპინები. აშშ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის აღსაკვეთად საჰაერო ძალებით ეხმარება პროამერიკულ მთავრობას. 1990 წელი – გვატემალა. აშშ სამხედრო მხარდაჭერას უცხადებს გვატემალის პროამერიკულ მთავრობას „კომუნიზმთან ბრძოლის" საქმეში რაც გამოიხატა მასობრივ მკვლელობებში. სამხედრო შეტაკებებს 200 000 ადამიანი შეეწირა, განადგურდა 440-ზე მეტი სოფელი, ათი ათასობით მოქალაქე გადაიხვეწა მექსიკაში, მილიონზე მეტი ლტოლვილი მოქალაქე საკუთრივ ქვეყანას დარჩა და ღარიბთა რაოდენობამ მოსახლეობის 75% შეადგინა. ათი ათასობით ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა; გაიხსნა ბავშვთა აღზრდის „ფერმები", რომელთა ორგანოები ამერიკის და ისრაელის მდიდარ მოქალაქეებზე იყიდებოდა...

1991 წელი – ერაყი. აშშ-მა წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია ერაყის წინააღმდეგ რომლის დროსაც დაიღუპა მინიმუმ 150 000 მშვიდობიანი მოქალაქე. მშვიდობიანი ობიექტების მიზანმიმართული დაბობვა ერაყის მოსახლეობის დასაშინებლად ხორციელდებოდა – მეტი არაფერი...

ქუვეითი, სომალის ოკუპაცია – შეიარაღებული ძალადობა მშვიდობიან მოსახლეობაზე, რომლის დროსაც რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა; ანგოლა – ნავთობისა და დანამატების ინტერესის გამო აშშ-ის დაფინანსებულმა და იარაღით აღჭურვილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნები მაინც წააგო და... დაიღუპა 650 000 ადამიანი. როდესაც აშშ-მა თავისი მიიღო, საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა „ფავორიტს", მაგრამ უარი მიიღო. ამ დროს ითქვა ამერიკელი დიპლომატის მიერ ცნობილი ფრაზა „თოჯინების პრობლემა ის არის, რომ ისინი ყოველთვის არ რეაგირებენ, როცა ძაფს მოქაჩავენ"...

1995 წელი, ისევ მექსიკა, შემდეგ ხორვატია, 6000 ათასი დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქე ისევ რუანდაში; კონგო, სუდანი...

1998 წელი – საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით, გაეროსა და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ნატო-ს ძალების გამოყენებით აშშ-მა დაიწყო იუგოსლავიის სუვერენული სახელმწიფოს 78-დღიანი საჰაერო დაბომბვა. 32 000 საბრძოლო გაფრენის დროს გამოყენებული იყო 21 000 ტონა ბომბები, რაც ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის სიმძლავრეს ოთხჯერ აღემატება... გადატრიალება ბელგრადში და ამერიკელების საძულველი მილოშევიჩის ჩამოგდება; სერბების წინააღმდეგ თავიანთივე გაწვრთნილი ალბანელი ტერორისტების დევნა მაკედონიაში, სახალხო მღელვარების შიშით ისევ ჯარების შეყვანა ფილიპინებში, ვენესუელა...

2003 წელი – ისევ ფილიპინები, ერაყი, ლიბერია, სირია, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში, ისევ ჯარების შეყვანა ჰაიტზე, პროამერიკული სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში, ლიბიის დაბომბვები...

ეს ყველაფერი არ არის „ამერიკული დემოკრატიიდან", მაგრამ მაინც ულოცავენ 4 ივლისს აშშ-ს უფლის განგებით მსოფლიოს გადარჩენაზე პრივილეგიას...

**მაია ჭელიძე**
**593 32 49 71**

# ვინ აირჩევს უნივერსიტეტის რექტორს?

**ბოლო წლებში მიმდინარე სასწავლო რეფორმებმა ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს საბოლოოდ მისცა ის, რომ დღეს იგი 1600 უნივერსიტეტის ჩამონათვალშიც კი არ არის. თუმცა, როდესაც რექტორის პოსტი თავისუფალი რჩება, სჯა-ბაასი ინტენსიურად მიმდინარეობს.**

**საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრულ პროფესორს, ბატონ ლევან გორდეზიანს.**



**– ბატონო ლევან, დღეს უნივერსიტეტს ბევრი პრობლემა გააჩნია, ამას დაემატა ახალი რექტორის არჩევის საკითხიც. თქვენი აზრით, არჩევის რომელი წესი იქნება ყველაზე ობიექტური და ყველასათვის მისაღები, დანიშვნის მომხრე რომ ბევრი არ არის – ეს უკვე გამოიკვეთა...**

– მოგეხსენებათ, რომ ახალ კანონპროექტს აკადემიურმა საბჭომ უპასუხა რექტორის გადადგომით და არჩევნების დანიშვნით, დღეს როგორც უნივერსიტეტის პროფესურასთან, ასევე განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. გვგონია, რომ ეს გახლავთ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი რექტორის პოსტზე ახალი კანდიდატურის არჩევისა. აკადემიურ საბჭოსთან ამ საკითხზე კონსულტაცია გვქონდა, გარკვეულწილად ამ გადაწყვეტილებებს ყველა უყურებს დადებითად, უბრალოდ, მეტი მუშაობა და კოლეგების აზრის გათვალისწინება დღეს საჭირო, რათა საბოლოო აზრზე ჩამოვყალიბდეთ.

ჩვენთვის მიუღებელია, როგორც დანიშვნა ამ თანამდებობაზე ვინმესი, ასევე მხოლოდ აკადემიური საბჭოს ანუ ვიწრო წრის მიერ ვინმეს არჩევა. ამიტომ პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეულმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ, რომ გვაქვს ასეთი იდეა, რომ თუ უნივერსიტეტში შედგება გაფართოებული წრე პროფესორებისა და ჩატარდება კრება, მათ აირჩიონ ახალი რექტორი. ეს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს 16 აგვისტომდე. ტექნიკურადაც ეს შესაძლებელია, რადგანაც, თუ აკადემიური საბჭო შეიტანს ამ ცვლილებას და სამინისტრო ამას დაადასტურებსა, ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი დღეს შექმნილი სიტუაციიდან, რადგანაც ახალი რექტორი არჩეული იქნება 200-მდე პროფესორის მიერ წესის სრული დაცვით და მას ექნება მეტი ნდობა.

ეს საკითხი სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს, რადგანაც დრო მცირეა. ჩვენი აზრით, უკეთესი იყო, ჯერ სისტემური ცვლილებები მომხდარიყო უნივერსიტეტში და მერე მომხდარიყო რექტორის არჩევნები, მაგრამ, ვინაიდან ამ საკითხმა წინა პლანზე გადმოინაცვლა, დღეს ის სერიოზულ გადაწყვეტას მოითხოვს.

პირველ რიგში, გვინდა ის, რომ ამომრჩეველთა კოლეგია იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მოხსნას ლეგიტიმაციის პრობლემა. ამ წესით არჩეული რექტორი, ვფიქრობ, იქნება ისეთი, რომელიც უნივერსიტეტის მომავალს სწორად წარმართავს და გონივრულ ცვლილებებს გაატარებს უნივერსიტეტში, რაც, გარკვეულწილად, კანონმდებლობასაც დაეხმარება. ვიმეორებ, აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულ რექტორს არ ექნება ლეგიტიმაცია, რადგანაც ყველამ ვიცით, რომ აკადემიური საბჭოს წევრები არ არიან დამოუკიდებლები, ისინი წლების განმავლობაში იყვნენ „ნაციონალების" გავლენის ქვეშ და არც ამ არჩევნების შემთხვევაში მოაკლებენ ისინი „ყურადღებას". ამიტომ პროფესორთა გაერთიანებული ჯგუფის მიერ რექტორის არჩევა გახლავთ ერთ-ერთი სწორი გამოსავალი მოცემულ შემთხვევაში.



**– დღეს უკვე გამოცხადებულია არჩევნები?**

– დიახ, მაგრამ ამ წესდებით, რექტორს ირჩევს მხოლოდ აკადემიური საბჭო 12 კაცი, ეს რაოდენობა თავისთავად ძალიან მცირეა, თანაც გვაქვს მძიმე გამოცდილება, თუ როგორ ტარდებოდა ადრე არჩევნები, ამიტომ ძალიან კარგი კანდიდატურაც რომ შეირჩეს, მას თვითონ ექნება ლეგიტიმაციის პრობლემა, ყოველთვის გაუჭირდება კოლეგებთან ურთიერთობა, ამ კონცეფციით კი გაფართოებული წრე ირჩევს.

ჩვენს მიერ საკითხის ასე დაყენება არ გახლავთ ვინმეს მიმართ წარმართული აქტი, არამედ ამ საკითხზე ვაპირებთ კონსულტაციებს,

**P.S. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება დღეს განხილვის საგანი უნდა გახდეს, რომელიც სწრაფ და სწორ გადაწყვეტას მოითხოვს.**

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

გური ოტობაია
მობ.: + 995 571 212 770

# „მშობლიური" მხეცის მოთვინიერება მხილებით

**დილოგია გურამ ოდიშარიას შემოქმედებაზე.**

**„სათვალიანი ბომბი".**

რომანი, თბ., 2009, „ფორმა"; რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე.**

**წერილის** სათაურს გამართლება რომ ჰქონდეს, ერთგვარი ლირიკული წიაღსვლა მოგვიწევს. ეს განცდა „ფჰაგავატგიტადან" (დაახ. V ს. ძვ. წ. აღ.) საწყისდება, როცა ორ, ურთიერთწაკიდებულ სისხლ- ხორცთაგან უფრო გონიერი კურუს საომარ ველზე იარაღს დაყრის დიდი სულიერი ძვრების შემდეგ: რომელია უფრო ჭეშმარიტი ქმედება, ვძლიოთ თუ ვიძლიოთ?! ამ კაცობრიული მნიშვნელობის საზრისს, მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებში მოვიძიებთ მერმე: ბუდა შაკია მუნის საზოგადოებრივი აქტივობა ფაქტობ- რივად ნიველირებულია, როცა იგი ნირვანას მიეცემა მარადიული ჭვრეტის გამართლებით. იგივეს მოიმოქმედებს მაჰატმა განდი ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. გვახსენდება ანეკდოტი. ძუკუ ყვირის: დათვი დავიჭიერეო. შეეპასუხებიან: წამოიყვანე მერეო, და იქიდან: არ მიშვებს, პატენიო. სწორედ ინდური დიადი მორჩილებით აღმოჩნდება დატყვევებული მოძალადე ინგლისი. მსგავსი პასაჟებია არეკ- ლილი ქრისტესთან „გალაწუნების" პასაჟეებსა თუ თავად გოლგოთის ღვთაებრივ მისტერიაში, როგორც სიკვდილითაა სიკვდილის ძლევის უმაგალითო ფაქტი.

**მრავალი** საუკუნე დასჭირდა შეგნებული მემსხვერ- პლეობის დოქტრინით „გიყვარდეს მტერი შენი" მოწინა- აღმდეგის მოთოკვას, ვიდრე მთვარის რაინდი თუთაშხა არ აღმოსკდებოდა ჩვენი ცნობიერებიდან, როგორც საკუთარ ხორცით ურჩხულის დამპურებელი ფენომენი, სანამ ადამიანური სახე მიეცემოდეს მის ანტისამყაროისეულ გასაგისს და დადგება მომენტი, როცა დრაკონი გაჯერებულია თვითზვარაკული ტრაპეზით და აი, ყველას თვალწინ განაცხადდებბდა პლანეტარული მნიშვნელობის სენტენცია — მეტად აღარ ძალმიძს ხორცის ჭამაო. დიახაც, ამ კონკრეტულ მსოფლგანცდას ვგულისხმობდით „მშობლიური მხეცის მოთვინიერების" გზაზე მხილების მეთოდის შემოშველიებისას.

**სათვალიანი ბომბი.** აქ თავისთავს აღარ ახმია- ნებს იგი. დისტანციიდანაა დანახული მისი სულიერი ვნებათაღელვანი, რადგანაც მასთან თანამშრომლობა, მასთან მუსაიფში შესვლა შეუძლებელია ხორციელისგან. ის ზერადიაციულია, ზეტოქსიკური, რომელიც ამძაღებს ყველაფერს და ფორმას უცვლის ამავდრო- ულად. მართალია, დედამიწა სამშობლოთაა ჯამი იყო II-I ათასწლეულებში ქრისტემდე, ვინემ XXI საუკუნეს მოვატანდით, მაგრამ ამიერიდან კორექტივია შეტანილი მამულის ცნებაში და მის პატრიარქალურ გაგებას ფლეგმატური, ავტორისეულად: „ფრიგიდული მდინარება" ჩანაცვლებია სახელმწიფოს, დერჟავას, გნებავთ — გაცილებით პოპულარულ რესპუბლიკას. და ახლებური შინაარსი ამ მონსტრისა აწ ერთ სიტყვაში ლამის მოუქცევადი განზომილებაა. ამიტომაც მისი მოშხამული ატმოსფერო იძვრის, გარდაიქმნება და ოდესღაც მშვენიერი გონჯად მიიქცევა, საღი — საპყრად; მისი გულისყური მოიცავს ყველას და ყველაფერს. ის უბადლო მიმყურადებელია. და უცებ ნაწარმოების მთავარ პერსონაჟში მთელი სიმძაფრით შემოიჭრება, თავისი არითმეტიკული უსასრულობებით, ტირადებითა და ცნებებით, მაგრამ ამავდროულად იგი ვალკერიების ჭაღარა ფრთებით აზეითებულ რეპორტიორს ჩვენსას განწმენდს, კათარზისის მძლავრ ნაკადში მოაქცევს, აწდევებს გრანდიოზულად, როგორც ღვინოს მუდმივი გადატანა ქვევრიდან ქვევრში; როგორზც აჰურა მაზადას — ზოროასტრული ცეცხლში უდასასრულო განელება. მას სქელ ულვაშში მილიონობით წითელი თვალი უციმციმებს, ერთდროულად უცხოც და მშობლი ურიც. ჰოდა, ამისთანა ბატონ-მხევალს, ამისთანა ხელისუფალს და ხელქვეითს, კიდეც გაურბის და გულშიც იხუტებს ჩვენი გმირი ამავდროულად. ამიტომაც წერს ამ სტრიქონებს მალულად, რადგანაც სათვალიანი ბომბი მთლად აბსოლუტი ვერ არის. იგი შესაძლოა იყოს ტიტანი, ბუმბერაზი, გნებავთ — კერპი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — უფალთუფალი. და რადგანაც შესაძლებელია დაემალო მის მომნუსხავ მზერას, მის გაფაციცებულ ყურთასმენას, თავქუდმოგლეჯით გარბის რეპორტიორი ჩვენი სოფი ლორენის ძუძუებით აღჭურ- ვილი კლაუდიას ლაგუნასკენ გასატრუნავად.

**„სათვალიანი ბომბი"** თერგდალეულების ეპოქისა- თვის დამახასიათებელი ოკეანენაყლაპობის სინდრო- მითაა გაჯერებული, ოღონდ პირველისაგან განსხვავებით აქ დაპირისპირება არა მშვენიერის დასამკვიდრებლად გონჯის გამოხშირვის მამითადით, არა პროგრესულის დანერგვის მცდელობით დრომოჭმულის მოკვეთის ხარჯზე, არამედ — პირიქითაა საქმე, დიახაც, საყოველთაო ზადის, საყოველთაო უხამსის დასამკვიდრებლად მოოკიანებულან არასამთავრობოების ლეგიონები ოლიგაქიული ინტერესების გასავრცობად. მილიონებით მოსყიდული ეს „ჩვენიანები", ვითომ ღვიძლი ღვიძლისანი თუ გვარნაცვალები,გ პროტოიბერიული რასის ისედაც ნამუსრევის მთლად წარსახოცად მიწის პირისაგან, ცდას არ აკლებენ, რათა აქამდე მორჭმული მათი დონორების „ღვთაებრივ" მდგომარეობას უზნეობათააფარდების ამხდელი კონკურენტი ჩამოშორდეს ჩვენი სახით ერთხელ და სამუდამოდ.

**მართლაც** „სათვალებიანი ბომბია" პროტოიბერიული მოდგმის თავზე აღმართული სრული გაქრობის პერსპექტივით, როცა საიტები საქართველოში ჩვენი ეთნისის 500 000-მდე შემცირებას გვპირდებიან უახლოეს მომავალში; როცა „ქართულო ოცნების" ძალისხმევა რომ არა, ჩვენს სახელმწიფოებრიობას ფაქტობრივად ბალავარი გამოცლილი ჰქონდა „ნაცმოძრაობის" ანტიქართული მავნებლობათაგან. რომლის მასულდგმულებელი ევროკავშირის სახალხო პარტიაა, და მიზანსწრაფულობა — ვისთვის „ვილიკაია არმენიის" შექმნაა, და ვისთვის — ოტომანთააზეთურქული იმპერიის ჩამოალიბება რუსეთის საპირწონედ. ამ ანტიკაცობრიულ დოქტრინას, რომელიც ერთბუნებიანი წყვილეულებისაგან ითხოვს მონსტრის შთამომავლობის აღმოცენებას სალვადორ დალის ცნობილი პანოს კვალობაზე, თვით მექალთანე კლინტონის უმაღლესობაც უძლური აღმოჩნდება წინ აღუდგეს ტრანსვეტიზმს, ლიბერტიანობას, პედოფილიას და მათ ამაზრზენ ნაირსახეობებს, მაგრამ საკითხავია, ცივილიზაციის წინაშე დგას კი საერთოდ მსგავსი პრობლემა ტოტალურად, თუ ჩვენს კაცობრიულ სხეულს მართლაც დამუქრებია სასიკვდილო მუტაციები?!




**17 მაისის** სოდომ-გომირელების აღლუმი მართლმადიდებლური ანაფორით გაიხვეტება იუნკრების ძვალთშესალაგიდან, მაგრამ არასამთავრობოები აქაც ქულებს ჩაიწერენ თავიანთი ბოსების წინაშე: ხომ დავიფიქსირეთ თავი, ხომ გამოვიყვანეთ წონასწორობიდან ეკლესია, ერი, ბერი, ძალადობის ბრალდება ავკიდეთ საუკუნო ტვირთადო. სინამდვილეში საქართველოსა თუ სხავა პატრიარქალურ სახელმწიფოებში მიმდინარეობს ორი განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის დაჯახება, რომელიც პირობითად შეიძლება მოინათლოს კოლექტიური და ინდივიდუალური ფსიქოლოგიების ომად.

ადრეულ ეპოქებში ადამიანს არ შეეძლო ჯოგის, ტომობრივი სიმრავლის გარეშე არსებობა. მარტოხელა მგელი, ფუტკარი, ჯიხვი, გნებავთ — ლომი განწირულია დასაღუპავად, მაგრამ კაცობრიული გამოცდილებით ალფონს დოდეს რობინზონ კრუზოსაც კი შესწევს უნარი გაუმკლავდეს გამსრესავ უკაცრელობას და აწარმოოს ყოველგვარი კაცობრიული, გარდა საკუთარი თავისა. დიახაც, კაცობრიული გონების წყალობით ადამიანს ხელეწიფება მოახერხოს ინდივიდუალური განსახელმწიფოებრიობა. ადრე სახელმწიფოს აღმაშენებელი აგური ოჯახი თუ მიიჩნეოდა, ახლა XXI-მ განზე მიაჩოჩა ეს კრიტერიუმი და თემური ცნობიერების ნაცვლად ინდივიდს მიუბოძა კერიის, დედაბოძის გარშემო მარტოკერძობით სუფევის ილუზორული იდი- ლია. მას არ სჭირდება ყურის კოლექტიურად ამწევი დედ-მამა, და-ძმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილი, მოკეთე, სისხლ-ხორცი, თვისტომი, მემკვიდრეებისგანაც ხელები დაუბანია, თვით — ცოლ-ქმრული ვალდებულებებისგანაც, ოღონდაც თავად იყოს აბრეშუმოს ჭიასავით ნირვანაში თავმონასკვული ბუდა შაკია მუნი. მაგრამ ჩვენი მახვილი მზერა ამ პროცესის მასაზრდოებელ ნამდვილ მიზეზებსაც ააშკარავებს თვალნათლივ — და ეს 666-ანელების ცდომილი წარმოდგენებია სამყაროზე, როცა ყველაფრის შემოქმედად თავიანთი ეგოისტური წარმომავლობა სახელდება; არაფეისდიდებით უნდა დაიშვას მასის მასობრივი გაკეთილშობილება; არ განხორციელდეს მასის პერიფერიების დაახლოება ეპიცენტრთან, შედარებით მსხვილი რგოლების მეშვეობით, როგო- რიცაა: ოჯახი, საგვარეულო, თემი და ყველა ეს წინააღმდეგობა გ. ოდიშარიას მამა-შვილის — ირაკლი-ლაშას შინაგან პაექრობაშია თავმოყრილი სკაიპებით საუბრებისას; და რადგანაც იმანენტურად ნაგრძნობი აქვს ავტორს თაობათა განსხვავებული აღქმის დონე, შესატყვისი ელფერით აღბეჭდავს საგანთა და მოვლენათა ხასიათებს, რომლებიიც მეტწილად ვერბალურია, ცნებითი, კომპიუტერის შხამიანი კლავიატურიდან აღმოცენებული. აქ განსჯის, მედიტაციის მეთოდია დაწინაურებული და ხატებს, სურათებს მხოლოდ ექსპრესიის გაცხოველების ფუნქცია ენიჭება ნაწარმოებში მკითხ- ველის შესანარჩუნებლად; მოკლედ, წინააღმდეგობა მამასა და შვილს, კომედიანტსა და პილიგრიმს შორის ემპირიულია, დეკლარაციული, მაგრამ ამავდროულად — ბურჯურყევი მტკიცებულებების მქონე:

„(ლაშა) **არ გიყვართ ის, ვისაც ყველაზე ხშირად ახსენებთ — ღმერთი! და რა თქმა უნდა, არც ის გიყვართ, ვინც აღარ გახსოვთ — ადამიანი! საკუთარი თავი კი, კარგა ხანია, სადღაც დატოვეთ, მართლაც, რაში გჭირდებათ ის ბედოვლათი!"** უფრო მწარე ბრალდება შეუძლებელია ცხოვრებისაგან მრავლადნათრევ მშობელს სამსალასავით მიაგებო. მან კი რანაირად ივექილოს საკუთარი მეობის, საკუთარი სახელმწიფოებისა და ფასეულობების შესანარჩუნებლად, ლამის მტრად მოკიდებული მემკვიდრის წინაშე?

„(ირაკლი) **მეცნიერებმა ციმბირში, ამ ორმოც- დაათიოდე წლის წინათ, 30 კვადრატულ მეტრზე უნიკალური ბალახი აღმოაჩინეს, სხვაგან არსად არსებული. თავს ევლებოდნენ, მაგრამ რა?! გაიყვანეს იქ ავტოსტრადა და დაიღუპა ბალახი, სამუდამოდ გაქრა სიცოცხლის კიდევ ერთი სახე. მეცნიერები გლოვობდნენ სულ რანდენიმე ღერ ბალახს. შენი ქვეყანაც ამ ბალახს ჰგავს, ლაშა... საბოლოოდ თითოეული ჩვენგანი ასეა — ისევ გვჭირდება მტერი, როგორც მეგობარი. როგორც ურჩხული გვჭირდება, ისევე ღმერთი, რომელიც ცაში გვყავს, სატანა — მიწაზე. მიწა სატანისაა, ჩვენ ცა მხოლოდ ღმერთისთვის გვინდოდა, სუფთა, სიკვდილის შემდეგ რომ წესიერად დავისვენოთ, ბოლოს და ბოლოს. ადამიანი უცხო ქვეყანაში იმიტომ გარბის, რომ ის ქვეყნები ნაწილობრივ იმ ცისა ჰგონია. არადა, მიწაა ყველ- გან, ლაშა, მიწა ერთია".**

„(ლაშა) **რა კულტურაზე მელაპარაკები, უთავ- ბოლო მიტინგების ქვეყნის შვილო? ვიღაც-ვიღაცების კვარცხლბეკებო? საზარბაზნე საზოგადოების კლიენტებო? ნეტავ, ავსტრალიაში დავბადებულიყავი, ან სულაც, ბურკინა ფასოში. მხოლოდ TV-თი მეცოდინებოდა თქვენი ამბები. ამაყობთ კიდეც, მსოფლიო ჩვენზე ლაპარაკობსო. უბედურებით მოვაჭრენო! არ იცით, რომ ყველაზე მეტად სასოწარკვეთილებზე ლაპარაკობენ TV-ები — მიწისძვრები, წყალდიდობები, ომები, ცხედრები... თქვენც მსოფლიოს იმ ნაწილში ხართ, საითკენაც სხვებს გახედვაც ზარავთ... გავიქეცი, რათააარ დავიხრჩო თქვენს ჭაობში. გავიქეცი, რათააარ გავგიჟდე. მარად ერთი კაცის შემყურენო და მოიმედენო, ვერც კაპიტნობა ისწავლეთ და ვეღარც ეკიპაჟის წევრობა. ერთი კაცის ქვეყანავ! ო, როგორი აღტაცებით აფრიალებთ ამ ერთ კაცს მწვერვალისაკენ და მერე, დრო რომ გავა, იმავე აღტაცებით დაანარცხებთ მიწას. გი-ჟე-ბი ხააართ! ...ღერძი გადაგეხარათ, რა ხანია, უაზროდ დაცურავთ... და მხოლოდ თვითმკვლელობისთვის ხართ მზად".** (ეს პერსონაჟი თავისი შინაგანი ამბოხით ყველაზე ახლოს მერაბ ნინიძის მხატვრულ სახესთანაა — თორნიკე არავიძესთან — კინოლენტში „მონანიება", რეჟისორი — **თენგიზ აბულაძე**).

მწერალმა ტრადიციული ესთეტიკური ნორმების მოდერნიზაციით, უმეტესწილად ინტუიტიური იმპულსებით, შეძლო აესახა ჩვენი ეთნოარსის წრხოცვის, წარდინების შემზარავი პროცესი. და აქ ადგილი არ რჩება აპოკალიპსური დასკვნებისათვის, მაგრამ რჩება გონის შემანჯღრეველი გაფრთხილებები, ჯვალოიანი ნაფლეთობანი კავკასიის არეალზე, რომელიც გასაოცარი მიზანდასახულობით იმღვრევა ოკეანის გადაღმიდან, იმ ოკეანიდან, რომელსავ თავისი სიმცირის მიუხედავად ფეხს უბამს გაბარიტებში ჩვენი მუქლურჯი შავი ზღვა. მართლდება ქართული ანდაზის საკრალურობა: ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყოო. ჩაეტია და მერე როგორ! აქამდე არგაგონილად, აქამდე არსმენილად, აქამდე გაუცნობიერებლად, დიახაც, იმპერიალისტური მამონას შემწეობით, რომელიც სახრავი ძვალივითა გადმობზრიალდა ჩვენსკენ არასამთავრობოების კბილების საღლაჭუნოდ; დაირღვა უფალთუფალის ნაბრძნობი დოქტრინის შეუძლებლობა — ზღვა მიიქცა ოკეანედ, აქლემების ქარავანი გაიძურწა ნემსის ყუნწში თავის ალალიანად; ქალის ვაგინალურმა სისტემამ შეიძლო ფალიკური ფუნქციების გაძღოლა და პირიქით, მამაპაპური ადრეკილი განეფინა, განაზდა აფროდიტეთააალმოსაცენებელ ქაფამდე, რითაც გამორჩეულია კლაუდიას ქვიშავერცხლა ლაგუნები სათვალიან ბომბთაა დასავანებლად ცნობაუწვდენელ შრეებში.

გურამ ოდიშარიას მწერლურმა პოტენციალმა გაარღვია ქართული ტრადიციული გარსის ყველა ფენილი, გაიყვანა თავისი შემოქმედებითი პალიტრის საჰაერო ლაინერი საერთაშორისო ორბიტაზე და როგორც დედამიწის სიხასხასით აღფრთოვანებულმა გაგარინმა ღია კოსმისიდან შესძახა: „**ჩუდესენ**", იმგვარად აიტაცა ორი ურთიერთგამომრიცხავი ფასეულობა ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილად აღმართული: მამული და მამონა. რამაც მსგავსი აღტკინებით მომართაა ტრიადა ქართული ოჯახისა: დაუთოებული პაპა, მემიტინგე რეპორტიორი და მეჰამლეტე რეჟისორი, რომელთა სამეული განრღვეულია, გახლეჩილი, განთესლილი შეუკავშირებელ ელემენტებად:

„(ლაშა) **გიჟურ იმედებს აყოლილები ხალხს ვიღაცებს შეახოცავთ და მათაც ახოცინებთ სხვებს და მერე მოედანზე**

ღრიალებთ: ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლესო. რეალობის შეგრძნებას კარგავთ, დათვების გამომღვიძებლებო, სიკვდილის აპოლეგეტებო, ეკლესიის ნამსხვრევებით მოვაჭრეებო! გატრენინგებენ და ვერ ტრენინგდებით. უცხოელები მალე თქვენს გადატენილ რესტორნებში ხაჭაპურებსა და ხინკლებში ჩაგიდებენ ცივილიზებული ცხოვრების წესებს, ქცევის წესებსაც, როგორც ბარბაროსებს... ხან ხანჯლის წვერზე წრიალებთ, ხან ერთი ძლიერისკენ გადაქანდებით, ხანაც მეორისკენ. და აწრიალებთ ქვეყნიერებასაც, ესაა თქვენი კოსმეტიკური პროგრესი — მიდიხართ სწრაფად და არსაით. თქვენი სულები დიდი ხანია ჩამორჩა თქვენს სხეულებს... ხო, მართლა, თქვენ ბროდვეიზე ჯერ არ დაგიწყიათ ტაკუნების ვარსკვლავების გახსნა? მალე დაიწყებთ. წარმოიდგინე, როგორ დაადებს მის ტაკუნა თავის ტაკუნას აზელილ ბეტონს. დაადებს კი არა, ჩააწობს, როგორც ფუნთუშას რძიან ყავაში".

ჩააწო და ეს არის 17 მაისს იუნკრების ძვალშესალაგ ტაფობელაზე, სადაც ნამდვილ ტაკუნებს, მამალი პროქტოლოგებივით დასდევდნენ ინდაურივით გაფხორილი ანაფორიანები. მათ კი არაფერში ენაღვლებოდათ ეს გამოდევნებანი, ვინაიდან უკვე დააფიქსირეს თავიანთი თავი, როგორც მათხოვარმა ნეგროიდმა მეტროპოლიტენ რუსთაველის ალაყაფის კარებთან, ჯონსონ ვაისიამ, სიტყვებით: გაიღეთ მოწყალება ზანგი ქართველისათვის! ჩააწეს და ეგ არის 17 მაისს ჩვენს სულებში ის ტაკუნები სლიპინა კანით, იმ ფალიკურ-ვაგინალური ხრახნქანჩებით და ესპანურ ნამდვილ ტოროს შეკედლებული ჩვენი მეჰამლეტე ლაშა ჯერაც ვერ აცნობიერებს მის გარშემო გაბატონებულ რეალობებს, რომ სწორედ იმ პედესტალზე დგას, საიდანაც წამოდინებულა მისი სამშობლოს დამაქცევარი გესლი და სამსალა; იმ გველვეშაპის დაგორდლილ საბურავებზე აღმართულა, რომელმაც განაშორა ერთმანეთს მისი დედ-მამის საკრალური სარეცელი, ოდესღაც გადასხეპილ მუხაზე რომ გამართეს პენელოპემ და ოდისევსმა. აი, ის ლოგინი გახლიჩეს ფარისევლებმა და მებაჟეთა ურწმუნო თომას ბილწი ხელფათურით; რომ იმ ეშა- ფოტზე დგას, რომელმაც დაახვავა გვამები და ცხედრები და ძაღლების გააფთრებით გარემოცულს, კვლავაც შეუპოვრად უტევენ ჯაგარაშლილი ღორები ლეგი- ონის კოლტეულიდან; იმ ტოტზე მკვიდრობს, რომელიც ჩამოსხეპილია 666-ოლიგარქის ხელით, რათა გაპირუტყვდე, რათა გამხეცდე, რათა იქცე მშობლიურ ყროლად, მშობლიურ ჯალათად, რომელსაც ვერაფრით განწმენდს თუნდაც ტრილიონი იოანე-ზოსიმეს ლაკონური ფრაზის ამოქარქაშება „ქებაიდან..." **„რაითა, ყოველსა ენასა** (ტომს, ეთნიკურ ჯგუფს, ქვეყნიერებას ზოგადად, გ.ო.) **ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".**

**გური ოტობაია.**
17. 06. 2013 წ.

# ჩინეთი, რომლის უკან ილუმინატები დგანან, სულ მალე აშშ-ს ჩაანაცვლებს და ახალ ზესახელმწიფოდ იქცევა

რამდენიმე დღის წინ ნატოს გენერალურმა მდივანმა თბილისში სტუმრობისას განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის გარდა ის პრობლემაც აქვს, რომ მან ვერ „ჩააბარა" ტესტი 17 მაისს ანტიჰომოფობიური მსვლელობის აღკვეთის გამო.



როგორც ცნობილია, რასმუსენი მალე აღარ იქნება ნატოს გენერალური მდივანი, მაგრამ მისი წასვლით, ცხადია, არ იცვლება გლობალისტების გეგმები.

ამას წინათ ერთი დოკუმენტი ჩამივარდა ხელთ, რომელიც, ჩემი აზრით, ბევრ შეკითხვაზე გასცემს პასუხს და ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს, არა მხოლოდ გეიაღლუმის თაობაზე, არამედ უცხოტომელების, კერძოდ, ჩინელების მომრავლების გამალებულ ტენდენციაზე საქართველოში.

სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვულმა ერთმა ნავთობბარონმა და "თავისუფალმა ქვისმთლელმა" ერთ პასტორს 2011 წლის დასაწყისში აღსარება ჩააბარა. ის ამბობს, რომ ჩინეთი დაიკავებს წამყვან ადგილს მსოფლიოში და უახლოეს მომავალში აშშ-ს ჩაენაცვლება. მან პასტორს აღსარებაში უთხრა, რომ ზოგიერთ მოვლენას ბიძგი უკვე 2012 წელს მიეცემა და განაცხადა, რომ ჩინეთი გახდება ახალი ზესახელმწიფო, რომლის უკან "ილუმინატები" დგანან და წინ წამოსწევენ ჩინეთის ფუნქციას..

ქვემოთ პუნქტობრივად არის ჩამოყალიბებული მასონის აღსარება, რომელშიც მოცემულია დამატებითი ინფორმაცია ზოგიერთი ფაქტის შესახებ, რომელსაც ამზადებს გლობალური მასონობა.

**პუნქტი 1.** ომი ირანის წინააღმდეგ დაიწყება უახლოეს ორ წელიწადში და მთელ მსოფლიოს მოედება. ეს იქნება უეცარი დარტყმა, რომელიც ძალიან მალე მესამე მსოფლიო ომში გადაიზრდება. ამ სამხედრო-პოლიტიკურ პროვოკაციას მილიონობით ადამიანი შეეწირება.

**პუნქტი 2.** ამერიკულ დოლარს „სული ამოხდება". ვალუტები გაუფასურდება, რადგან მსოფლიო საიდუმლო მთავრობა დააკანონებს ახალ მსოფლიო ვალუტას. ძალიან მალე მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, როგორიც დღეს არის. გამოიტანე შენი ფული ბანკიდან და გამოიყენე სწრაფად და გონივრულად. ახალი გლობალური მსოფლიო ვალუტა მალე გამოჩნდება და ევროც დაეცემა. ოქროსა და ვერცხლის ღირებულება დღემდე არნახულ ასტრონომიულ ფასს მიაღწევს. ჩინეთი მსოფლიო მთავრობის ყურმოჭრილი მონა იქნება და დედამიწაზე ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებას გააკონტროლებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ფინანსთა მინისტრი ტიმოტი გეიტნერი, ავსტრალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი კევინ რადი თავისუფლად ლაპარაკობენ ჩინურად. მოვლენები დედამიწის მოსახლეობის კონტროლის შესაბამისად განვითარდება. ამისთვის შემოიტანენ სავალდებულო RFID Cipebs *(Radio Frequency IDentification, radiosixSiruli identifikacia. უფრო დაწვრ. იხ. ვიკიპედია: http://ru.wikipedia.org/wiki/RFID ან საიტზე: http:// www. datakrat.ru/tehnologii_3.html). ადამიანთა მასები ისეთ სიღარიბემდე მივლენ, რომ აჯანყების თავიც არ ექნებათ. გარდა ამისა, გამოიყენებენ HAARP-ის საიდუმლო, ფსიქოტრონულ იარაღს, რომელსაც ჰიპნოზის ეფექტი აქვს.. ადამიანები უცნაურ, მოდუნებულ მდგომარეობაში ჩაიძირებიან. ეს იარაღი შეასუსტებს მათ ნებისყოფას, რომლის შედეგად ადამიანთა უმეტესობას ინერტული განწყობა დაეუფლება.

**პუნქტი 3.** ჩინეთი საოცრად გაძლიერდება. ის წარმოადგენს ახალ მსოფლიო მთავრობასა და პოლიციურ სახელმწიფოს. ამერიკული ლიდერობა მესამე ქვეყნების დონეზე ჩამოქვეითდება. ოქრო და ვერცხლი - ის საშუალებაა, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს. შეისყიდეთ ოქრო და ვერცხლი. ილუმინატები ძალიან მალე დაიწყებენ ბანკების გაკოტრებას. ჩვენ მივისწრაფვით ისეთი კრიზისისკენ, როცა ყველანი უკიდურესად გაღარიბდებიან. გვინდა თუ არა, მრავალ ჩვენგანს მოუწევს მიუბრუნდეს გლეხურ ყოფას, რადგან სიღარიბის გამო ქალაქებში ცხოვრება შეუძლებელი გახდება. ინვესტიციებისა და უძრავი ქონების იმედი ნუ გექნებათ, რადგან ადამიანებს სახლების შესყიდვის შესაძლებლობა არ ექნებათ, რის გამოც, ფასები უძრავ ქონებაზე მკვეთრად დაეცემა. მდიდრულად ცხოვრების იმედი ნურავის ექნება, ან კიდევ მემკვიდრეობით მიღებული ქონებისა და ინვესტიციების, რადგან ეს ყველაფერი იმ დღეს გაქრება, რა დღესაც ყველა ბანკი ერთი მეორის მიყოლებით გაკოტრდება.



**პუნქტი 4.** ნავთობი გაძვირდება. ერთი ბარელის ფასი 150-200 დოლარამდე აიწევს. ამაზე დიდ გავლენას ახდენს ჯანყი და რევოლუცია არაბულ ქვეყნებში, რომლის გამოც გაძვირდება გადაზიდვები, პროდუქტები და ა. შ.

**პუნქტი 5.** აშშ-ში თუ კრედიტი გადახდილი არ გაქვთ, ბანკს შეუძლია სახლი ჩამოგართვათ. ბანკის ვალი თუ გაქვთ სასწრაფოდ გადაიხადეთ. თუ გადახდა არ შეგიძლიათ - გაყიდეთ სახლი და იყიდეთ უფრო პატარა, რომლის შესყიდვასაც მოერევით, თუნდაც ეს ქოხი იყოს. მილიონობით ადამიანი დაკარგავს თავის სახლს.

**პუნქტი 6.** ობამასეული ჯანდაცვის სისტემა ეს არის მაკონტროლებელი საშუალება, რომელსაც ბანკირები აკონტროლებენ და სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ. ეს არის ძალაუფლება, რომელიც კრძალავს იარაღის გამოყენების უფლებას, ევთანაზიას და ა.შ.

**პუნქტი 7.** აშშ-ს მთავრობამ პანამის არხი ჩინეთს დიდი ხნის წინათ გადასცა. ეს იყო საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოსა (CFR) და სამმხრივი კომისიის (TriLats) (გლობალისტების ცნობილი ორგანიზაციები) სტრატეგია.

**პუნქტი 8.** ყველა ბერძნული პორტი ჩინეთის მფლობელობაშია.

**პუნქტი 9.** მთელი ბუნებრივი რესურსების 90%, მინერალები, ტექნოლოგიები, იარაღი და ა.შ. ასევე ჩინეთის მფლობელობაშია. აშშ-ს არმიისთვის იარაღის დეტალების 80% ჩინეთი ამზადებს. **ამერიკა ჩინეთის კმაყოფაზეა**.

საინფორმაციო საშუალებათა მეშვეობით მოახვიეს, რათა მოამზადონ ანტიქრისტეს მოსვლა.

**პუნქტი 15.** ილუმინატები, წარმოადგენენ სისტემას, სადაც იქნება მხოლოდ ერთი მსოფლიო რელიგია. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მასონები აფინანსებენ.

**პუნქტი 16.** აშშ-ს ზოგიერთ ოლქში ძალაში შევიდა კანონები, რომლებიც ადგილობრივ პოლიციელს უფლებას აძლევენ, მაგალითად, პასუხისგებაში მისცენ პასტორი, თუ ის ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ იქადაგებს. მას ეს ადამიანის უფლებების დარღვევად და სქესობრივ უმცირესობათა დისკრიმინაციად ჩაეთვლება. ეს კანონები და პოლიციის ჩარევა რელიგიის საქმეებში იმისთვის ხორციელდება, რომ შესაძლებლობა მიეცეთ დახურონ ეკლესიები, როგორც ეს ჩინეთში მოხდა.

**პუნქტი 17.** მასონებს ექნებათ საკუთარი სახალხო მედია-არხი, რომელიც ახალი მსოფლიო წესრიგის მებაირახტრე იქნება. ეს უკვე ხორციელდება. **მასონური ელიტა აკონტროლებს ჩინეთისა და რუსეთის ყველა მედია არხს, ასევე აშშ-ს პრეზიდენტსა და კონგრესს**.

აშშ-ს კონგრესი ცდილობს მოიპოვოს კონტროლი ინტერნეტზე (Cyber Security Act) და დააწესოს გადასახადი ნახშიროჟანგზე, რომელსაც ავტომობილების მფლობელებს

**პუნქტი 10.** ჩინეთის მფლობელობაშია ავსტრალიის მაღაროების ნახევარი. ის აწარმოებს წიაღისეულის მოპოვებას აფრიკაში, ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და კანადაში. ჩინეთი ფლობს მინერალების მსოფლიო მარაგის 90%. ის მონოპოლისტია.

**პუნქტი 11.** ჩინეთი ყიდულობს და ყიდის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ვალუტას.

**პუნქტი 12.** რუსეთი არის ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდესი მწარმოებელი. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ ჩინეთსა და რუსეთს. აშშ ვერასოდეს მოიგებს ომს მათ წინააღმდეგ. დღეს ამერიკამ მთელი წარმოება ჩინეთში გადაიტანა, სადაც აწარმოებენ ყველაფერს, რაც აშშ-ს სჭირდება.

**პუნქტი 13.** ახალი მსოფლიო წესრიგის მომხრეებს, ელიტას და გლობალისტებს სურთ კრიზისის გაღვივება ახლო აღმოსავლეთში. ამერიკა და ევროპა ირანში ჰყიდდნენ კომპიუტერებს, რომლებიც შეიცავენ ვირუსებს და კომპიუტერულ "ჭიებს". ეს წინასწარგანზრახული დარტყმა იყო ირანის წინააღმდეგ. სამხედროები მზადყოფნაში არიან. ომი ირანთან, შესაძლოა, ძალიან მალე დაიწყოს.

**პუნქტი 14.** პროექტი „ეშმაკის მისია". „ახალი მსოფლიო წესრიგის სრულ ძალაუფლებაში შესასვლელად საჭიროა ღმრთის უარყოფა". **სატანის მისია ნიშნავს გარყვნილებას, ყოველივე ბუნების საწინააღმდეგო ქმედებას, მათ სჭირდებათ ჰომოსექსუალიზმი, აბორტები, ევთანაზია, პორნოგრაფია, გარყვნილი და თითქმის გაშიშვლებული ჩაცმულობა, ოკულტიზმი და მაგია**. ეს ყველაფერი კაცობრიობას დააწვენენ. ამერიკელი გადამხდელებისგან იღებენ 3 ტრილიონამდე დოლარს, რომელსაც დიდ ბანკებს აძლევენ. მაშინ დიდი ბანკები შეისყიდიან მცირე ბანკებს, რითაც დაამყარებენ კონტროლსა და მონოპოლიას."

ეს იყო აღსარება ადამიანისა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მასონურ წრეებს ეკუთვნოდა. ამ უღმერთოებს სურთ აბსოლუტური ძალაუფლება, მთელი მსოფლიოს გაკონტროლება. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ ისინი გზას უმზადებენ სატანას ადამიანის მეშვეობით, რომელსაც ექნება უსაზღვრო ძალაუფლება მთელ მსოფლიოზე; და ამ სუპერ-დიქტატორის სახელწოდება არის - მხეცი, ანუ ანტიქრისტე. ცრუ წინასწარმეტყველი (ანუ ანტიქრისტეს ჰებელსი). ილუმინატებსა და მხეცს (ანტიქრისტეს) სურთ, დედამიწის თითოეულმა ადამიანმა თაყვანი სცეს კაცობრიობის უკანასკნელ ფიურერს.

როგორც სხვადასხვა წყაროები იუწყებიან, როდესაც ილუმინატები თავიანთ კლანჭებში მოაქცევენ მთელ მსოფლიოს და ტოტალურ კონტროლს დაამყარებენ, შემოიყვანენ ანტიქრისტეს, რომლის ბატონობა მხოლოდ 7 წელიწადს გაგრძელდება, დანიელის წინასწარმეტყველების მიხედვით, თავისი ტირანიის ბოლო 3 წელიწადნახევარს ის გააფთრებული დაერევა კაცობრიობას, განსაკუთრებით მის ქრისტიანულ ნაწილს, ქრისტეს ეკლესიას. ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, შემთხვევითი არაფერია და ნურც იმას იფიქრებთ, ყველაფერი ჩვენი, ქართული ხასიათის და დაუდევრობის ბრალიაო. როგორც ვხედავთ, მოვლენები გეგმის მიხედვით ვითარდება, სავარაუდოდ, მომავალ აპოკალიფსამდე...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# კახა კუკავა: როგორც კი დასრულდება სააკაშვილის თემა, მაშინ დასრულდება ბიძინა ივანიშვილის მისიაც...

*პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარეს კახა კუკავას თავის ოფისში შევხვდი. მკითხველისთვის საინტერესო იქნება კახა კუკავას შეხედულებები და მისეული მიდგომა საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხებისადმი. თუმცა არ გთავაზობთ ტრადიციულ ინტერვიუს... ჩემი დიქტოფონიც ჩაირთო და რესპონდენტმაც დაიწყო საუბარი.*

### არშემდგარი კოაბიტაცია

ჩვენი პოლიტიკური პარტია განსხვავებული იდეოლოგიისაა, ეს არ დაგვიმალავს არც არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდგომ. „ქართული ოცნება“ წარმოადგენს ლიბერალური პოლიტიკის გამტარებელ ძალას, ჩვენ წარმოვადგენთ ტრადიციულ ფასეულობებზე დაფუძნებულს... აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ ეს წინააღმდეგობა წარმოიშვა. რაც შეეხება რბილ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, ესეც აბსოლუტურად ახსნადია, რადგან არსებობდა სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის აუცილებლობა. შეუძლებელი იყო თანაბარი ძალით ორ ფრონტზე ბრძოლა, რადგან ყველას ერთიანად უნდა გაგვეხსნა საცეცხლე წერტილები „ნაციონალების“ წინააღმდეგ. 2012 წლის არჩევნების შემდგომ „ნაციონალური მოძრაობის“ საფრთხე უკვე დალაგებული იყო. ხალხმა გამოხატა გულწრფელი დამოკიდებულება „ოცნების“ მიმართ. მე ვფიქრობ, რომ მომავალ წელს დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნები კიდევ უფრო რეალურ სურათს აჩვენებს, ლიბერალური ელექტორატი მთელი საქართველოს მასშტაბით 10-15 % იქნება. უბრალოდ, მოხდა ის, რომ ლიბერალური მოძრაობის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი გახდა, რეალურად, სააკაშვილის წინააღმდეგ ფრონტის ლიდერი. მან მიიღო 56 %, როგორც ანტისააკაშვილმა. როგორც კი დასრულდება სააკაშვილის თემა, მაშინ დასრულდება ბიძინა ივანიშვილის დროც.

### მართლმსაჯულება

მე ვფიქრობ, რომ ამ ქვეყანაში უნდა მოხდეს მართლმსაჯულების განხორციელება თანასწორობის პრინციპის დაცვით. თუ ვასამართლებთ, მაგალითად, მიტინგის დამრბევებს, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გამტაცებლებს, ან პოლიტიკური ოპონენტების მწამებლებს, უნდა იქნეს ნებისმიერი ასეთი დანაშაული გამოძიებული. როგორც კი გავასამართლებთ, მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა, ეს იქნება პოლიტიკური დევნა. ზოგს ჰგონია, რომ მხოლოდ უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებაა პოლიტიკური დევნა, შერჩევითი მართლმსაჯულების პოლიტიკური დევნის სახეა. ეს პირდაპირ არის მითითებული ევროსაბჭოს კრიტერიუმებში. თუ ერთი და იგივე დანაშაულისთვის გავასამართლებთ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, რომლებიც მართლა დამნაშავეები არიან, მაგრამ არ გავასამართლებთ სხვა პარტიის წარმომადგენლებს იგივეს ჩადენის შემთხვევაში, ეს უკვე პოლიტიკური დევნა იქნება „ნაციონალების“ წინააღმდეგ.

### ახალი ხელისუფლების შეცდომები

ძალიან ვრცელი თემაა, ამიტომ გამოვყოფ მთავარ შეცდომას ახალი ხელისუფლებისა. ისინი ვერ ახერხებენ დიალოგს საზოგადოებასთან. არის სურვილები და მაქვს ურთიერთობა ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთან, მაგრამ ეს უფრო ჩვენი პირადი მეგობრობაა, ვიდრე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო საქართველოში ყველა ხელისუფლების მთავარი შეცდომა. და სამწუხაროა, რომ ამ შეცდომებს მომდევნო ხელისუფლებაც ვერ სწავლობს. მნიშვნელობა არა აქვს ხელისუფლებას მაღალი რეიტინგი აქვს თუ დაბალი, ის მუდმივად უნდა იყოს ურთიერთობაში საზოგადოებასთან. რაც არ არის კრიმინალი, არავის აქვს უფლება, თქვას! მე იმასთან მექნება ურთიერთობა და ამასთან — არა. თუ ვიღაც გადაწყვეტს, რომ მას არ მოსწონდეს, მაგალითად, ირაკლი შონია, მაშინ ის უნდა იყოს კერძო ბიზნესში და დაკავებული უნდა იყოს კერძო ცხოვრებით. უნდა გააცნობიერონ, რომ ისინი არიან საქართველოს ხელისუფალნი და არა პოლიტიკური პარტიის ხელისუფლება. თავად მიხეილ სააკაშვილი ვერ გახდა საქართველოს პრეზიდენტი, ის დარჩა „ნაციონალების“ ლიდერად. დღესაც მე ვხედავ, რომ ბიძინა ივანიშვილის გარშემოც იკვრება ასეთი რკალი. მე, მაგალითად, ვერაფრით მოვახერხე ბიძინა ივანიშვილთან კომუნიკაცია, ვიცი, რომ ბევრი პარტია არის იგივე მდგომარეობაში. თუ ასე გაგრძელდა, დღეს თუ ხვალ ივანიშვილიც დაკარგავს ლეგიტიმაციას.

### ნატო

იმდენად ნატოზე არ არის პრობლემა, რამდენიც არის ჩვენს ხალხში, რადგან ძალიან ვიცით გამოდევნება უცხო ხალხზე, ჩვენ, როგორც არ გვაინტერესებს ინდოეთის კოსმოსის პროგრამა, ისე არ უნდა გვაინტერესებდეს ნატოში ინტეგრაციის საკითხი. უბრალოდ, გამოვედევნებით და გამოვიჩენთ „პაკაზუხობას“. არანაირი რეალური ინტერესები ჩვენ ნატოსთან არ უნდა გაგვაჩნდეს.

### სახელმწიფო სტრუქტურები

ყველაზე ეფექტურად მუშაობს თავდაცვის სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო. ასევე ეფექტურად მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მიუხედავად იმისა და ხშირად აკრიტიკებენ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რა რთული სამინისტროა. ირაკლი ღარიბაშვილი წარმატებულად უძღვება მუშაობას. რაც შეეხება ჩავარდნილ სამინისტროებს, ასეთი რიცხვი უფრო მეტია. მაგალითისთვის იუსტიციის სამინისტრო (ამაში პროკურატურასაც ვგულისხმობ). ასევე კულტურის და განათლების სამინისტროები.

### ფარული ჩანაწერები

რაც სახელმწიფო არსებობს მსოფლიოში და პლანეტაზე, მას შემდეგ არსებობს თვალთვალი. სრული კრეტინი უნდა იყოს ადამიანი, თქვას, რომ იარსებებს ისეთი სახელმწიფო, სადაც თვალთვალი არ იქნება. ეს აუცილებელიცაა. მაგრამ არის მეორე საკითხი, პირადი, კერძო ცხოვრება და ეთიკის ნორმები, რომელიც ასევე სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული. სახელმწიფოს თუ უნდა, რომ პრეტენზია ჰქონდეს პროგრესზე და განვითარებაზე, დაცული უნდა იყოს ზომიერება. სიცოცხლის უფლება კანონმდებლობით დაცულია, ასევე ომზე და ქვეყნის უსაფრთხოებაზე. მაგალითად, ომის დროს ქვეყნის დაცვისთვის შეიძლება მოწინააღმდეგეს ესროლო, მაგრამ ჟენევის კონვენციით არ შეიძლება ესროლო ისეთი ტყვია, რომელიც ადამიანს აწამებს ან გამოიყენო ქიმიური იარაღი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი დაბალანსებულია საერთაშორისო სამართლით. ასე უნდა იყოს თვალთვალზეც. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს თვალთვალი, მაგ.: ანტიტერორისტული ან მძიმე დანაშაულის ასაცილებლად. ის, რაც ხდება ტელევიზიებში, ეს ანომალიაა. ამერიკაში, მაგალითად, რა უფლებებიც აქვს „ნიუ-იორკ თაიმსს“ ის უფლება არ აქვს სადაზვერვო სამსახურს. ოქტომბრის არჩევნებამდე იგივე „ციხის კადრები“ მედიამ გაახმოვანა, დღეს კი ამას სახელმწიფო აკეთებს, რაც მიუღებელია.



### გიგანტური ჰესები

წინააღმდეგი ვარ ასეთი ტიპის მშენებლობების. მსგავსი პროექტები ექსპერტების დასკვნის დონეზე უნდა ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ინვესტიციები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ წინა ხელისუფლებასაც და დღევანდელსაც წინ აქვს წამოწეული ფინანსები, კარგია, როცა უცხოელი ინვესტორი ასობით მილიონს დებს ამ პროექტში, მაგრამ უფრო წინა პლანზე წამოწეული უნდა იყოს ქვეყნის უსაფრთხოების ზომები. თუ ამის საფასურად უნდა განადგურდეს რაიონები და სოფლები, უთვალავ მილიარდადაც არ ღირს. რომ აღარ გვქონდეს აღარც სვანეთი და აღარც ყაზბეგი. ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყანას შეიძლება გაცილებით მეტი დაუჯდეს. მაგალითისთვის ავიღოთ ჩინეთი, პეკინში გახსნილი იყო უამრავი ქარხანა, ვინც პეკინში ნამყოფია, იცის, რომ ქალაქში მუდმივად არის ნისლი, სამრეწველო მტვერი და რაც ჩინეთმა მოგება ნახა, იმდენი ზარალი ნახა ქარხნების ქალაქგარეთ გადატანისას. ეს პრობლემა ჯერაც არ არის დასრულებული.

### ჩინოვნიკების დაპატიმრებები

ეს არის კოაბიტაციის ერთ-ერთი ფორმა. საზოგადოებას ამყოფებენ სანახაობით, ამ დროს საზოგადოებას ნაკლებად აქვს წარმოდგენა, სინამდვილეში როგორ იმართება ყოველივე ეს. ყველაფერს მართავს მაფია, ეს კლანების დაპირისპირებაა. მაგრამ ეს არ არის მაფიის წინაღმდეგ ბრძოლა. 1992 წელს მოვიდა მაფიური სისტემა, რომელიც იმართება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

### უმუშევრობა

უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთი პირობაა, რაზეც უკვე ვისაუბრე, დიალოგი ხელისუფლებისა და ოპოზიციას შორის. მხოლოდ დიალოგის გზით მიიღწევა პოლიტიკური სტაბილურობა. ამით არის შესაძლებელი ახალი ინვესტიციების მოზიდვა და სამუშაო პირობების შექმნა. ის, რაც დღეს ხდება — ორხელისუფლებიანობა, ასევე ივანიშვილის განცხადება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აპირებს გადადგომას, ეს იწვევს უმუშევრობის ზრდას. უცხო ინვესტორს უნდა ჰქონდეს პირობა, რომ მისი საწარმო ათი-თხუთმეტი წელი იფუნქციონირებს და მომავალ წელს ხუხაშვილისნაირები არ დახურავენ. ინვესტორს სჭირდება გრძელვადიანი სტაბილურობა. მეორე პირობაა არაკორუმპირებული გარემო. ინვესტორს თუ აქვს არჩევანი, სად ჩადოს ფული, მაგალითად, ავსტრიაში თუ ჩინეთში. ირჩევს ავსტრიას, რადგან იქ მეტი დემოკრატიაა, სტაბილურობა და კანონით დაცულია ყველაფერი. აქაც ასე უნდა იყოს. საქართველო უნდა ვაქციოთ „ოფშორებად“. ინვესტორს უნდა შევთავაზოთ ნაკლები გადასახადები და მეტი მოგება, ასე მოვიზიდავთ ფინანსებს.

### შევარდნაძის რეჟიმი

ეს იყო უმძიმესი მოვლენა. როდესაც დღეს ვრცელდება კადრები, თუ სააკაშვილის რეჟიმი როგორ აწამებდა თავის ოპონენტებს. ბიძინა ივანიშვილი არ აღიარებს ჯერჯეროობით, რომ უფრო მძიმე ფაშიზმს ადგილი ჰქონდა ზვიად გამსახურდიას მომხრეების მიმართ. თუ ამ მოვლენებს არ ექნება გამოძიება, ძალიან გაჭირდება, რომ ქვეყანას ეწოდოს დემოკრატიული და პროგრესული. ამ მოვლენამ ისეთი ტოტალური ხასიათი მიიღო სამეგრელოში, რომ აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპნი. დღეს, როდესაც საზოგადოება შეძრწუნებულია, თუ როგორ აუპატიურებდნენ მამაკაცებს ბილიარდის ჯოხებით, წალენჯიხაში მხედრიონელებმა მამაკაცს სკალპი ახადეს, ხობში ვახტანგ ნოდიას მკლავი მოაჭრეს მხოლოდ იმისთვის, რომ ზვიადის სურათი დახატა, გოჩა ჯიქია დედის თვალწინ დახვრიტეს ზუგდიდში, ეს მასობრივი ხასიათის დახვრეტები და წამებები იყო. რატომ აქვს თემიდას თვალები ახვეული, იმიტომ, რომ მართლმსაჯულება სააკაშვილის მიმართ უნდა იყოს მკაცრი და შევარდნაძის მიმართ ლმობიერი, ეს მართლმსაჯულება აღარ არის. ეს არის უკვე კრიმინალური „რაზბორკა“. თუკი ვინმე ღიად საუბრობს ზვიადის მიმართ სიმპათიაზე, ეს არის „თავისუფალი საქართველო“, მაგრამ თუკი იქნება ზვიადისტური ფლანგის საერთო ძალისხმევა, მაშინ ჩვენ ვიღებთ საკუთარ თავზე, რომ მაშინდელი საქმეები სრული მასშტაბით იქნას გამოძიებული. რაც შეეხება ე.წ. მიშას „ზვიადისტებს“, მაგ.: ნუგზარ წიკლაურს, ერთი ხმა არ ამოუღია, როცა ზვიადის სახელობის სანაპიროს ალიევის სახელი დაარქვეს. მე არ ვთვლი მას „ზვიადისტად“.

### საპრეზიდენტო არჩევნები

ჯერჯერობით პაატა ბურჭულაძეს თავისი კანდიდატურა არ წამოუყენებია და არც ბურჭულაძის საარჩევნო შტაბი არის ფორმირებული. თქვენს გაზეთში დავაფიქსირებ პოზიციას, რომ მის მიმართ მაქვს სიმპათია, თუმცა მას პირადად არ ვიცნობ. ვერც იმას ვიტყვი, რომ მისი საოპერო ბანით ვარ მოხიბლული... მე პაატა ბურჭულაძეს პატივს ვცემ, როგორც ეროვნულ ადამიანს, რომელიც არ არის შებოჭილი სხვადასხვა ცრუ ლიბერალური ფასეულობებით. ეს არის ადამიანი, რომელიც ასოცირდება ეროვნულთან და ეკლესიასთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ასეთი პრეზიდენტი სჭირდება. და არა მარგველაშვილის ან ბაქრაძის დარი, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან, როგორ გაახმოვანონ გარყვნილი იდეები.

### მომავალზე

ჩვენ ძალიან რთული გზა გველის წინ — პრობლემა, ამ მხრივ, არის მძიმე, რომ ქვეყანას მართავს მარიონეტული რეჟიმი, რომელსაც ქვეყნის გარედან ნიშნავენ. 1992 წელს დანიშნეს შევარდნაძე, როცა გაუვიდა ვადა 2003 წელს დანიშნეს სააკაშვილი, ხოლო 2012 წელს მოხდა იგივე და მოიყვანეს ივანიშვილი. ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ მოხსნან ივანიშვილი და ვიღაც სხვა დანიშნონ, ჩვენი ამოცანაა, ქვეყანას დაუბრუნდეს არჩევის უფლება. მარგველაშვილიც ამ მიზნით არის შერჩეული.

### საკუთარ თავზე

ვნატრობ იმ დროს, როდესაც პოლიტიკას კი მივადევნებ თვალს, მაგრამ, როგორც რიგითი მოქალაქე — აღარ ვიქნები პარტიის თავმჯდომარე ან საკრებულოს წევრი. მინდა მოღვაწეობა გავაგრძელო იურისპრუდენციაში, თანაც უკვე გამაჩნია საადვოკატო პრაქტიკა.

ჩემი ცხოვრების იდეალები არიან ილია ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდია. მათი იდეებით მივდივარ მომავლისკენ.

**ესაუბრა ირაკლი შონია**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# რას მიიღებენ ევროკავშირში გაწევრიანების მსურველები ლიტვის თავმჯდომარეობისას?

**ბალტიისპირეთის ეს რესპუბლიკა პირველად უხელმძღვანელებს ევროკავშირს – ლიტვა ამ ევროპული ორგანიზაციის თავმჯდომარე 2013 წლის ბოლომდე იქნება. ამ პერიოდში, ექსპერტები რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის დათბობას არ ელიან.**

ლიტვა ექვსი თვის განმავლობაში შეასრულებს ხელმძღვანელის როლს ევროკავშირში, სადაც 28 ქვეყანაა გაერთიანებული, ხოლო პრემიერ-მინისტრი ალგირდას ბუტკიავიჩუსი კი მისი თავმჯდომარე იქნება. ლიტვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, ევროკავშირს დაუახლოვოს აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნები, რომელთა შორისაც არიან: უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ბელორუსი, აზერბაიჯანი და სომხეთი. საეჭვოა, ვილნიუსმა მოახერხოს და ხელი შეუწყოს ევროკავშირისა და რუსეთის თანამშრომლობას.

ევროკავშირის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი, წესისამებრ, შეზღუდულია, რადგან არსებობს ამ კავშირის ფორმალური მეთაური – ჰერმან ვან რომპეი. რეალური ძალაუფლება კი სწორედ ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ხელშია; ამიტომაც კონკრეტულ პერიოდში თავმჯდომარეობისას არც ისე დიდია ვითარების გაკონტროლების შესაძლებლობა. რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობის მოწესრიგება არ არის დამოკიდებული ლიტვაზე, რადგან იგი არ წარმოადგენს დიდ და გავლენიან სახელმწიფოს, მეტისმეტად იქნება დამოკიდებული ისეთ ევროპულ „დერჟავებზე“, როგორებიც არიან გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. მათ, მოგეხსენებათ, სულ სხვა დღის წესრიგი აქვთ.

რუსი ექსპერტები სკეპტიკურად უყურებენ რუსეთ-ევროკავშირს შორის ურთიერთობის რამე გაუმჯობესებას; პირიქით, მიაჩნიათ, რომ ლიტვა ანტირუსულ პოზიციას დაიკავებს:

„ლიტვა აპირებს, თავისი თავმჯდომარეობა გამოიყენოს იმისთვის, რომ რუსეთს საკუთარი პრეტენზიები წაუყენოს. როგორც ცნობილია, წლეულს ლიტვა აღნიშნავს 150 წლისთავს პოლონური აჯანყებისა, რომელიც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მოეწყო. ევროკავშირში თავმჯდომარეობისას ლიტვა ამ აჯანყების იდეის პროპაგანდას გვპირდება, მით უმეტეს, რომ ამ ეტაპზე თავი გაზთან დაკავშირებულმა პრობლემებმაც იჩინა. ლიტვასა და რუსეთს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები გააჩნიათ ბევრ საკითხში, მათ შორის საქართველოს მიმართაც. ამიტომაც ამ ექვსთვიან პერიოდში ევროკავშირსა და რუსეთს შორის ძველებური დაძაბულობა შენარჩუნდება.



ლიტვა პირველი ბალტიისპირული სახელმწიფოა, რომელიც ევროკავშირს სათავეში ჩაუდგა. ქვეყანა-თავმჯდომარის თანამდებობა მას ირლანდიამ გადაულოცა, ხოლო ლიტვა, თავის მხრივ, ესტაფეტას უკვე საბერძნეთს გადასცემს. ასეთი როტაციის პრინციპი 2007 წლიდან მას შემდეგ შემოიღეს, რაც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების რიცხვი 25-მდე გაფართოვდა.

ზედიზედ სამი თავმჯდომარე-ქვეყნის მონაწილეობით დგინდება დღის წესრიგი; ასე რომ, სახელმწიფო, რომელსაც თავმჯდომარეობა დაევალა, წინამორბედის საქმიანობას აგრძელებს. ამიტომაც ლიტვას მოუწევს, საბოლოოდ გადაწყვიტოს საკითხები ევროკავშირის ბიუჯეტის, აგრეთვე იმ კომპრომისის შესახებ, რომელსაც ირლანდიამ ევროპარლამენტში მიაღწია. იყო დაპირება, რომ ევროკავშირის პროექტების დასაფინანსებლად, შვიდწლიანი პერიოდისთვის, ტრილიონი ევრო გამოიყოფოდა. ლიტვამ წლის დასასრულამდე უნდა მიიღოს 70 საკანონმდებლო აქტი, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების დაფინანსებას აწესრიგებს.

როგორც ცნობილია, ხორვატია ევროკავშირის 28-ე წევრი გახდა. იგი ამ გადაწყვეტილებას ზუსტად ათი წელი ელოდა.

საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს მოუწევს ლოდინი, მაგალითად, თუნდაც საქართველოს, რომ არაფერი ვთქვათ უკრაინაზე?

# წინანდალი, ტვიში, ქინძმარაული, ახაშენი, მუკუზანი და ხვანჭკარა დარეგისტრირდება, როგორც ღვინის „წარმოშობის ადგილი“

**ქართული პროდუქციის გაყალბებისგან დასაცავად, რუსეთში დარეგისტრირდება ღვინის წარმოშობის ექვსი ადგილი. ლაპარაკია იმ ადგილებზე, რომლებმაც ღვინის ცნობილ ბრენდებს სახელები მიანიჭეს. რუსეთის კანონების შესაბამისად, დარეგისტრირებულ კომპანიებს, რომლებიც შესაბამის რეგიონში არ მუშაობენ, ამ სახელწოდებების გამოყენების უფლება არ ექნებათ. ამიერიდან, არაკეთილსინდისიერ მწარმოებლებს აღარ შეეძლებათ, მაგალითად – მოსკოვის გარეუბანში, „ქართული ღვინო“ ჩამოასხან.**



ჯერჯერობით დარეგისტრირდება ექვსი დასახელება – საქართველოს, ასე ვთქვათ, მთავარი ღვინის სახეობები. სულ საქართველოში, ადგილმდებარეობის შესაბამისი სახელის თვრამეტი ღვინოა, მათ შორის, კახეთში – თოთხმეტი, დანარჩენი – დანარჩენ საქართველოში. წარმოშობის ადგილი უკვე დარეგისტრირებულია ევროკავშირში, ყაზახეთსა და უკრაინაში. ახლა იგივე კეთდება რუსეთშიც – გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვის შესახებ მთავრობათაშორისი შეთანხმების დოკუმენტები უკვე გაიგზავნა მოსკოვში.

რუსეთის პატენტის სააგენტოში საქართველო, უწინარეს ყოვლისა, წარადგენს „წინანდალს“, ტვიშს“, „ქინძმარაულს“, „ახაშენს“, მუკუზანსა“ და „ხვანჭკარას“.

ადგილები, სადაც ღვინო „ხანჭკარა“ მოჰყავთ, მეტისმეტად მცირეა, – აღნიშნავს რუსეთის სომელიეთა გილდიის თავმჯდომარე ტატიანა შარაპოვა: „ხვანჭკარა“ უკვე საქართველოში თითქმის აღარ არის, „ქინძმარაული“ უფრო მეტია. ალექსანდროული და მუჯურეთული ყურძნის ის ენდემური ჯიშებია, რისგანაც „ხვანჭკარა“ მზადდება. უკრაინაში შეტანილი „ხვანჭკარის“ ოდენობა ათჯერ მაინც აღემატება ამ ტიპის ღვინის იმ მოცულობას, რასაც საქართველოში აყენებენ. არაფერს ვამბობთ სხვა ქვეყნებისთვის მიწოდებაზე.

მისივე თქმით, მსოფლიოში არსებობს მაგალითები, როცა პატარა ვენახების სახელწოდება სავსებით კანონიერად მის ფარგლებს გარეთაც გამოიყენება. მაგალითად, „მადონას რძე“ – ეს არის 2 ჰა სიდიდის ვენახი, მაგრამ გერმანიიდან საექსპორტოდ მილიონი ბოთლი გააქვთ, რასაც არანაირი შეხება არა აქვს ამ ვენახთან და ამას კანონი არ კრძალავს.

ქართველებს შეუძლიათ, მიჰბაძონ გერმანელებს, მაგრამ მსგავს საქციელს ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, – აღნიშნავს ამ საქმის ექსპერტი. როგორ უნდა შევამოწმოთ, ყალბია თუ არა „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“? მარტივად: ერთი და იმავე მწარმოებლის ორივე ღვინო დააგემოვნეთ. თუ ერთმანეთისგან არ განსხვავდება, ესე იგი, სასმელი არ ვარგა.

საქართველომ 2012 წელს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ასაკის 860 ათასამდე ბოთლი „ხვანჭკარა“ გაგზავნა. ალექსანდროულის და მუჯურეთულის მოსავალი, რომლისგანაც მზადდება „ხვანჭკარა“, 60-დან 1000-ტონამდეა. ეს სწორედ ის რაოდენობაა, რაც ექსპორტირებული ღვინის დასაყენებლად საკმარისია.

ასეთი რეგისტრაციის შემდეგ, რუსეთში ამ სახელწოდებების გამოყენების მსურველებმა უნდა დაამტკიცონ, რომ თავიანთ ღვინოს სწორედ დასახელებულ რეგიონებში აწარმოებენ და იგი დადგენილ ხარისხს შეესაბამება. ამასთან, ხელთ უნდა ჰქონდეთ რუსეთის საპატენტო უწყების მოწმობაც. ასეთ დოკუმენტს დიდი სიფრთხილით გასცემენ და შესაბამისად, ღვინის ფალსიფიკაციის დონეც შემცირდება.

ქართულ ღვინის ბრენდებს რუსულ ბაზარზე არცთუ ურიგო პერსპექტივა გაუჩნდა. ქართული ღვინის მიმართ ნოსტალგია აქვთ ორმოც წელზე უფროსი ასაკის ადამიანებს, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართული ღვინის დაბრუნებისთვის ახალგაზრდა თაობაც საკმაოდ მომზადებულია.

**ეს განცხადება დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა ყაზახეთში, ნაზარბაევის უნივერსიტეტში სტუდენტებთან გამოსვლისას გააკეთა, წერს The Guardian.**

„დიდი ბრიტანეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ევროკავშირის გაფართოებას. ჩვენი აზრით, ეს ევროპული კავშირი უნდა იყოს დიდი სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ატლანტიდან ურალამდე. ჩვენ ყოველთვის ხელს ვუწყობდით ქვეყნებს, რომლებსაც ამ კავშირში გაერთიანება სურთ“, – განაცხადა კემერონმა.

მას არც ერთი ქვეყანა არ დაუსახელებია, მისი რეპლიკებით თუ ვიმსჯელებთ, კემერონს სჯერა, რომ საბჭოთა კავშირის „ბელღელი“ – უკრაინა ევროკავშირის წევრი გახდება. მისი თქმით, ევროკავშირი უნდა გახდეს უფრო მეტად მოქნილი და აუცილებელია, შეიცვალოს ერთიანი ვალუტა.

# ევროკავშირი ატლანტის ოკეანიდან ურალამდე უნდა გაფართოვდეს



„უნდა შევეცადოთ, ევროკავშირმა მიიზიდოს ისეთი ქვეყნები, რომლებსაც სურთ სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ ერთიანი ვალუტა კი არ უნდათ“, – აღნიშნა ბრიტანელმა პრემიერმა. „უნდა გადაისინჯოს ევროკავშირის წესები 2017 წლამდე. თუ მე კიდევ ერთხელ ამირჩევენ, 2017 წლის ბოლომდე ჩავატარებ რეფერენდუმს და ბრიტანელებს მივცემ არჩევანს – დარჩნენ ამ ორგანიზაციაში, რომელიც იმ დროისთვის სახეცვლილი იქნება თუ დატოვონ იგი“.

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

# ჯემალ ყვირინჩხილაძე

## როგორ?

— გარეთა ხარ?! არ ვუჯერებ თვალებს!
— მართალს ცეცხლი რას დააკლებს მეხთა!
— მართალიც ხარ! მტყუანიც ხარ! როგორ?
ერთ კაცში ხართ ორივენი ერთად?!

ასე მალე როგორ დაგვიბრუნდი?
ფათერაკი ხომ არ შეგხვდა გზაში?!
დამნაშავე თუ არა ხარ, ძმაო,
საზღვარსშიგნით დაეტიე მაშინ!

სუყველანი მართლები ხართ ისე,
როგორც მგელი მართალია კრავთან!
აბა, ვიღამ დააშავა, ნეტავ?
ამ ქვეყანას, ალბათ ვირთხა ხრავდა...

კაცი გვიცქერს, ჰგავს უცოდველ ბატკანს,
თურმე რწყილზე არ დაუდგამს ფეხი!
რა აცოცხლებს, ღმერთო, ასეთ ჩათლახს?!
თავზე რატომ არ ეცემა მეხი!..

რწყილზე არა! გულზე შედგა ფეხით,
სინდისს დაჰკრა კიდევ ერთხელ სახრე!..
სამართალმა თუ არ ჭამა პური
ცუდადაა მაშინ ქვეყნის საქმე!..

**25.03.2013**

## წავიდნენ ახლოს

... ვამბობდი რიხით: რაღა მიჭირს ბედნიერს, აწი,
სხვადასხვა ჯიშის სტუმრადა მყავს ათასი კაცი...
ყველა კარგები, ლამაზები, ღიმილგახსნილნი,
ბევრი მოხუცი, გონიერი, ზოგიც — ყმაწვილნი.

მსტუმრობდნენ დიდხანს მოხიბლულნი
გრემით, შატბერდით,
მათთან ვილხინე. მოვიცრემლე, მათთან დავბერდი...
ჩემი კასრიდან ჩემს მოხარშულს,
შემწვარს მაწვდიდნენ
და ერთ დღეს სახლში, როგორც სტუმარს
გამიმასპინძლდნენ:
კაცი თოფს მისწვდა, ქალმა თავზე წაიკრა შარფი...
სხვა რა გზა მქონდა, მასპინძელმა ავწიე წარბი...

... დამტოვა ყველამ, სტუმრებს ცოლმა გაუღო კარი,
წავიდნენ ახლოს, თან ჭაიღეს ნაყიდი გვარი...
კარგია, როცა უცხო ჯიშის ას წლით არ გსტუმრობს!
და უფრო კარგი — თუ სამშობლო
არ ჰგავს სასტუმროს!..

ბევრი რამ მახსოვს: კარგიც, ავიც, რამდენიც გინდა!
იყო მზის შუქიც, უფრო მეტად ყინავდა, წვიმდა!..
...ქარიც არა ჩანს, რომ დროულად გაჰფანტოს ნისლი...
სად მიიმღვრევა გვარშეცვლილთა ვერაგი სისხლი?!.

**1974 წლის თებერვალი**

## სტუმარი

მოაკითხა სიკვდილმა, არ უნდოდა წასვლა,
სიკვდილს გაუმასპინძლდა: შავი ღვინო ასვა
და სიდედრის ნაჩუქარ კაკლის ტახტზე დასვა,
არ მოაკლო სტუმრის გულს დითირამბის წასმა.

უთხრა: ჩემს წასაყვანად არ მოსულხარ დაცვით,
შენისთანა უბრალო არ მინახავს კაცი!
მამაცი ხარ, ლამაზი, ნამყოფი ხარ ჯარში,
იქეთ რა გვეჩქარება, ცოტაც ჩემთან დარჩი!

ხათრიანი სიკვდილი კაცთან დარჩა ერთ თვეს,
დაუმალეს მეზობლებს, შოუს შეახედეს.
ყველა შოუ ანახეს და აძახეს: ო! უ!
— ახლა, ჩემო კარგებო, ჩემიც ნახეთ შოუ:

კაცი წამოაქცია, გაუსწორა კუზი,
ცხვირზე სიმწრით დამჯდარი აუფრინა ბუზი,
დააწვინა ზალაში, შეუწყვიტა სუნთქვა,
არვინ იცის, წასულმა მშვიდობითო, თუ თქვა!

— ჰა, რას იტყვით, კარგია?! — კი, კარგია, მარა
მეტის ნახვა არ გვინდა, ერთი შოუც კმარა!..
— კარგით, მაშინ, მე წავალ. თქვენთან დავრჩი დიდხანს,
დიდი შოუ მანახეთ, როცა მოგაკითხავთ!..

— კი! კი! ოღონდ მიბრძანდით! წამოუდგნენ ფეხზე...
დავილუპეთ, ეს, მგონი, მოდის არჩევნებზე!..

**5.05.2012**

## დავუფიქრდეთ

თურქი, სპარსი, აფრიკელი,
ჩინელი და ინდოელი,
შესევია ქართულ მიწას,
ხარობს ჩვენი მინდორ-ველი!..

მიწა სისხლით ნაპოხარი
რჩებათ შორით მოსულ მგზავრებს,
მტერი ხანძარს გვიტოვებდა,
ამათ ლობე შემოგვავლეს...

თან იაფი მუშახელი!
გული თუ გაქვს, გეტკინება...
ესლა გვაკლდა: ჩვენს მიწაზე
შავ დღეს გვაყრის თეთრკბილება!..

ჩემს ეზოში წვიმა მოდის,
შენს ეზომდეც მოაწია!..
კაცი კაცს ცემს, ლობე ზარს ცემს...
გარბის კოჰაბიტაცია...

არიგებენ მიწებს ისე,
ხალხს არავინ ეკითხება,
ამის გამო უცხოელი
კბილს აჩენს და გვევირთხება.

ჩინელმა და ინდოელმა
თუ ჩვენს მიწებს სტაცეს ხელი,
რომ მოვკვდებით, არ გვექნება
მიწა გულზე დასაყრელი!..

**3.04.2013**

## ნეტავ, სადამდე

... ნეტავ, არ ვიყო სულაც ცოცხალი,
ჩემს გულს დაგდებულს მიწაზე ვხედავ!
გაუშვერია ხელები დედას
პატარა ბავშვის ხელებთან ერთად.

და მოწყენილი პატარა ბიჭი
ქუჩის იმედად იცხოვრებს აწი...
ეს მიზანსცენაც რომ იყოს, ალბათ,
შეიძვრებოდა მაშინაც კაცი.

ნეტავ, სანამდე იცოცხლებ, გულო?!
ნეტავ, ამ დღეში სანამდე გაძლებ?!
ისე გთხოვს თვალით რაღაცას ბავშვი,
თითქოს არა გთხოვს და იქით გაძლევს...

ჩემი სიცოცხლე ქუჩებში რჩება
ულუკმაპურო მშიერ პატარებს,
შემომეძარცვა ფერი და ხორცი
და გზებზე ცოდვილს ჩონჩხი მატარებს!..

აღარ ხარ შუქი, ღამეში მიჰქრი!
ახლა ხარ გვიმრა! ახლა ხარ ფითრი!
დავისობ მკერდზე ფიქრების ნიჩბებს,
საკუთარ გულში სამარეს ვითხრი!..

**1995 წლის მაისი**

## თხოვნა საქართველოს

ისევ ვფიქრობ დღე და ღამე,
მეშინია შენიშიშის,
შენთანა ვარ, როგორცა ვარ,
სანამ სული მიდგას პირში...

გიერთგულებ, არ გაგყიდი,
მიტაცებულს ყველგან გეძებ,
მართალ გულით მეყვარები,
გეფარები, სანამ შევძლებ...

მსურს, ბოლომდე გავიხარჯო,
ვიცოცხლო და შენთვის მოვკვდე.
ნაბიჯს ვზვერავ ჩემს მიწაზე,
უცხოს სახლში რომ არ მოხვდე...

... ყველა მსურველს ვერ ეყოფი,
ვენაცვალე მე შენს გამჩენს!
მუხლმოდრეკით გევედრები:
ცოტა ჩვენთვისაც რომ დარჩე...

**24.04.2012**

## ერთს

ერთს შეუძლია გადაწვას რომი!
ერთს შეუძლია მოიგოს ომი!
ერთს შეუძლია დაწეროს ტომი
და... გულებს ცაში უხმოს!

არ შეუძლია საქმის კეთება
ქვეყანას უძლურს, უყმოს!
არ შეუძლია სიმღერა უხმოს,
მბარავს, რომელიც მუხას ძირს უხმობს,
არც ძუნწის ლუკმას, მწარედ რომ ლუკმობს...

არ შეუძლია საქმის კეთება,
არც საღი აზრის წამოქედება,
არც ავადმყოფის წამოკეთება
არ შეუძლია, არა!

ერთს შეუძლია ასი აანთოს
და მილიონი რწმენით გაათბოს,
გულში ნადები ისე გაანდოს,
ბრძოლაში გაჰყვეს ხალხი.

ერთს შეუძლია, რომ გაიმარჯვოს,
თეთრით შეცვალოს თალხი...

... რა შეუძლია იმ ერთს კაცისთვის,
ვისაც ორი დღე დარჩა?
რთული კითხვაა ღარიბ ქვეყნისთვის,
უცებ პასუხი არ ჩანს...

იზრდება ჩვენი წნევაც, პენსიაც,
რწმენა არ ტოვებს მშრომელს.
მე ვაკვირდები წნევას, პენსიას,
აბა, რომელი — რომელს!..

**22.03.2013**

# რატომ ზეიმობს უსამართლობა სამართლიანობაზე და არის თუ არა ეს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილი დიდი შეთქმულების შედეგი?

არასამთავრობო ორგანიზაცია (არარეგისტრირებული კავშირი) — „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“

## განცხადება

/ქვეყანაში არსებულ უსამართლობასთან დაკავშირებით/

2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში მიღწეულმა წარმატებამ, რომელშიც ჩართული იყვნენ ქვეყნის ღირსეული შვილები, საქართველო კიდევ ერთხელ გადაარჩინა ფიზიკურ და სულიერ განადგურებას.

გვჯეროდა (და ახლაც გვინდა დავიჯეროთ), რომ სრულიად საქართველოს მოსახლეობა, რომელიც წლების მანძილზე იყო გაუგონარი ძალადობისა და დამცირების მსხვერპლი, აიხდენდა ნამდვილ ქართულ ოცნებას.

სამწუხაროდ, განვლილი პერიოდი არ იძლევა მსგავსი ოპტიმიზმის საფუძველს, რადგან 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებით იხეირა მხოლოდ ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ და ცალკეულმა ადამიანებმა, რის გამოც განცდა იმისა, რომ სამართლიანობა ყველას შეეხება დღითიდღე კლებულობს.

ეს ტენდენცია უარესობისკენ კიდევ უფრო გააგრძელებს სვლას თუ ხალხმა არ დაინახა, რომ რეალურად დაიწყო სამართლიანობის აღდგენა. სამართლიანობა კი მაშინ იზეიმებს თუ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ანაკლიაში (ანალოგიურად მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. დიღომში, სოფ. საგურამოში და აშ.) მცხოვრები ადამიანები შეძლებენ იმ მიწის ნაკვეთების დაბრუნებას, რომლებიც სამეგრელოს სინამდვილეში, ქალაქ ლაზიკას უტოპიური გეგმის ვითომდაც განსახორციელებლად, სრულიად უკანონოდ, ბოლშევიკური მეთოდების გამოყენებით ჩამოერთვა მოსახლეობას. როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ისე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელთა უშუალო მონაწილეობითაც განხორციელდა თავის დროზე ეს უკანონობა, გააფთრებით ეწინააღმდეგებიან „ნაციონალიზირებული“ მიწის ნაკვეთების მესაკუთრისთვის დაბრუნებას და, თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფი ეს „ვაი მოხელეები“ იმ დღის დადგომას მოუთმენლად ელიან, როცა „ნაცები“ კვლავ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში და განახორციელებენ 500 000 ქალაქის მშენებლობას. მერე რა, რომ ამ პროექტის რეალობად ქცევის შემთხვევაში ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე შეიქმნება რეგიონში და იმითაც არაფერი დაშავდება თურმე, რომ დემოგრაფიული ვითარება ადგილზე ისე შეიცვლება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდება ჩამოსულებთან;

ანალოგიურად, სამართლიანობა იზეიმებს, თუ ქალაქ თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე საააკაშვილის ხელისუფლების ხუშტურების დასაკმაყოფილებლად დანგრეული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეები ეღირსებიან ახალმოსახლეობას იმავე ან სხვა კეთილმოწყობილ სახლში და ელემენტარულ ბოდიშს მაინც მოუხდის ხელისუფლებიდან ვინმე, მიყენებული ტანჯვისა და წამებისათვის;

საზოგადოების ნაწილში, რომელმაც საკუთარ თავზე ან ახლობლებზე გამოსცადა ძველი ხელისუფლების ზღვარსგადასული თავხედობა, სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს იმ პირთათვის გამოძიების მინდობა, რომლებიც თავადვე იმხილებიან ამ და სხვა საქმეებთან დაკავშირებით ჩადენილ უსამართლობებში. შესაბამისად, ობიექტური გამოძიების ჩატარებისა და მისი შედეგების გამოქვეყნების გარეშე, საზოგადოება მის დაცინვად აღიქვამს პროკურატურის რიგებში ვინმე მანუჩარ ქაჯაიას დაბრუნებას, რომლის სახელთანაც, არსებული პუბლიკაციებიდან გამომდინარე, არაერთი მამხილებელი ინფორმაცია არსებობს. ასევე, სათანადოდ დასაბუთებული ოფიციალური განმარტების გარეშე საზოგადოებას ყოველთვის ექნება ლეგიტიმური კითხვა —

**რატომ არ იყენებს დღევანდელი ხელისუფლება ამ მეტად რთულ უბანზე ისეთი პროფესიონალების გამოცდილებას, რომლებიც თავიანთი წარსულითა და ცხოვრების წესით, იმსახურებენ ელემენტარულ ყურადღებას მაინც.**

პროფესიონალი და მიუკერძოებელი სამართალდამცავების ნაკლებობა ქვეყანაში იმდენად აშკარაა, რომ ამ თემით სპეკულირებს ყველა, ვისაც არ ეზარება. ზოგი, მაგ. ამერიკელი ექსპერტი უსაფრთოების საკითხებში გრიგორ მინჯეკი იმასაც კი გვთავაზობს (ალბათ, ხუმრობით), რომ ამერიკიდან ჩამოვიყვანოთ პროკურორები და ქართველ პროკურორებს დავახმაროთ. მსგავსი „ მრჩეველნი“ კიდევ ბევრი გამოჩნდება და დაგვცინებს თუ ჩვენივე პროფესიონალების დაფასება არ ვისწავლეთ და იმ გლეხივით მოვიქცევით სახლში თურაშაული რომ ჰქონდა და ტყეში პანტას ეძებდა;

**ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ჩამოთვლილი ადამიანები, ისევე როგორც სხვა არაერთი ღირსეული პროფესიონალი, ვიწრო პოლიტიკური ინტერესების მსხვერპლი გახდნენ.**

წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ისინი პრეზიდენტ ე. შევარდნაძის დროს მუშაობდნენ საჯარო თანამდებობებზე, მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ შეზღუდვა უნდა შეხებოდა ყველას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. თუმცა, არსებული რეალობა სხვა სურათს იძლევა, რადგან ე. შევარდნაძის ხელისუფლებაში უშიშროების მინისტრის მოადგილეობას არ შეუშლია ხელი ბატონ ლაშა ნაცვლიშვილისთვის, რომ საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე გამხდარიყო (და არც უნდა შეეშალა). შესაბამისად,

**პასუხგაუცემელია კითხვა - იგივე მიდგომა რატომ არ იქნა გამოყენებული ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა არაერთი კვალიფიციური პიროვნების მიმართ, რომლებიც პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელი ქმედებების თანხლებით გაათავისუფლეს სამსახურებიდან და დღემდე ვერ უპოვიათ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაციის გზა და საშუალება;**



დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა იმის შესახებაც თუ რატომ უნდა უხდებოდეს ბატონ ნუგზარ ჯავახიშვილს პროკურატურის და გამოძიების სხვადასხვა თანამდებობის პირებისათვის იმის ამაოდ მტკიცება, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მისი საწარმოსთვის ჩამორთმეულ ქონებასთან ერთად დამნაშავეთა ჯგუფმა დამატებით წაართვა მას 5-ჯერ მეტი სხვა ქონებაც და რომ ეს ქონება ექვემდებარება უკან დაბრუნებას, ხოლო დამნაშავეები დასჯას;

უსაფუძვლოდ დაჩაგრული, სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის გვერდში დგომის ლოზუნგით მოსული ხელისუფლება განა არ უნდა იყოს დაინტერესებული დაეხმაროს ოჩამჩირისა და გალის რაიონის ომისა და შრომის ინვალიდთა კავშირის წევრებს (კავშირის თავმჯდომარე დავით გერგედავა) იმის გარკვევაში, მართლაც უსაფუძვლოდ წაართვა თუ არა მათ ძველმა ხელისუფლებამ 475 000 ლარი და ამ მიზნის განხორციელებაში მონაწილეობდა თუ არა პროკურატურის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი. კერძოდ, მისი მუქარის შემდეგ ინვალიდთა მხარეზე, მესამე პირად ჩართული, ინვალიდთა ლიგის თავადაც ინვალიდი პრეზიდენტი მართლაც გახდა თუ არა იძულებული არ მისულიყო სასამართლო პროცესზე და არ მიეცა ინვალიდთა სასარგებლოდ ჩვენება.

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ინვალიდთა ლიგის პრეზიდენტი პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგ (ამ პროცესზე, ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში სასამართლომ დააკმაყოფილა ინვალიდთა მოთხოვნა) არც ერთ სასამართლო პროცესს არ დასწრებია და მიწვევითაც კი არ მიუწვევია არავის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ, შესაძლებელია, ამ პირის მიმართ (რომელიც მხარის უფლებებით სარგებლობდა და სავალდებულო იყო პროცესზე მისი მიწვევა) მართლაც ჰქონდა ადგილი დანაშაულებრივ ზეწოლას.

მსგავსი ფაქტების მოტანა მრავლად შეიძლება, რაც ადასტურებს, რომ სასამართლო ორგანოებზე ყოფილი ხელისუფლების გავლენასთან არსებული უსამართლობის დაკავშირება მითია და მისი არსებობა იმ ჩინოვნიკთა წისქვილზე ასხმას წყალს, რომელთაც არ სურთ სამართლიანობის არსებობა ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურორი თვითონვე მოუხსნიდა უსაფუძვლო ბრალდებას პასუხისგებაში მიცემულ პირს, ანდა სახელმწიფო ორგანო მის საკუთრებაში უკანონოდ გადასულ ქონებას თვითონვე დაუბრუნებდა მესაკუთრეს (ან აღიარებდა მესაკუთრის მოთხოვნის საფუძვლიანობას სასამართლოზე) და ამით თავიდან აიცილებდა სასამართლოს მიერ უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

**თუმცა, რადგან ეს ასე არ ხდება, ეტყობა, ვიღაცას აწყობს სასამართლოსთვის ყველაფრის გადაბრალება და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ ამავე მიზანს ემსახურება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარებულ არჩევნებში ხელისუფლების მიერ ვითომდაც განცდილი „ფიასკო“, რადგან კანონის მიღებისას ვიღაცის „გულუბრყვილობას“ თუ არ ჰქონდა ადგილი და ეს შედეგი წინასწარ არ იყო გათვლილი, მაშინ სახეზეა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულება (თუნდაც უვარგისი კანონის მიღების გზით) და აღნიშნულს მაინც სჭირდება შესაბამისი გამოძიება. თუმცა, ჯერჯერობით ამის სურვილიც კი არ გასჩენია ვინმეს.**

არაფერს ვამბობთ ადვოკატთა კორპუსზე, რომელიც კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ შერჩევითი სამართალი ვერ ეგუება პროფესიონალი ადვოკატების არსებობას და ყოველივე ამის შედეგი ქვეყნისთვის მეტად სავალალო იქნება, რადგან სახელმწიფოს მხრიდან სამართლიანობის დაუცველობა ძვირი უჯდება საზოგადოებას, რომელიც მუდმივად შიშის მოლოდინში იქნება, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაცვის სურვილს მოკლებული დაზარალებული თვითონვე დაიცავს თავს და ლინჩის წესით გაასამართლებს დამნაშავეს.

იმედს ვიტოვებთ, შესაბამისი ორგანოები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (რათა საზოგადოებამ გაიგოს) პასუხს გაგვცემენ შემდეგ კითხვებზე:

1. აპირებთ თუ არა იმ ხალხის თავისი პროფესიის მიხედვით დასაქმებას, რომლებიც 2003 წლის შემდეგ ძველმა ხელისუფლებამ უკანონოდ გაუშვა სამსახურებიდან, დადებით შემთხვევაში, როდიდან დაიწყებთ ამ პროცესს?

2. დაუბრუნდებათ თუ არა კანონიერ მესაკუთრეებს წართმეული ქონება, თუ იმ პოზიციაზე დგახართ, რომ წართმეული ქონების დაბრუნება შეფასდება, როგორც შურისძიება?

3. ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფთ თუ არა ობიექტური, ეფექტური და ოპერატიული გამოძიების, შემოწმების ჩატარებას, დადებით შემთხვევაში, რა ძალებით და რა ვადაში აპირებთ ამის გაკეთებას?

**კავშირის სახელით,**
**პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,**
**იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი,**
**სრული პროფესორი**
**თემურ მონიავა**
**ტელ.: 595 16 84 44**







# თავსატეხი

შვეულად: აპამი, გომია, ესაძე, ზაირა, იგივე, იმამი, იგავი, მარია, მუ-თიუ, ნავიი, რინგო, ქაღჩა, ჩაცმა, ჭეიდა, ჩულიი, პერია.

ჰორიზონტალურად: ალუბია, ასალი, პერსია, დიაკი, კაზინა, იტარე, იერიმა, კასია, ლანდი, მუშტი, ორგია, პეშტუ, ქუსტი, ულისე, ფანდი, ყინვა, ჩეო-ნი, წვავა, ჭეიდა, ზმანა, ჯამბა.

# სამიდან ერთი

შვეულად: 1. ჩოგანი, მუხუდო, სიჩუმე. 2. პარადი, მელანი, ტოროლა. 3. ბოპემა, მურუგა, პარისი. 4. ცხიმი, ცხავი, ციება. 5. კონდორი, ნაირობა, პროცესი. 6. სანტიმენტი, ამადლობრობი, პანტელეიმონი. 11. დეროზინა, ზმეუ-თი, მელიანი. 12. ეკაკუხი, პეგიითი, შურუგა. 13. სასონი, ხელენი, კაპელა. 14. დოკერი, ნაბისი, პაგოდა. 16. ტიკვა, შრომა, ხრეში.

ჰორიზონტალურად: 3. ტრაპიზონი, პლეადეტი, ხოლონბინი. 7. კოსიერ, კუ-ლიბი, კობელა. 8. ფასადი, კიზიტი, ხუმარა. 9. ჯუგარი, სეგდი, ბუგატი. 10. საგარეჯო, დინამიტი, სუფიტონი. 12. პეკონი, გაკანი, სონეტი. 15. კრეველი, პორტიში, სტალინე. 17. ჩეხოვი, მორეგი, ჯამანი. 18. პორთოსი, ბარგალი, კორპუსი. 19. ნაილონა, ტუფერი, თალუსი. 20. კირკიტი, სიმამრი, დერამერი.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 30 | | 9 | | 11 | 8 | 26 | 33 | 27 | 6 | |
| 21 | 24 | 3 | 33 | 27 | 4 | | 4 | | 33 | | |
| | 10 | | 1 | | 23 | 8 | 1 | 4 | 5 | 6 | |
| 23 | 4 | 20 | 4 | 7 | 33 | | 4 | | 27 | | 19 |
| | 18 | | 18 | | 27 | 4 | 18 | 30 | 24 | | 4 |
| 32 | 6 | 12 | 6 | 5 | 6 | | 6 | | | | 2 |
| 4 | | 31 | | 8 | | 13 | | 26 | 24 | 28 | 4 |
| 29 | 27 | 4 | 21 | 6 | | 4 | | 4 | | | 26 |
| 4 | | 27 | | 4 | 18 | 9 | 4 | 16 | 4 | 6 | 6 |
| 27 | | 20 | | | | 6 | | 2 | | 33 | |
| 6 | 2 | 6 | 18 | 9 | 6 | | 22 | 4 | 3 | 32 | 4 |
| | 6 | | | 33 | | | 33 | | | 27 | |
| 16 | 15 | 32 | 4 | 27 | 33 | | 27 | 4 | 23 | 6 | 4 |
| | 20 | | | 20 | | | 23 | | 27 | | |
| 19 | 24 | 27 | 5 | 6 | | 17 | 6 | 15 | 8 | 27 | 6 |

ა-4, ბ, გ, დ, ე-33, ვ, ზ, თ, ი 6, კ 1, ლ, მ, ნ, ო-24, პ, ჟ, რ

ს-2, ტ, უ 8, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ

# ქართული იდენტობის სტრატეგიული საფრთხე – რადიკალური ფემინიზმი

სქესთა სეგრეგაცია, ქალისა და მამაკაცის დაპირისპირება რადიკალური ფემინიზმის საყრდენი ქვაკუთხედია. რადიკალური ფემინიზმის პოლიტიკა XXI საუკუნის აპარტეიდია, უკვე არა რასობრივი, არამედ სქესობრივი ნიშნით. რადიკალური ფემინიზმის შეტევის უმთავრესი ობიექტი არის თანასწორობის პრინციპი. რისი დამხობაც მათ, უპირველეს ყოვლისა, სურთ ეს არის ბოლო 10 ათასი წლის განმავლობაში მოქმედი განვითარების მოდელი, რომლის ღერძიც არის კაცობრიობის სქესობრივი ნიშნით დაყოფა. ამ სიცოცხლისუნარიანი მოდელის ყველაზე მტრულ ელემენტად მათ, მიერ მამაკაცი განიხილება. მამაკაცის დამარცხება და დამორჩილება მათთვის ამ მოდელის კრახის მთავარ ნიშნად განიხილება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად რადიკალური ფემინიზმი სულ და უფრო და უფრო იღებს ექსტრემისტული მოძრაობის ფორმას. რეალურად, მათი პოლიტიკა არის შეთქმულება დემოკრატიის წინააღმდეგ. შეიძლება კითხვის დასმა, არის კი დღეს საქართველოში რადიკალური ფემინისტური მოძრაობა, არიან კი რადიკალი ფემინისტები? 2013 წლის 17 მაისმა ამ კითხვებზე ნათლად გასცა პასუხი-რადიკალური ფემინიზმი არსებობს, მოქმედებს და მას ჰყავს მოთავეებიც: თამარ ჩერგოლეიშვილი, ელენე ხოშტარია, თამარ ცოფურაშვილი. რადიკალური ფემინიზმის მთავარ გზავნილად არსებული საზოგადოებისადმი შეიძლება ჩაითვალოს ელენე ხოშტარიას განაცხადი: „ცოდვა დანაშაული არ არის!“ ამით უარყოფილ იქნა ერის წარსული, აწმყო და მომავალიც.



რადიკალური ფემინიზმი მიმართავს მცდელობათა მთელ სერიას, რათა ეჭვქვეშ დადგეს მრავალი საუკუნის განმავლობაში, დროში გამოცდილი ის მექანიზმები და სისტემები, რაც ქართველ ერს უნარჩუნებდა საკუთარ ეროვნულ იდენტობას. რადიკალური ფემინიზმის სტრატეგიის ნაწილია ლგბტ იდეოლოგიის კონტრაბანდა საქართველოში, ამ იდეოლოგიის ტოტალური გავრცელებისთვის აქ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნიადაგის მომზადება.

სადაც კი დამკვიდრდა რადიკალური ფემინიზმის იდეოლოგიური კონცეფცია, ამ სოციუმებში უკვე ნაწილობრივ მაინც წაიშალა ადამიანებში ქალისა და მამაკაცის სახე და ცნება. ამ ინტერვენციამ სოციუმში მკვეთრად სავალალო შედეგები გამოიღო. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორია. ამ ქვეყანაში რადიკალურმა ფემინიზმმა ყველაზე ღრმად მოახერხა სქესთა სეგრეგაციული ყოფის მოდელის ამოქმედება. მოხდა მამების განდევნა ოჯახებიდან, რითაც ბოროტმოქმედება და ძალადობა ცხოვრების ყოველდღიურ ნორმად იქცა. ვალდებულებას ოჯახისა და ქმრის მიმართ ქალის დისკრიმინაციის იარლიყი მიეკრა, ვალდებულება შვილის მიმართ დედის არჩევნად გამოცხადდა. შედეგად ბიოლოგიამ ქალის მიმართ ფატუმის როლი დაკარგა, დაიკარგა მისი პასუხისმგებლობა ბავშვის მიმართ, აბორტი ყოფიერების ნორმა გახდა.

რადიკალურ ფემინიზმს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, მათ შორის ყოფილი ფემინისტებიც. მათგან ერთ-ერთი ყველაზე თანამიმდევრულია კრიტიკაში უორენ ფარელი. მას ეკუთვნის რადიკალური ფემინიზმის მამხილებელი წიგნი „მითი მამაკაცის ხელისუფლების შესახებ“. დიდი მოცულობის ფაქტოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით ავტორმა ნათლად აჩვენა, რომ საუბარი მამაკაცებზე, როგორც პრივილეგირებულ კლასზე, არის მხოლოდ იცრუე. სიცოცხლის შეწყვეტის 55 მთავარი მიზეზიდან მამაკაცი ყოველთვის პირველი მსხვერპლია, ომები, კონფლიქტები, ყოფითი დანაშაული, შრომითი ტრამვატიზმი — ყველა ამ შემთხვევაში მამაკაცი ყველაზე დაჩაგრულთა შორის უპირველესია.

საქართველოში რადიკალურ ფემინიზმს „თვალსაჩინო“ ადეპტებიც ჰყავს, მაგალითად, ლაშა ბაქრაძე. ის „ვარდების რევოლუციის“ ტრიბუნიდან პირდაპირ ნაციონალური რეჟიმის „კულტურკამფის“ ფუნქციონერად გარდაიქმნა. ნატრიბუნალი ფუნქციონერი დღეს რადიკალური ფემინიზმის ორგანიზატორად გვევლინება.

რადიკალური ფემინისტური მოძრაობა სტრატეგიული მიზნის ოპერატიული შენიღბვის ერთ-ერთ ელემენტად „ჰომოფობიას —თან და „თეოკრატიასთან“ ბრძოლას იყენებს. „დაჩაგრული“ ლგბტ ჯგუფის „უფლებების დაცვის“ საფარქვეშ რადიკალი ფემინისტები რეალურად თანასწორობის პრინციპის დისკრედიტაციას ახორციელებენ, რაც, მათი აზრით, საბოლოოდ გამოიწვევს რადიკალური ფემინისტური მოძრაობის მიერ სახელმწიფოში პოლიტიკური ხელისუფლების უზურპაციას. ეს კი კანონზე მაღლა მდგომ უმცირესობას მისცემს ბერკეტებს — სწრაფად დაამსხვრიონ დღემდე არსებული სქესობრივი დაყოფის საფუძველზე მოქმედი განვითარების მოდელი. რადიკალურ ფემინიზმს კონსტრუქციული ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ დესტრუქცია მათთვის დღეს არსებულის ერთადერთი ალტერნატივაა. რადიკალური ფემინისტური მოძრაობის სტრატეგიას ქართული იდენობის მიმართ ანტაგონისტური პოზიცია გააჩნია და საქართველო მისგან დაცული უნდა იქნეს, ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობისა და ღირსების საკითხი.

**დავით არაბიძე**

# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ბოლო წლებში ქიმიური მედიკამენტებით მკურნალობით თავმობეზრებულმა ბევრმა ადამიანმა აღიარა სახალხო მედიცინა. ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირების და საფენებით. ავადმყოფობის სირთულის მიხედვით მკურნალობის კურსი ათიდან და ოც დღემდე გრძელდება. რაც მთავარია, ეს წამალი აუმჯობესებს სისხლის მოძრაობას და დადებითად მოქმედებს როგორც დაბალი, ისე მაღალი არტერიული წნევის მქონე ადამიანებზე.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი, მიჭირდა მოძრაობა, დამიქვეითდა შრომისუნარიანობა. ექიმის გამოწერილმა წამლებმა ტკივილი დროებით გამიყუჩა. ამიტომ გადავწყვიტე მცენარეული წამალი მეცადა.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან მიმასწავლეს. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან შევხვდი უამრავ ადამიანს, რომლებიც განიკურნენ, მათ შორის იყვნენ ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე, რომელიც თავის დროზე ახალგაზრდობის წყალობითა და ქირურგიული ჩარევით დავძლიე. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად აუტანელი ტკივილი დამეწყო. მძლეოსან ადამიანს მსუბუქი ნივთის აწევაც არ შემეძლო. ძველი ტრავმა გამირთულდა, ამას მძიმე ოსტეოართროზის დიაგნოზი დაემატა. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. მე-4 მე-5 სეანსზე შვება ვიგრძენი, მაგრამ მაინც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. 3 წლის განმავლობაში ვმკურნალობდი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. მდგომარეობა უფრო მირთულდებოდა. მიჭირდა სიარული, ვერც ვჯდებოდი, ტკივილები ყრუ და გაუსაძლისი იყო. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- ვარ დასაქმებული ერთ-ერთ ფირმაში. შემიძლია თუ არა მოვითხოვო ცნობა დასაქმების შესახებ ხელფასის მითითებით?**

- შეგიძლიათ.

თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

* * *

**— ერთ-ერთ ფირმაში მღებულობენ სამუშაოდ გამოსაცდელი ვადით. რა ხანგრძლვობის შეიძლება იყოს ეს ვადა და ჩაითვლება თუ არა იგი შრომით სტაჟში?**

- იმისათვის, რომ დადგინდეს კანდიდატის შესაბამისობა სამუშაოსთან, დამსაქმებელს შეუძლია, დადოს მასთან ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. გამოსაცდელი ვადა ჩაითვლება შრომის სტაჟში.

* * *

**- ვიწყებდი მუშაობას ერთ-ერთ საწარმოში.საწარმოს ხელმძღვანელმა მოულოდნელად უარი მითხრა მიღებაზე იმ მოტივით, რომ, მისი თქმით, მოიძია ჩემს შესახებ ინფორმაცია და ჩემი რელიგიური მრწამსის / ვარ იეჰოვას მოწმე/ გამო აღარ გააფორმებს შრომით ხელშეკრულებას ჩემთან. ირღვევა თუ არა ჩემი უფლებები?**

- თუ თქვენი სამსახურში მიუღებლობის მიზეზი არის რელიგიური მრწამსი, თქვენი უფლებების დარღვევას ნამდვილად აქვს ადგილი. აქვე გეტყვით, რომ საწარმოს ხელმძღვანელობას, ანუ დამსაქმებელს აქვს უფლება, მოიპოვოს თქვენს შესახებ ინფორმაცია, ოღონდ არა ნებისმიერი ინფორმაცია. არამედ მხოლოდ ისეთი, რას შეიძლება უკავშირდებოდეს თქვენს მიერ სამუშაოს შესრულებას და ამისათვის საჭირო მოთხოვნებს.

* * *

**-შეიძლება თუ არა ალიმენტის გადახდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე?**

-შეიძლება. სასამართლოს მაშინ მიმართავენ, როცა ალიმენტს არ იხდიან ნებაყოფლობით.

* * *

**- სასამართლომ ჩემს ყოფილ მეუღლეს დააკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ. ამჟამად ჩემი ყოფილი მეუღლე უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურში მუშაობს, ვიდრე ალიმენტის დაკისრების დროს. შემიძლია თუ არა, მოვითხოვო ალიმენტის გაზრდა?**

-შეგიძლიათ.

სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ერთხელ უკვე დადგენილი ალიმენტის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს,- შემცირდეს ან გაიზარდოს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, თუკი შეიცვლება მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა.

* * *

**- გარდაიცვალა ჩვენი მეზობელი, რომელსაც არ ჰყავს არც კანონიერი და არც ანდერძით მემკვიდრე. შეიძლება თუ არა, მისი ბინა გაიფორმოს მეზობელმა, რომელიც მას უვლიდა ავადმყოფობის დროს?**

-მეზობელი გარდაცვლილის ბინას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის დადებული იყო სამისდღემჩიო ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პირის გარდაცვალების შემდეგ ეს მეზობელი მიირებდა მის საცხოვრებელ ბინას. თუ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, გარდაცვლილის ქონება გამოცხადდება უმკვიდრო ქონებად და გადაეცემა სახელმწიფოს.



* * *

**- ვარ აფხაზეთიდან დევნილი. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა მეკისრება თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა?**

-სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისას დევნილებს სახელმწიფო ბაჟი არ ეკისრებათ.

* * *

**-შემიძლია თუ არა განქორწინების შემდეგ დავიტოვო მეუღლის გვარი?**

-შეგიძლიათ.

* * *

**-სასამართლოში სარჩელის შეტანისას რა რაოდენობისაა მინიმალური სახელმწიფო ბაჟი?**

-სახელმწიფო ბაჟის მინიმალური რაოდენობა რაონულ / საქალაქო/ სასამართლოში არის 100 ლარი.

# სიყვაჩული დაავადება

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცს მხოლოდ 8 წამი სჭირდება რომ შეუყვარდეს, ეს გრძნობა არა უმეტეს ოთხ წელს გრძელდება და პრაქტიკულად, ერთგვარ „ფსიქიურ დაავადებას“ წარმოადგენს.

მეცნიერმა ხეორხინა მონტემაიორ ფლორესმა განაცხადა, რომ სიყვარულის პირველი ფაზა თავის ტვინში განსაკუთრებული ქიმიური ნივთიერებების გამომუშავებით ხასიათდება. ისინი თავის ტვინშივე ყალიბ-



დება და ნეირონებში კონცენტრირდება. შედეგად, აქტიურდება ნუშურა, თალამუსი, ჰიპოთალამუსი, ჰიპოკამპი. თავის ტვინის ეს ნაწილები ადამიანის ემოციებზეა პასუხისმგებელი და შესაბამისად, შეყვარებული ადამიანი სხვა ვერაფერზე ფიქრობს გარდა ობიექტისა, რომელმაც 8 წამში მასში ქიმიური პროცესები გამოიწვია.

რატომ გრძელდება სიყვარული არაუმეტეს ოთხი წლისა — როგორც პროფესორი ამტკიცებს, ამის მიზეზი ადამიანის ანატომიური აგებულებაა. მისი თქმით, ფიზიოლოგიურად, „შეყვარებულობა“ ფაქტობრივი აკვიატების მდგომარეობაა, უფრო ზუსტად კი, სამეცნიერო ენაზე, ფსიქიკის ობსესიურ-კომპლექსური დარღვევის ტიპი.

მეცნიერთა დასკვნით, ამ გრძნობის განცდა სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეუძლია ადამიანს, შემდეგ მხოლოდ სექსუალური ლტოლვა ან ბანალური მიჩვევაა. როგორც წესი, დაავადება-სიყვარული კონტროლს არ ექვემდებარება, რადგან სიყვარულის სტადიაში ქიმიური შენაერთები თავის ტვინში მათზე დამოკიდებულების განვითარებას იწვევს და ანალიტიკური მონაცემები ძლიერი წყურვილისა და შიმშილის მდგომარეობის ანალოგიურია.

ეს, რაც თავის ტვინში ხდება, მაგრამ გამოხატვის მხრივ შეყვარებულ მამაკაცთა 6 ტიპი ჯერ კიდევ არისტოტელემ განაცალკევა.

**აღაპე (სამსხვერპლო სიყვარული)** — მამაკაცი, რომელსაც ეს გრძნობა ესმის როგორც თავშეწირვა, ყველაფერს გააკეთებს საყვარელი ადამიანის სიამოვნებისთვის. სანამ სიყვარულში გამოტყდება, დიდხანს ევლება „ობიექტს“ თავს და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, აბსოლუტურად უანგაროა.

**შედეგი** — ამგვარი სიყვარულის შემთხვევაში, როდესაც მამაკაცი მუდმივად სწირავს „ობიექტს“ საკუთარ სურვილებსა და ინტერესებს, იგი ნდობას და პატივისცემას იმსახურებს და მეტი არაფერი. მიზეზი მარტივია — ტოტალური ზრუნვა მომაბეზრებელია. მამაკაცი იფერებს „მზრუნველი მამიკოს“ როლს, რაც არანაირად არ იწვევს მისადმი სექსუალური ლტოლვის გაღვივებას და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ ზედმეტი მზრუნველობისა და ყურადღების გამო უფრო და უფრო იკლებს მისი „ფასი“.

**ლუდუსი (სიყვარულის თამაში)** — ამგვარი სიყვარულის მატარებელი მამაკაცის გრძნობა უპირველესად სექსუალურ ლტოლვაზეა აგებული, ამდენად, არც თავს იღლის „ობიქტის“ პატივისცემით. ის თვლის, რომ სექსუალური ლტოლვა მისი სიყვარულის საუკეთესო დადასტურებაა. ის არ ცდილობს საყვარელი ადამიანის, როგორც პიროვნების გაცნობას და თუ მოპირდაპირე მხრიდან იგრძნო შეყოვნება, შეურაცხყოფად მიიღებს. რაც უფრო დიდხანს ამყოფებს „ობიექტი“ ამგვარ შეყვარებულს გარკვეულ დისტანციაზე, მით უფრო გაცივდება მისი გრძნობა.

ამ ტიპისათვის დამახასიათებელია სხვა ქალებთან შეხვედრაც და ამავდროულად არც თვითონ იეჭვიანებს თუ მის თვალწინ მისი საყვარელი ქალი სხვა მამაკაცებს მოაწონებს თავს. ის არასდროს ეცდება დაახლოებას და არც თავს შეაწყენს ქალს. მამაკაცი, რომელიც თვლის, რომ სიყვარული სექსია, როგორც წესი, საკმაოდ ეგოისტია, მხოლოდ საკუთარ სურვილებზე ფიქრობს და თუ სასურველი ინტენსივობით არ ექნება სექსი, ის სწრაფად გაცივდება. მას მხოლოდ მაშინ უყვარს ქალი, როცა მის გვერდითაა, შესაბამისად, განშორებასაც იოლად იტანს.

**შედეგი** — შესაძლოა თავიდან ქალიც გაიტაცოს გრძნობებმა და ემოციებმა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ვნება გაივლის, ადვილი შესაძლებელია ქალმა აღმოაჩინოს, რომ ამ მამაკაცთან მხოლოდ სექსი აკავშირებდა. ამგვარ მამაკაცს თუ ქალი თავს არ მოახვევს პასუხისმგებლობას, კავშირი დიდხანს გაგრძელდება.

**ეროსი (გრძნობიანი სიყვარული)** — იგი დამყარებულია უპირველესად ერთგულებაზე და მხოლოდ მას შემდეგ ფიზიკურ ლტოლვაზე. ამ ტიპის მამაკაცი არ იკარგება ერთი ღამის შემდეგ. იგი დაინტერესებულია „ობიექტის“ ცხოვრებითა და მისი პრობლემებით, მისი გრძნობებით, ემოციებით, მასთან საუბრით.

**შედეგი** — პრაქტიკულად იდეალური პარტნიორია. იგი არ დაიწყებს თვითდამკვიდრებას ქალის ხარჯზე, არ დაიწყებს დაშანტაჟებას სიყვარულით, პირიქით, დააფასებს მის გრძნობებს, რადგან გახარებული იქნება, რომ მის გვერდზე კარგად გძნობს ქალი თავს.

**მანია-სიყვარული (შეპყრობილობა)** — იგი, როგორც წესი, დაფუძნებულია ვნებასა და ეჭვიანობაზე. ამგვარად შეყვარებული მამაკაცის ყურადღების ცენტრშია არა ქალი, არამედ თვითონ, მას ასე სურს და აქედან გამომდინარე, თვითდამკვიდრებას ცდილობს მის ხარჯზე. ეს ვლინდება სხვადასხვაგვარად, მაგრამ მეტწილად ბანალური უხეშობით ან წვრილმანი დამცირებებით. ამ ტიპის მამაკაცი გაუცნობიერებლად გამუდმებით ელის პრობლემებს ურთიერთობაში, ხოლო თუ არ



არის თავად შექმნის. ასეთი მამაკაცი ელოდება, რომ საყვარელ ქალს მასზე დამოკიდებულს გახდის, რადგან თვლის, რომ ქალს იგი თუნდაც მხოლოდ იმიტომ უნდა უყვარდეს, რადგან მის გვერდითაა. ამგვარი მამაკაცი გაურბის მოწყენილობას, ხშირად იცვლის სიტუაციას, გარემოს...

**შედეგი** — პათოლოგიური ეჭვიანობა. ასეთი მამაკაცი იმიტომ კი არ ეჭვიანობს, რომ კონკრეტული ქალის დაკარგვის ეშინია, არამედ იმიტომ, რომ ეშინია საყვარელი ქალი არ გაექცეს „ძალაუფლებიდან“. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დამოკიდებულად და სუსტად წარმოჩინდება მისი საყვარელი ქალი, მით უფრო თავდაჯერებული გახდება და მუდმივად ეცდება ქალს აფიქრებინოს, რომ ის მართლა უმწეოა მის გარეშე. ამგვარ მამაკაცთან დაახლოებას თუ შეეცდება ქალი, ის გაეცლება, მაგრამ თუ პირიქით მოხდა, ძალებს არ დაზოგავს და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ეს პროცესი არ მობეზრდება. გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი მამაკაცი თვითონ ახდენს განშორების პროვოცირებას რათა ხაზი გაუსვას საკუთარ მნიშვნელობას.

**პრაგმა (ანგარებიანი სიყვარული)** — ამგვარი მამაკაცი ამბობს, რომ მას სჭირდება ქალი, რომელთანაც თავს მოხერხებულად იგრძნობს (არა ისეთი, რომელიც ერთი ნახვით შეუყვარდება ან ვნებიანი სექსი ექნება). იგი გაცნობისთანავე ცდილობს გაარკვიოს აქვს თუ არა ქალს ისტერიული გამოხტომები, შეუძლია თუ არა დიასახლისობა და ა.შ ანუ საზღვრავს, მოხერხებული იქნება თუ არა ერთობლივი ცხოვრება.

**შედეგი** — ვნებები და მოულოდნელი ქცევები ასეთი ტიპის მამაკაცის მხრიდან წყვილის ცხოვრებაში არ იქნება, მაგრამ ქალს მუდმივად შეაწუხებს აზრი, რომ აირჩიეს ნივთად. სანამ ქალი მიცემს იმას, რასაც მისგან მამაკაცი ელოდა, მას უყვარს, მაგრამ როგორც კი ეს საფუძველი მოიშლება, დადგება განშორების დრო. ამგვარი მამაკაცი მუდმივად გააკონტროლებს თავის გრძნობებს და ქალისგანაც იგივეს მოითხოვს.

**სტორგე (სიყვარული-მეგობრობა)** — ამ ტიპის მამაკაცი ქალს უამბობს ყველაფერს, დაწყებული პირადი პრობლემებიდან, დამთავრებული მეხუთე თაობამდე ახლობლებზე. ქალი გრძნობს, რომ თვითონაც შეუძლია გაუზიაროს ყველაფერი და დარწმუნებულია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს მხარდაჭერასა და გაგებას.

**შედეგი** — ვინაიდან ერთმანეთის სურვილები, ფიქრები და ოცნებები ცნობილია, უბრალოდ, უინტერესო ხდება ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ძალზე სწრაფად დავარდეს ძლიერი ემოციები და გაჩნდეს ახალი შეგრძნებების სურვილი...

**თამარ მჟავია**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — კარგი დროა სიყვარულისა და რომანტიკული კავშირების დასამყარებლად. მიგიზიდავთ ყველაფერი უჩვეულო და ორიგინალური, ხოლო წარმატებას მოგიტანთ შემოქმედებითი პროექტები.

**კურო** — სახლი და ოჯახი დიდ ყურადღებას მოგთხოვთ. შეხვედრებისა და მოლაპარაკებების შედეგად შესაძლოა, ახალ საქმეს ჩაუყაროთ საფუძველი.

**ტყუპები** — რომანტიკული შეხვედრები და საუბრები ძალიან დაგღლით და მარტოობის სურვილს გაგიჩენთ. მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამყარებული ახალი კავშირები მომავალშიც სასიკეთო შედეგებს გპირდებათ.

**კირჩხიბი** — გაიზრდება ცხოვრების საიდუმლო სფეროებისადმი ინტერესი და შესაძლოა, შემთხვევით, დამალული ინფორმაციაც გაიგოთ.

**ლომი** — სახლის საქმეები ძალიან დაგღლით, მაგრამ ამის გამო ოჯახის წევრებთან ურთიერთობას ნუ გააუარესებთ. რომანტიკული და სასიყვარულო ურთიერთობები დიდად განსაზღვრავს თქვენს გუნება-განწყობას.

**ქალწული** — მეუღლესთან, საყვარელ ადამიანთან ან საქმიან პარტნიორთან ზედმეტად ზედაპირული და თავისუფალი ურთიერთობა შესაძლოა, კავშირის გაწყვეტის მიზეზი გახდეს. დიდია ფინანსებთან დაკავშირებით მოტყუების ალბათობა.

**სასწორი** — კარგი დროა ყველა სახის ინფორმაციის მისაღებად, ენერგიის შესავსებად. ჯობს, დრო გამონახოთ დასასვენებლად. სამსახურში კი შეძლებთ შემოქმედებითი უნარის გამოვლენას. საყვარელ ადამიანთან სიახლოვე დაგამშვიდებთ და ახალი იდეებისკენ გიბიძგებთ.

**მორიელი** — აკონტროლეთ ემოციები. არ აჰყვეთ ჭორებს და არ შეგაცდინოთ არასწორმა ინფორმაციამ. შესაძლოა, ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც შემდგომ სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდებათ.

**მშვილდოსანი** — შესაძლოა, ოჯახის წევრებთან გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი. უარი თქვით უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მანიპულაციებზე. ძველი მოვლენები და ემოციები ხშირად გაგახსენებთ თავს.

**თხის რქა** — გაგიჭირდებათ კოლეგებთან და ახლობლებთან უემოციოდ ურთიერთობა, თუმცა მათი მეშვეობით განსაზღვრავთ მომავალ სამოქმედო გზას. შესაძლოა პირად ურთიერთობებში გაუგებრობები, გუნება-განწყობის ცვალებადობაზე აისახოს.

**მერწყული** — ეს პერიოდი ბევრ გადაადგილებასა და თავგადასავლებს გპირდებათ. თუმცა, ამ ორომტრიალში, შესაძლოა, დაგიქვეითოთ შრომისუნარიანობა და გადაგღალოთ.

**თევზები** — გაიზრდება თქვენი სიყვარულისა და რომანტიკისადმი ლტოლვა. ახალგაცნობილ ადამიანებს ბოლომდე ნუ ენდობით. კარგია დასასვენებლად წასვლა, გართობა ან კარიერული წინსვლა. ჯობია, გონივრულად ხარჯოთ ფინანსები.

ISSN 2233-3983